ეროვნული ბიბლიოთეკა

# როინ ჭიკვაძე

## არჩილ სპარსიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ნაშრომის ელექტრონული ვერსია
ინტერნეტში თავსდება ავტორის

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჭიკაძე

არჩილ სპარსიაშვილი

# ალექსანდრე გვენცაძე

თელავი
2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ავტორებისაგან

ეს წიგნი საჩუქარია იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ალექსანდრე გვენცაძის სახელი. ასეთები კი ათობით, ასობით და ათასობით არიან.

ეს წიგნი ხსოვნაა იმ უდიდესი ღვაწლისა, რაც ალ. გვენცაძემ ჩვენი უნივერსიტეტის (მაშინ ინსტიტუტის) დაფუძნებისათვის გასწია.

ეს წიგნი დიდი პედაგოგის ამაგის ღირსეული დაფასების სურვილია.

ეს წიგნი მისი მოწაფეების ქრილობაგახსნილი გულის მალამოა; წლები მიდის და საყვარელი მასწავლებლის სიკვდილით გამოწვეული ვარამი არ ნელდება, ტკივილი არ ცხრება, წუხილი არ ყუჩდება.

უდედმამობა ძნელია, მაგრამ არც უმასწავლებლობა ყოფილა ადვილი!

ჩვენ ამ წიგნით ვცადეთ ბატონი ალექსანდრეს ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგი ფაქტი გაგვეხსენებინა.

და რჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში, შვილებისა და შვილიშვილების ხსოვნაში.

ისეთ მასწავლებელს, მეგობარს, მზრუნველს, დამრიგებელს, მამას, პაპას, როგორიც ბატონი ალექსანდრე იყო, დავიწყება არ უწერია.

ეს წიგნი ბატონი ალექსანდრეს ხსოვნის ძეგლადაც მიგვითვალეთ!

P.S.ალ. გვენცაძემ ძვირფასი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი მდიდარი არქივი მისივე შვილების ოჯახებში საგულდაგულოდაა დაცული. ამ წიგნისათვის ეს არქივიცაა გამოყენებული.

როინ ჭიკაძე,
არჩილ სპარსიაშვილი
აპრილი, 2000 წელი

# ღვაწლმოსილი

ალექსანდრე (საშა) გვენცაძე – ჭეშმარიტად ღვაწლმოსილი პედაგოგი, მეცნიერი და მოქალაქე – 55 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მისდროინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის) სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების საბაზო კერის შექმნასა და სტუდენტი-ახალგაზრდობის პროფესიული დაოსტატების მამულიშვილურ საქმეს. განვლილი ცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი გზა მთლიანად დაუკავშირა სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე აკად. აკაკი შანიძემ იგი სამუშაოდ დატოვა უნივერსიტეტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში.

1930 წლის სექტემბრიდან ალ. გვენცაძე პედაგოგიურ სარბიელზეა. იგი მასწავლებლობდა ჯერ გურჯაანში, შემდეგ სიღნაღის და ბოლოს თელავის პედაგოგიურ სასწავლებელში. 1939 წლიდან კი თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნისთანავე, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ავანგარდშია. ალ. გვენცაძე თავდაუზოგავად ილვწის ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის. ამასთანავე ლექციების წასაკითხად პერიოდულად იწვევს ისეთ ცნობილ მეცნიერებს, როგორებიც არიან: მიხეილ ზანდუკელი, პანტელეიმონ ბერაძე, გიორგი თავზიშვილი, ამბერკი გაჩეჩილაძე, შოთა ძიძიგური, ანტონ კიზირია, თედო ბეგიაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, აპოლონ მახარაძე, სიმონ გაჩეჩილაძე, სტეფანე ჩხენკელი, სერგი ჭილაია, სოლომონ ყუბანეიშვილი, გიორგი გოზალიშვილი, სერგი მაკალათია, აბელ კიკვიძე, ვალიკო კობახიძე, ადამ ჩახტაური, ტერენტი კაკუშაძე, ვახტანგ პარკაძე, სერგი დურმიშიძე, ირაკლი ანთელავა, შამშე მეგრელიძე, ედუარდ მენაბდე, შოთა ხანთაძე, გრიგოლ მარგიანი, მამია დუმბაძე, ლეო

კვაჭაძე, ალექსანდრე ღლონტი და სხვანი.

ალ. გვენცაძეს მუშაობა მოუხდა სამოცწლოვანი უნივერ-
სიტეტის ყველა რექტორთან. ესენი არიან: დიმიტრი ბაქრა-
ქიძე, ტიტე სარიშვილი, შოთა სიხარულიძე, ნიკოლოზ
ჩახვაშვილი, იოსებ ნანობაშვილი, ვახტანგ ციხისთავი, ნიკო-
ლოზ ქორთუა, კობა ივანიძე, ნიკო მალუძე, როინ ჭიკაძე.

ასე, რომ ალექსანდრე გვენცაძემ ჩვენი უნივერსიტე-
ტის ნამდვილი მემატიანე და მისი ერთ-ერთი მესაძირკვ-
ლეა.

პროფესორ-მასწავლებელთაგან იგი ერთ-ერთი პირველ-
თაგანი იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხელმძღვანე-
ლობს სხვადასხვა სტრუქტურულ განყოფილებას: იგი იყო
სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანი, ქართული ენისა და ლიტე-
რატურის კათედრის გამგე, სამეცნიერო საბჭოს სწავლუ-
ლი მდივანი; ჰქონდა უამრავი საზოგადოებრივი დატვირთ-
ვა.

დოც. ალ. გვენცაძე 50-მდე სამეცნიერო-მეთოდური
ნაშრომის ავტორია. რომელთაგან რამდენიმე გამოიცა რო-
გორც დამხმარე სახელმძღვანელო; ამათგან აღსანიშნავია:
„ქართული ენის რიცხვითი სახელი“, „ზოგადი სტილისტი-
კის საფუძვლები“, „ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“
სტილისტური ანალიზი“, „ხალხური ზეპირსიტყვიერების
ენა, როგორც ლინგვისტური სტილისტიკის საგანი“.

უაღრესად ფართე იყო ალ. გვენცაძის სამეცნიერო-
პედაგოგიური თვალსაწიერი. იგი კითხულობდა ლექციებს
ისეთ ფუნდამენტურ საენათმეცნიერო დარგებში, როგორე-
ბიცაა: თანამედროვე ქართული ენა, ძველი ქართული ენა,
დიალექტოლოგია, ზოგადი ენათმეცნიერება, სტილიტიკა,
ქართული ენის მეთოდიკა; ხელმძღვანელობდა სტუდენტ-
თა პედაგოგიურ პრაქტიკას. ლექციებს კითხულობდა აგ-
რეთვე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში.

სისტემატურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენ-
ციებისა და სესიების მუშაობაში. თავის მდიდარ ფილო-
ლოგიურ განათლებას დაუზარელად უზიარებდა სტუდენტ-
ახალგაზრდობას. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტებმა
მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მოამზადეს ენათმეცნირე-

ბის აქტუალურ საკითხებზე.

ალ. გვენცაძე ყოველწლიურად აწყობდა სტუდენტთა სამეცნიერო ექსპედიციებს, სადაც მოიძია უძვირფასესი მასალა კახური დიალექტისა და ფოლკლორის შესასწავლად. ამასთანავე იგი გულმოდგინედ ეძებდა და სწავლობდა მივიწყებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

ბატონი ალექსანდრესათვის საქართველოს ყველა კუთხე ერთნაირად იყო საყვარელი. გამორჩეულად ეთაყვანებოდა საინგილოს. მაშინ საინგილოდან არა ერთი სტუდენტი სწავლობდა ინსტიტუტში თითოეული მათგანის ბიოგრაფია იცოდა, ზრუნავდა მათი სწავლა-განათლებისა და საყოფაცხოვრებო პირობებზე. ხშირად აწყობდა ექსკურსიებს კახის, ზაქათალისა და ნუხის რაიონებში. მერედა როგორი სიყვარულით ხვდებოდნენ ყველგან, სკოლებში განათლების რაიონულ განყოფილებებში, ბიბლიოთეკებში თუ ოჯახებში. ამიტომ იყო, რომ ბატონ ალექსანდრეს სახელზე უსასრულოდ მოდიოდა მადლობის წერილები საინგილოდან თუ სამხედრო სამსახურში მყოფი ყოფილი სტუდენტი ინგილოებისაგან, მასწავლებლებისაგან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებისაგან.

ალ. გვენცაძეს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა კახეთის რეგიონის სკოლებთან, იქ მომუშავე პედაგოგებთან. ხშირად მიდიოდა მათთან და უწევდა მეთოდურ დახმარებას. გამორჩეული მეხსიერების წყალობით შეუმცდარად ახსოვდა თავისი ყველა ნასტუდენტარის გვარ-სახელი, რომელ წლებში სწავლობდა თითოეული მათგანი, როგორ სწავლობდა და სხვ.

ათეული წლები ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო საბჭოს. მისი პირდაპირი საზრუნავი იყო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, მისი შევსება ახალი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით.

ალ. გვენცაძეს ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებთან: აკაკი შანიძესთან, ვარლამ თოფურიასთან, არნოლდ ჩიქობავასთან და სხვ. სამწუხაროდ მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგვენახა ამ უნიკალური

ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან.

ალ. გვენცაძე თავისი ცხოვრების წესით უაღრესად კონსერვატორი გახლდათ. ცხოვრობდა საკმაოდ ხელმოკლლედ. იგი გვახსოვს თითქმის სულ ერთსა და იმავე ტანსაცმლით. სამუშაო გარემოსაც ადვილად არ შეიცვლიდა. ნაირგვარი საწერი საშუალებები რომ დამკვიდრდა, იგი მაინც მელან-კალმით სარგებლობდა.

მრავალი უცნაურობა ახასიათებდა.

არ იყო პატივმოყვარე, მაგრამ თუ თამადად არ აირჩევდნენ, სუფრას მიატოვებდა. ამასთანავე სვამდა მხოლოდ ღვინოს, იმასაც ზომიერად. ნასვამი გვინახავს, მთვრალი - არასოდეს.

გულგრილი არ იყო ქალების მიმართ, მაგრამ არასოდეს შეუბღალავს ვისიმე ოჯახის სიწმინდე.

ალექსანდრე გვენცაძე მთელი თავისი არსებით მასწავლებელი გახლდათ, განურჩევლად იმისა, რა რანგის სასწავლებელში მოღვაწეობდა. ტექნიკუმში, საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებელში. იგი იყო უაღრესად პატიოსანი, შრომისმოყვარე ინტელიგენტი, მრავალმხრივი მოღვაწე, - მართლაც ღვაწლმოსილი.

როინ ჭიკაძე
არჩილ სპარსიაშვილი
აპრილი, 2000 წელი

# სოფელი, ბავშვობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი ბარეული ულამაზესი სოფელია ქვემო-რაჭაში. იგი შედიოდა საზოგადოებაში (ამჟამად ამბროლაურის რაიონის ბუგეულის საბჭო). ულამაზესია სოფლის ლანდშაფტი: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სოფლის ტერიტორია ერთგვარად დაქანებულია – რამდენიმე სერით არის გაყოფილი მთელი სოფლის მიდამო. სამხრეთ-დასავლეთიდან მაღალი გორაა აღმართული. ამ გორას დეგციხე ჰქვია. შემდეგ დამრეცილ ზეგანის ნაწილში მოსახლეობა უბნებადაა განლაგებული. შემდეგ ისევ გამყოფი ზოლია. აქ შედარებით უფრო ვაკე ნაკვეთებია, რომლებსაც უმთავრესად ვენახებისთვის იყენებენ; შემდეგ ისევ გამყოფი ზოლია – და იწყება მდ. რიონისპირა ჭალები. ასეთი მდებარეობა ხელს უწყობს მოსახლეობას, რათა გაევითარებინა ვენახის, პურეულის, სიმინდის, ხეხილის კულტურა. სოფელში ომიანძეების განთქმული წყაროს წყალია.

ამ ულამაზეს სამყაროში დაიბადა და გაიზარდა ბატონი ალექსანდრე გვენცაძე.

ალ. გვენცაძე მშობლებთან

მისი ავტობიოგრაფია გვამცნობს, რომ ალ. გვენცაძე დაიბადა 1904 წლის 27 ნოემბერს. მამა – ერასტი სოლომონის ძე გვენცაძე, სოფლის მეურნეობის მუშაკი ყოფილა. წარმოშობით – გლეხი. სცოდნია დურგლისა და კალატოზის ხელობაც. სოფელში თურმე ითვლებოდა მოწინავე პირად. მისი ინიციატივით 1910-იან წლებში სოფელში, ნაქირავებ ბინაში გახსნილა სამრევლო სკოლა. შემდეგ სოფელს ფული შეუგროვებია და უყიდია სახლი, რომელიც დაუდგამთ შუა სოფელში, მაგრამ

სასკოლო შენობა ველარ დაუმთავრებიათ, რადგან 1914 წლის 20 ივლისს (ძვ. სტილით) მოქმედ არმიაში გაუწვევიათ. სახლი დაძველებულა, დაუშლიათ და ფიცარ-ფიცარი გაუნაწილებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმიიდან მამა ალარ დაბრუნებულა. ყოფილა თურქეთის ფრონტზე. თურმე ითვლებოდა მზვერავთა ოცეულის მეთაურად. მტრის ბანაკს სპეციალური ჯილდო ჰქონია დაწესებული იმისთვის, ვინც მას ცოცხლად ტყვედ ჩაიგდებდა ან მოჰკლავდა. ერთ-ერთი ოპერაციის შესრულებიდან რომ ბრუნდებოდა ოცეული, ჩასაფრებულ მტრის რაზმთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულა (1915წ.).

ბატონი ალექსანდრეს დედა ყოფილა გვიტია ივანეს ასული ფოფხაძე, იმავე სოფლიდან. „დედაჩემმა წერა-კითხვა იცოდაო" – ბრძანებს ბატონი ალექსანდრე. „სულ დიასახლისობასა და შრომაში გაატარაო წუთისოფელი". ქალბატონი გვიტია ზრდიდა ობლებს – ერთ ვაჟსა და სამ ქალიშვილს. გარდაცვლილა თელავში, 1959 წელს.

ბატონი ალექსანდრეს ოჯახი მრავალრიცხოვანი ყოფილა, „დაახლოებით 20 სულისაგან შედგებოდა" თურმე. შრომა-საქმიანობაში ადრე ჩაუბამთ ბავშვები. „ჩვენი ძირითადი საქმე იყო საქონლის მწყემსვა, კალოზე დახმარება, რთველი და სხვაო" – იგონებს ბატონი ალექსანდრე.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბიძები სოფელში დაბრუნებულან. ბებია და ბაბუა (პაპა) გარდაცვლილან 1919 წელს „ისპანკით". ამ პერიოდში ოჯახი სამად გაყრილა. ერთ ზაფხულს კოლმეურნეობაში უმუშავია. შემდეგ კი პედაგოგიური მოღვაწეობა დაუწყია.

ბატონი ალექსანდრე გვიყვება: „როგორ ალვნიშნე, 1910-იან წლებში მამაჩემის თაოსნობით სოფელში გაიხსნა სკოლა. სოფელი პატარა არის. სოფლის ერთი უბანი სხვა სოფლის (ლადიშის) ეკლესიასთან უფრო ახლოს არის. ამიტომ მღვდელს მოუწადინებია ამ უბნის მცხოვრებთა მიწერა თავის მრევლზე. თუ სოფელი გაიყოფოდა, სკოლა ალარ დაარსდებოდა. ერთხელ სოფელზე ჯორით ამოევლო მღვდელს. მამაჩემს შეეჩერებინა იგი და განემარტა, რომ არ დაეზიანებინა სოფელი. საუბარი მუქარაში გადაზრდი-

ლიყო. მღვდელს ეთქვა: შენ „არეულობის“ დრო არ გეგონოსო, ვერაფერს ვერ დამაკლებო! – თურმე მამაჩემი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905–იანი წლების რევოლუციაში. როგორც ცნობილია, ამ წლებს „არეულობას“ ეწოდებდნენ ხალხში. საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს სკოლის მომხრეებმა. მასწავლებლად მოწვეულნი იყვნენ ცოლ–ქმარი ზოსიმე და ანეტა ფოფხაძეები. ზოსიმე ჩემი ნათლია იყო, თან დედაჩემის ბიძაშვილი. მე მომეცა უფლება გაკვეთილებზე დასწრებისა, რადგან ჯერ არ ვიყავი სასკოლო ასაკის. პირველ წლებში სწავლობდნენ დიდი გოგო–ბიჭები, რადგან მანამდე სოფელში სკოლა არ იყო, და ახლა კი ყველას ჰქონდა მისწრაფება სწავლისადმი. სკოლამ ბევრჯერ შეიცვალა ბინა. ყოველთვის ნაქირავებ სახლში იყო მოთავსებული. მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ააგეს სასკოლო შენობა. ამ სკოლამ დიდი სამსახური გაუწია მოსახლეობას“ (1978–79 წელს სკოლაში სამი ბავშვი იყო).

ალ. გვენცაძეს 1914 წელს დაუმთავრებია ოთხი კლასი. იმავე წელს დედას წამოუყვანია ქ. ქუთაისში. კლასიკურ გიმნაზიასა და სათავადაზნაურო სასწავლებელში ძნელი ყოფილა ჩარიცხვა, ამიტომ მისი საბუთები შეუტანიათ სასულიერო სასწავლებელში (იქ მანამდე ჩარიცხული ყოფილა მისი ერთი ბიძაშვილი და ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა). ბატონი ალექსანდრე წერს: „საკონკურსო გამოცდები ჩამაბარებინეს, მაგრამ მეცილებოდა თურმე ვიღაც მღვდლის შვილი. საქმეში ჩაერია ჩემი ნათლია, ე.ი. ჩემი პირველი მასწავლებელი ზოსიმე ფოფხაძე, ინფორმირებული გახადეს ეპისკოპოსი, რომ მე ვიყავი ფრონტელის შვილი. ამის შემდეგ ჩამრიცხეს.

ვცხოვრობდი ბიცოლა ჩემთან, დედაჩემის ძმის ცოლთან, რომელიც გამოჰყვა თავის ორ შვილს, რომლები აგრეთვე ქუთაისში სწავლობდნენ“. ბატონი ალექსანდრე ყველა საგანს კარგად სწავლობდა, გარდა გალობისა. ჰყოლია კარგი მასწავლებლები – თომა ფერაძე (ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას), ანთიმოზ გორგაძე (ასწავლიდა მათემატიკას). დაბალ კლასებში მისი მასწავლებელი ყოფილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიტროფანე ფხაკაძე (მესამე კლასის ჩათვლით).

საინტერესოა მოგონების ეს ეპიზოდი: „1917 წლის მარტის ერთ დღეს გაკვეთილზე შემოდის სემინარიული (იმხანად თბილისიდან ქუთაისში გადმოიტანეს სემინარია და მოზრდილი ახალგაზრდობა სწავლობდა). სემინარიელმა მიტრ. ფხაკაძეს განუცხადა: მეფე ჩამოაგდეს, ეწყობა დემონსტრაცია და მოწაფეები გაათავისუფლეთ. მასწავლებელი მიტ. ფხაკაძე არ განძრეულა, იგი უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო. გაკვეთილი გაგრძელდა, ისევ შემოვიდა ის სემინარიელი (მგონი, სვანი, გვარად პირველი იყო). შეწყდა გაკვეთილი. სკოლის ეზოში შეკრებილიყო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები. სულ პატარებს მოგვცეს სახელდახელოდ გამზადებული წითელი დროშები. ჩაგვაყენეს წინ და ხალხის ტალღა გაემართა „გაბაშვილის გორისაკენ“. „ცაცხვებისაკენ“, შემდეგ დავუხვიეთ და წითელი ხიდს გავლით შევუერთდით აბობოქრებულ ქალაქს“.

ამ პერიოდში დაბა ჭრებალოში უკვე მოქმედებდა „პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი“. 1919 წლის სექტემბრიდან ალ. გვენცაძე ჩარიცხულა ჭრებალოს სასწავლებელში. თურმე აქვე სწავლობდნენ მისი ბიძაშვილებიც. ბარეულიდან ჭრებალომდე დაახლოებით 7 კილომეტრი მაინც არის. ალექსანდრეს ყოველდღე ფეხით, იქეთ-აქეთ, 14 კილომეტრის გავლა უხდებოდა, მაგრამ იშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ დაეგვიანებინა ან გაეცდინა.

ჭრებალოს სკოლის დირექტორი ყოფილა ლონგინოზ კვიკვიძე, – ადამიანი განათლებული, პრინციპული, შეგნებული დისციპლინის დამცველი, გულისხმიერი. იგი იმავე დროს ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას და ლიტერატურის თეორიის ელემენტებს. „დიდი ყურადღებით ვიყავით მისი გაკვეთილებისადმი“. „ზოლოტას“ მეძახდაო, – იგონებს ბატონი საშა, – განსაკუთრებით დამრჩა ცოდნა ლიტერატურის თეორიაში (შემდეგში ამ პირობამ გარკვეული როლი ითამაშა ჩემი მომავალი პროფესიის არჩევაში)“.

ჭრებალოს სკოლაში მისი საუკეთესო მასწავლებლები

ყოფილან: გრ. ბენდუქიძე (მათემატიკის), ვ. სანთელაძე (ქართული ლიტერატურა და ენის), ეკ. ჩაჩხიანი (ისტორიის), კ. ჩიჯავაძე (უცხო ენის), ბ. ჯიჯეიშვილი (ბიოლოგიის), ვ. ცხვირავაშვილი (სამხედრო საქმის), პ. ლეკიშვილი (გეოგრაფიის), ან. გვენცაძე (რუსული ენის) და სხვანი.

ძნელ პირობებში უხდებოდა სწავლა. „არ იშოვებოდა ნავთი, ამიტომ, – წერს ბატონი ალექსანდრე, – იძულებული ვიყავით, – შეგვეგროვებინა ფიჩხი და ჩალა და მის ალზე მოგვემზადებინა გაკვეთილები. არც სახელმძღვანელოები გვქონდა, რვეული ხომ უცხო ხილი იყო. მთელი სიმძიმე ეკისრებოდა მასწავლებელთა თხრობას და ზეპირ ვარჯიშს“.

1921 წელს დამყარდა საბჭოთა წყობილება. ახალი ხანა დაიწყო ქვეყნის ცხოვრებაში. სულ მალე ჭრებალოში გაიხსნა გიმნაზია (1921–1922 სასწ.წ.) იყო მარტო ერთი კლასი, რომელიც მოთავსებული იყო სამიკიტნოს მეორე სართულზე, სასტუმროს ერთ–ერთ ოთახში. გარკვეული უწესრიგობის გამო გიმნაზიამ მალე შეწყვიტა არსებობა.

1923 წელს დედას წაუყვანია თბილისში, მაგრამ მისი ჩარიცხვა რომელიმე სკოლაში ძალიან გაძნელებულა. ნათესავების მეშვეობით გამოჩენილა ცნობილი მასწავლებელი მაქსიმე ბერძენიშვილი. საბოლოოდ საქმეში ჩარეულა მინ. სვანიძე, მას მატერიალური დახმარებაც გაუწევია: ჩაურიცხიათ მეორე შრომის სკოლაში, რომელიც არსებობდა მეორე გიმნაზიის ბაზაზე. მაშინ მეორე შრომის სკოლის გამგე ყოფილა პოლიექტივ იოსელიანი, – კარგი ინტელიგენტი და მამულიშვილი. უაღრესად ჰუმანური და ლიბერალი. ამ დროს მარტო ცხრა, მეცხრე (დამამთავრებელი) კლასი ყოფილა ერთდროულად. ამ დიდი სკოლის მთელი ცხოვრება მიჰყავდა ისეთ ენერგიულ ადამიანს, უაღრესად მაღალი რანგის სკოლის მუშაკს, როგორიც იყო მოადგილე ალექსანდრე გვახარია.

მეორე შრომის სკოლაში საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ მოწაფეები. საუკეთესო მასწავლებლები ყოფილან: პეტრე მირიანაშვილი (ქართული ენა და ლიტერატურა), ალექსანდრე მგალობლიშვილი (ალგებრა–მათემატიკა).

ალექსანდრე ნამორაძე (ისტორია), ვასილ პაპიტაშვილი (ფიზიკა), გრიგოლ ანიკაშვილი (გეომეტრია), ვახტანგ კოტეტიშვილი (პოლიტიკური ეკონომიკა), ბესარიონ წიფურია („შმო – შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“), სოლომონ ფურცელაძე (რუსული ენა), მუჯირი (გეოგრაფია), ვიქტორ კანდელაკი (მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები და ლიტერატურის თეორია) და სხვანი.

ვიქტორ კანდელაკი ამავე დროს იყო განათლების კომისარიატის პროფგანათლების განყოფილების გამგე. მან კარგად იცოდა ჭრებალოს გიმნაზიის ბედი და თბილისში ბატონ ალექსანდრეს ჩარიცხვასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი. ერთ მის გაკვეთილზე განუცხადებია: – ეს ყმაწვილი იმ გიმნაზიიდან არის, რომელიც მოთავსებული იყო სამიკიტნოს თავზე და კერძების სურნელება აბრუებდათო. ერთ დღეს უთქვამს: ჩვენი გამგე პოპიკო (ასე ეძახდნენ პოლ. იოსელიანს) აქვე, სკოლის ეზოს სახლში ცხოვრობსო. საღამოზე მასთან უნდა მიხვიდეო. მიზანი არ უთქვამს. მართლაც, მისულა. პოლიექტოვი უშვილო იყო. გამოუტანია თავისი ნახმარი ფეხსაცმელი და შეუთავაზებია. ბევრი უარის მიუხედავად მაინც დაუყოლებია.

მეორე შრომის სკოლაში სწავლებისას კომკავშირის რიგებში მიუღია მიხეილ ნარსიას.

# უნივერსიტეტი, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 წლის სექტემბრიდან ალექსანდრე, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. მოგეხსენებათ სწავლასმოწყურებული სოფლელი ბიჭის გატაცება. აქ ყველა და ყველაფერი საინტერესო იყო: თავაუღებელი შრომა, კომკავშირული მუშაობა, სტუდენტთა შემოქმედებით ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ა.შ. მან აქაც არ იცოდა კომპრომისი და შერიგება, როცა ამას საქმე კარნახობდა.

ერთ მოგონებაში ალექსანდრე გვიყვება:

„ერთხელ სტუდენტები შეგვკრიბეს კლუბში (ქიმიის აუდიტორიაში). უნდა განეხილათ სტუდენტთა სასადილოს მუშაობის საკითხი. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჯერ ჩვენს ულუფა პურს ვიღებთო, მერე ძალიან დაგვიანებით მოაქვთო კერძები, მანამდე კი პური შემოგვეჭმებაო, თან საყვედურობდნენ, რომ პურის ულუფა ცოტა არისო. ბატონი არნოლდ ჩიქობავაც იქ ბრძანდებოდა. გამოვიდა გულთბილი სიტყვით; მან აღნიშნა: შემოვიღოთო ისეთი წესი, როგორიც რუსეთის სასადილოებში არისო: აწყვიაო დაჭრილი პური და ვისაც რამდენი ესაჭიროება, იმდენს აიღებსო. შენობის დამანგრეველი ტაშის გრიალი ავტეხეთ, თითქმის ათი წუთის მანძილზე არ შეგვიჩერებია ტაში. ეს მოკრძალებული ადამიანი თვითონ მიხვდა, რომ სასადილოში, სადაც ქართველები სადილობდნენ, ასეთი წესის შემოღება არავის არ მისცემდა სარგებელს“.

და კიდევ: „საკურსო სამუშაო ლიტერატურაში ბ–ნ კ. კეკელიძესთან შევასრულე. თემად შემხვდა სასულიერო ლექსი – „ფილიპე“ (აკროსტიქულია). მე აღვნიშნავდი, რომ ამ ლექსის პოეტიკა წინ უძღვის „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას–თქო. ბატონმა კორნელიმ მომიწონა დაკვირვება და თან მირჩია, რათა ამ ხაზით გამეგრძელებინა მუშაობა“.

ფსიქოლოგიაში პრაქტიკულ მეცადინეობებს თურმე უტარებდნენ გ. ბაქრაძე და ხმალაძე. ბატონ დ. უზნაძეს დაუ-

ვალებია მათთვის ასპირანტურაში ჩასარიცხად სტუდენ-
ტის შერჩევა. „მითხრეს, რომ უნდა გამოვცხადებულიყავი
პროფესორთან (მაშინ დ. უზნაძეს ლაბორატორია ჰქონდა
კამოს ქუჩაზე, დიდი მთავრის ყოფ. ქუჩა). იგი იქვე ცხოვრობ-
და. მოწიწებით შევედი კაბინეტში. მომიკითხა. შემდეგ უცბად
მიმითითა იქვე კედელზე დაკიდებულ სურათზე და მითხ-
რა: თუ იცითო, ვინ არის ეს? – მე უარყოფითად ვუპასუხე.
მაშინ მითხრა: ეს ვუნდტის სურათი არისო. მე უნებურად
შეკრთომა და გაკვირვება გამომეხატა. მან მითხრა, ახლა
უფრო დაინტერესებით: რატომ გაგიკვირდაო? – მე ვუპა-
სუხე: ვუნდტს კარგად ვიცნობ თქვენი წიგნებით და ლექციე-
ბით. მე ის მეჩვენებოდა მგზნებარე, მედგარი, გარდამქმნე-
ლი და სხვა. დიდმა მეცნიერმა გაიღიმა და მითხრა ვუნდტის
ზოგიერთი ფიზიკური ნაკლის შესახებ.

პროფესორს ვერაფერი ვუთხარი გარკვევით ფსიქოლო-
გიაში ჩემი მუშაობის შესახებ. მოვიფიქრებ და გაცნობებ-
თქო. დიდი მადლობით გამოვემშვიდობე. ამ საკითხზე მას
აღარ შევხვედრივარ, ისე შეიცვალა მდგომარეობა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში თელავში შევხვდი
ბატონ დიმიტრის (მგონი, ვალ. მელაძესთან იყო სტუმრად).
გავახსენე მაშინდელი შეხვედრისა და წინადადების შესა-
ხებ. მითხრა: – არა უშავს რა, მაინც ხომ უმაღლეს სასწავ-
ლებელში მუშაობ!“

სახელმწიფო გამოცდები უნივერსიტეტში იმჯერად არ
ჩატარებულა. „იმხანად უნივერსიტეტის ცხოვრებაში მზად-
დებოდა გარდამქმნელი ღონისძიებანი. დიპლომები შემდეგში
განსახკომის მიერ იქნა გაცემული. ეს იმის მიზეზი იყო,
რომ ერთხანს უნივერსიტეტი გაიყო და მის ბაზაზე მივი-
ღეთ თბილისისა და ქუთაისის ინსტიტუტები (ეს შეცდომა
მალე იქნა გამოსწორებული).

კურსდამთავრებულთა ორგანიზებული განაწილება არ
მომხდარა. ინდივიდუალურად ვცხადდებოდითო განსახკო-
მის კადრების განყოფილებაში.

ალ. გვენცაძის არქივში არა ერთი საინტერესო მოგო-
ნებაა: „ერთ დღეს ბატონმა ვარლამ თოფურიამ მომძებნა
და სამუშაოდ წამიყვანა თბილისის ერთ-ერთ სტამბაში

კორექტორის მოვალეობის შესასრულებლად (იქვე კორექტორად მუშაობდა პოეტი იოსებ მჭედლიშვილი).

სულ მალე ბატონი ვარლამი მეუბნება, რომ აკაკი მანიძესაგან ჰქონდა დავალება, რათა ლექსიკოლოგიის კაბინეტში სამუშაოდ შეერჩია ერთი კურსდამთავრებული. მეორე დღეს სამუშაოებს ვეცნობოდი ლექსიკოლოგიის კაბინეტში. კაბინეტი უნივერსიტეტში არსებობდა, მაგრამ ჯერჯერობით უნივერსიტეტის ბიუჯეტზე არ იყო, – მას ინახავდა განსახკომის ერთ-ერთი განყოფილება, რომელსაც ბატონი ვუკოლ ბერიძე განაგებდა. ჩემს მოვალეობას შეადგენდა: ამონაწერების ანბანის მიხედვით დალაგება.

გარდა სალექსიკონო მუშაობისა, ბატონი აკაკი სხვა სამუშაოებსაც გვაკისრებდა: შემოვიკრიბეთ კურსდამთავრებულები, აგრეთვე – დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ვმუშაობდით, ვარჩევდით სტროფიდან სტროფამდე და სხვა.

ამასთან ერთად, იმ დროს ბატონი აკაკი აპირებდა ხევსურული პოეზიის მასალების გამოცემას. ვეხმარებოდით გადაწერასა და სასტამბოდ გამზადებაში“. აი რას წერს აკად. ა. შანიძე აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში: „არ შემიძლია მადლობა არ მოვახსენო იმათ, ვინც ამ წიგნის გამოცემას შეუწყვეს ხელი... სტამბაში ჩასაბარებელი დასაბეჭდი ლექსების ერთი ნაწილის გადაწერაში დახმარება გამიწიეს ქართული ენის კაბინეტის მომუშავეებმა: ს. ჩხენკელმა, ა. გვენცაძემ და სტუდენტმა – ქალებმა“... ეს სიტყვები 1931 წლის 23 ივლისს არის დაწერილი.

ლექსიკოლოგიის კაბინეტში, დასაქმებულები ყოფილან: თამარ ციციშვილი, რუსუდან ხარაძე, თალიკო ვარაზაშვილი, ელენე დიასამიძე, თამარ სარალიძე, ქეთევან ცხადაძე, ელენე გოგაძე, ელენე აგლაძე, მაყვალა მრევლიშვილი, მარგალიტა გოგოლაშვილი, რუსუდან ჩუბინაშვილი, ქეთევან ლომთათიძე და სხვანი.

ლენინგრადში ნ. მართან წასვლამდე ლექსიკოლოგიის კაბინეტის მუდმივი სტუმრები იყვნენ შოთა ძიძიგური და იოსებ მეგრელიძე.

უნივერსიტეტში შექმნილმა სიტუაციამ აიძულა ბატო-

ნი ალექსანდრე, განეცხადებინა ბატონ აკაკისათვის, რომ კახეთში წავიდოდა, პედაგოგიურ სამუშაოზე. „ჯერ გაკვირდა, მერე მისებური იუმორით მითხრა, არა გრცხვენია, ალექსანდრე, რომ ასეთ აწეწილ ვითარებაში მარტო მტოვებო! მერე კი მითხრა, – დავრჩენილიყავი. თუ ლექსიკოლოგიის კაბინეტი აღარ იარსებებდა, სხვა რაიმე სამუშაოს გამომიძებნიდა, არ ვინანიოთ შემდეგ, მაგრამ სულ მალე დავემშვიდობეო“ – იგონებს ბატონი საშა.



ალ.გვენცაძე და პროფ. ლ.მენაბდე, 1967 წ.

თანამედროვე მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო ალ. გვენცაძის მოგონება იმჯერად მისი რთული მდგომარეობის შესახებ:

„იმხანად, ჩემი სტუდენტობის პერიოდის მეგობრები შემხვდნენ, ისინი კახეთის რაიონების სკოლებში მუშაობდნენ და მეც მეპატიჟებოდნენ. სულ მალე გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმში გამოვცხადდი. აქ გამგედ გრიგოლ გოცირიძე მუშაობდა. – ერთი წელი მას თელავში ემუშავნა მასწავლებლად, შემდეგ კი გურჯაანში გადაეყვანათ. გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმში იმხანად ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ეკატერინე ბეჟაშვილი, რომელიც ითხოვდა სიღნაღში გადასვლას, ვინაიდან მისი ოჯახი სიღნაღში ცხოვრობდა. სანამდე ეს გაფორმ-

დებოდა, მე დროებით (ერთი თვით) გავემგზავრე სოფ. კარდენახში. იქ არასრული საშუალო სკოლა იყო. გამგედ ითვლებოდა მირიან კარაბეკოვი, კაცი განათლებული, საქმის ერთგული, გულისხმიერი, თავაზიანი.

კარდენახში ერთ თვეს არ დავრჩენილვარ. გამიწვიეს გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც მოთავსებული იყო ზემო-გურჯაანის ხევისუბანში, განკულაკებულის სახლში. ტექნიკუმთან არსებობდა რვაწლიანი სკოლა. მთელი ხევისუბანი სასკოლო ტერიტორიას წარმოადგენდა. ერთი სასწავლო წლის შემდეგ ტექნიკუმი გადმოტანილ იქნა ქალაქის ტერიტორიაზე, რკინიგზის სადგურის ახლოს. ეს შენობა აეშენებინა სატყეო უწყებას, რომელიც ზემო-გურჯაანში გადავიდა საკუთარ შენობაში. ზემო გურჯაანში საშუალო სკოლაც არსებობდა.

პედაგოგიურ ტექნიკუმს ჰყავდა კარგი პედაგოგიური ძალები, – განაგრძობს ბატონი ალექსანდრე, – მათ შორის: ალექსანდრე (საშა) ბარამიძე (მალე გარდაიცვალა), ვალერიან ბიწაძე, გიორგი დევიძე, შალვა ბოსტოშვილი, ტარასი თოდრია, ვლადიმერ ჭუმბურიძე, ზაქარია სიბაშვილი, იოსებ იმერლიშვილი, ვალია შენგელია, გრიგოლ სანაძე, შალვა ბებიაშვილი.

გურჯაანის საშუალო სკოლაში (ზემო-გურჯაანში დარჩა) იმ დროს მუშაობდნენ: შალვა თურმანიძე, სერგო დურმიშიძე, მოსე დაქიშვილი, ერემია ასტვაცატუროვი, იასონ გუგუნავა (ქარელიშვილი), შალვა გოცირიძე, შალვა ბახტაძე, მირიან ბერიაშვილი, თეოფილე ჭიჭინაძე, კარლო კალაძე, მირიან გოგოშიძე, ეკატერინე ბაწაშვილი და სხვანი.

საბაზო დაწყებითს სკოლაში მუშაობდნენ სახელმოხვეჭილი და გამოცდილი პედაგოგები: ნინო ალადაშვილი, ნინო ნატროშვილი, ეკატერინე რაქვიაშვილი, სანია კრემენსკაია – ჩხეიძე და სხვანი“.

ეს პერიოდი (1930–34წწ.) მეტად თავისებური იყო. მთავარი კი ის იყო, რომ სკოლებს სთავაზობდნენ ე.წ. „კომპლექსურ მეთოდს“. ამ მეთოდის ნაკლოვანებანი მალე გამომჟღავნდა...

1930-იანი წლები იყო საკოლმეურნეო მშენებლობის

ალმავლობის დასაწყისი. კოლექტივიზმის ტენდენციამ ცხოვრების ყველა უბანზე იწყო გამოკრთომა. სკოლაშიც თავი იჩინა კოლექტივიზმის უკიდურესმა და ფორმალური-მით გაჟღენთილმა პრაქტიკამ. რეკომენდებული იყო ე.წ. „ბრიგადული“ მეთოდი. ეს იყო საკოლმეურნეო წყობის, ე.წ. ბრიგადების პრაქტიკის მექანიკური გადანერგვა სასწავლო პროცესში. მერხის (უფრო მაგიდის) გარშემო ისხდნენ მოწაფეები (უფრო ხშირად ოთხ-ოთხი). ახალი მასალის გადაცემის შემდეგ გაკვეთილის დანარჩენი დრო ეთმობოდა მოწაფეების ბრიგადაში „მუშაობას“, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმძღვანელოს მიხედვით იქვე კითხულობდნენ სათანადო მასალას. ადგებოდა ერთ-ერთი და უყვებოდა მასალას. ამის მიხედვით იმ „ბრიგადაში“ ყველასათვის უნდა ჩაეთვალათ ცოდნა. „ვერ შევეგუე ამ წესს, მეთოდს“ – წერს ბატონი ალექსანდრე.

ერთხელ მას თათბირზე განუცხადებია: „მუშაობის ეს მეთოდი აყალბებს სასკოლო განათლების შინაარსს. წარმოიდგინეთ, რომ 4–5 კოლმეურნეს მივცეთ ერთი თოხი, რომელსაც ყველამ ერთად უნდა ჩაავლოს ტარს ხელი, ხოლო ასეთ „მუშაობას“ რა მოჰყვება, რა შედეგს მიიღებენ, ეს ხომ წინასწარ ცხადია“. მალე გახდა ნათელი „ბრიგადული“ მეთოდის უვარგისობა (უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ე.წ. 5 სექტემბრის დადგენილებას).

სასკოლო ცხოვრება თანდათან დგებოდა ნორმალურ კალაპოტში.

ძალიან ძნელი პირობები იქმნებოდა საერთოდ, ლიტერატურის ნიმუშების და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ნიმუშების სწავლებისას.

ბატონ ალ. გვენცაძეს ძვირფასი მოგონებები აქვს აგრეთვე სიღნაღში მუშაობის შესახებაც. აღნიშნულის გამო წერს:

„1934 წელს გურჯაანის პედაგოგიური ტექნიკუმიდან გადასვლა მომიხდა სიღნაღის პედტექნიკუმში. მაშინ სიღნაღში განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა ნიკოლოზ ჭელიძე, – ჩემი მეზობელი რაჭიდან, ჩემი დის ყოფილი მასწავლებელი, უაღრესად განათლებული და ენერ-

გიული ადამიანი. სპეციალურად შემხვდა იგი და, რომ იტყვიან „გადამიყვანა“ თავის განზრახვაზე. სილნაღის პედაგოგიური ტექნიკუმიდან მასწავლებელი მიდიოდა ქუთაისში. გარდა ამისა, გურჯაანიდან ჩემს წასვლას ჰქონდა სხვა ობიექტური მიზეზებიც“.

ალ. გვენცაძე 1934 წლის სექტემბრიდან სილნაღის პედაგოგიური ტექნიკუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. საკმაოდ კარგი ტრადიციის პედაგოგიური ტექნიკუმი გახლდათ სილნაღში. ტექნიკუმს ხელმძღვანელობდა ენერგიული, უანგარო, პრინციპული მუშაკი – მიხეილ გიორგის ძე შაიშმელაშვილი. ტექნიკუმში გამოცდილი პედაგოგები მოღვაწეობდნენ: ვარლამ შენგელია, თომა ნაცვლიშვილი, ანდრო დარჩიაშვილი, ნინო ნადირაძე, იოსებ დარჩიაშვილი, ილია გოცირიძე, დავით დანგაძე, ჩერემისოვი...

ტექნიკუმთან არსებობდა საბაზო შვიდწლედი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნიჭიერი პედაგოგი გიორგი ბილანიშვილი; დაწყებით კლასებში მუშაობდნენ დიდი გამოცდილების მასწავლებლები: სოფიო ნადირაშვილი, ელიზავეტა კობეშავიძე და სხვანი.

„სათანადო ღონისძიებები ტარდებოდა აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით. გვყავდა ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდობა“ – იგონებს ბატონი ალექსანდრე.

სილნაღში საშუალო სკოლაც არსებობდა.

სილნაღის საშუალო სკოლაში კარგი მასწავლებლები მოღვაწეობდნენ: დომენტი გიორხელიძე, არჩილ გოცირიძე, დიმ. ნაცვლიშვილი და სხვანი.

ალ. გვენცაძე გულწრფელია:

„ვინაიდან ამ ჩემს მოგონებას გულწრფელობის ნაკადი გასდევს, – წერს ალ. გვენცაძე. – პრინციპულად უნდა შევეხო ერთ მოვლენას: საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაშალა სასკოლო ქსელი. კახეთში მასწავლებელთა კადრები საკმარისი არ იყო. ამის გამო გარკვეული უწყებების მიერ ორგანიზებულად იგზავნებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მასწავლებლები. კახეთის ინტელიგენციის ერთ ნაწილს არ მოსწონდა ეს პოლიტიკა და

ფარულ შულლს აღვივებდა მოსულთა მიმართ. მშრომელი მოსახლეობა კი, პირიქით, დიდ პატივს სცემდა ყველა მასწავლებელს უკლებლივ. პირადად მე ვერასოდეს ვერ მკადრებდნენ ასეთ განწყობილებას (შეიძლება, ვერ ვგრძნობდი!), მაგრამ მაინც იყო ერთგვარი გამოვლინება. საშუალო სკოლაში მუშაობდა ერთ-ერთი მასწავლებელი, უნივერსიტეტში ჩემი თანაკურსელი. არაფრით არ გამოირჩეოდა უნივერსიტეტში, პირიქით, ათვალწუნებულიც კი იყო. იგი მოწიწებით არ შეხვდა სილნაღში ჩემს მოღვაწეობას. პედაგოგიური ტექნიკუმის ხელმძღვანელობამ გულწრფელად გამაფრთხილა, რომ მას ტექნიკუმის რაიმე წარმატება არ ახარებსო. ნურავითარ ყურადღებას ნუ მიაქცევო. მაგრამ მოხდა რამდენიმე ფაქტი, რომელმაც ფარდა ახადა ყველაფერს. საბაზო არასრულ საშუალო სკოლაში სწავლობდნენ და და ძმა. და ძალიან ნიჭიერი იყო და კარგ ოჯახიშვილობას ამჟღავნებდა. ძმა უფრო დაუდევარი, ცულლუტი და ყბედიც იყო. თურმე სათანადოდ ვერ დაემორჩილებინათ მასწავლებლებს, როდესაც საკონტროლო წერა ჩავატარე, აგდებულად იქცეოდა. სულ მალე „ჩავაგდე" კალაპოტში, „მოვთოკე" (მადლობასაც კი მიხდიდნენ, განსაკუთრებით ქალი მასწავლებლები). ყოველი საკონტროლო ნამუშევრის გასწორებისა და დაბრუნების შემდეგ ერთ ალიაქოთს ტეხდა: შეცდომები არა მაქვს დაშვებული და ნიშანს რად მიკლებთო! როგორც ჩანდა, ეს ამბები ოჯახში თქვა დამ, ჩემთან მოვიდა დედა და მითხრა: გთხოვთ ყურადღებას ნუ მიაქცევთო. წერითი ნამუშევრები მიაქვს საშუალო სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელთან და ის არწმუნებს, თითქოს შეცდომები არ არის და შეფასების ნიშანი განგებ არის დაკლებულიო. ჩემთვის ნათელი გახდა ყველაფერი (მაგრამ ამასაც მოვუარე შესაფერისად).

პედაგოგიურ აუდიტორიაში დაწყებითი კლასების მასწავლებლისათვის დანიშნული იყო მეთოდური ხასიათის ჩემი მოხსენება – წერის სწავლების შესახებ დაწყებით კლასებში, – განაგრძობს ბატონი ალექსანდრე, – ფართო აუდიტორია შეიქმნა. მოვიდა საშუალო სკოლის ის მასწავლებელიც. გამოვიდა კამათში: ჩვენ აქ ტყუილად

მოვცდითო, რა საჭირო იყო ლაპარაკი: რვეულზე, კალამზე, ჯდომის წესებზე, გასწორების წესებზე, გადაწერისა და კარნახის სახეობებზე და სხვა. ჩვენ აქ გვჭირდებოდა ლაპარაკი სადავო საკითხებზე, ე.ი. ორთოგრაფიის ჯერ კიდევ დაუდგენელ წესებზე და სხვა (თავისთავად, ცხადია, გარკვეული პასუხი გავეცით ასეთი გამოხდომის გამო. შემდეგში აღარც გამოჩენილა საჯაროდ).

რაიონული გაზეთის რედაქტორს ი. ჭოჭუას ერთი ნაკლე ცოლისძმა ჰყავდა, – გაუნათლებელი და ჩამორჩენილი. ჩვენდა საუბედუროდ, ლექსებსაც აცოდვილებდა. რამდენჯერ უთქვამს რედაქტორს: ძალიან გთხოვთ, როგორმე ჩამომაცილეო, ათასში ერთხელ შენ შეუსწორე, თორემ ამიკლო ოჯახში. ამ „პოეტს“ ერთი ჩვენი მოწაფე, სოფლად მისი მეზობელი, ჰყვარებოდა. თურმე ამ ლექსებით იმას აწონებდა თავს. ერთ მშვენიერ დღეს საჩივარი გაეგზავნა ზემდგომ ორგანოებში: გაზეთი ყურადღებას არ მაქცევს, ჩემი ნიჭი ლამის ჩაახშონო. ა. გვენცაძე მარტო თავისი მოწაფეების შემოქმედებით ნიმუშებს ბეჭდავსო. თან სახელს უტეხდა თავის გრძნობის ობიექტს, ჩვენი ტექნიკუმის მოწაფე ქალს ცილისწამებით. ამით ისარგებლეს რედაქტორმა და დაზარალებულებმა და სასამართლოს მიმართეს (მგონი, შემდგარიყო სასამართლო და ცილისმწამებელი დაესაჯათ).

ამ მოგონებების მკითხველმა შეიძლება არ დაიჯეროს, მაგრამ გულწრფელად უნდა ვთქვა: როდესაც თელავში დავიწყე მუშაობა, ერთ მშვენიერ დღეს გამომეცხადა ეს ჩვენი მომჩივარი „პოეტი“. მან დაუფარავად მომიხადა ბოდიში და დაუმატა: ყველაფერი ჩემი ბრალი არ იყოო. კონსულტაციას მიწევდაო საშუალო სკოლის ესა და ეს მასწავლებელი. მთხოვდა თელავის გაზეთში დამებეჭდა ლექსები, თუ კი გამოგზავნიდა (მგონი, დავუბეჭდე კიდეც ერთი, თუ ორი ლექსი).

მკითხველს შეუძლია შეაფასოს აღნიშნული სიტუაცია. ალბათ, ამან გამოიწვია, რომ 1936 წლის 8 ივლისს (№70-476) გაზ. „კოლმეურნის“ ფურცლებზე გამოუქვეყნებია წერილი, რომელიც მიძღვნილია ამ წელს პედაგოგიური ტექნი-

კუმის კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი. წერილის გამორჩეული პათეტიკა იგრძნობა. ჩანს ეპოქის იმპულსი, ახალ დროში ახალი ცხოვრების მშენებლობაში ახალი გაზრდობის შესაძლებლობანი. მისი შემოქმედებითი ძალისხმევის აუცილებლობანი.

ამ პერიოდში რაიკომის პირველ მდივნად მოსულა გრ. კარანაძე, „რომელსაც მე კარგად ვიცნობდი (ოჯახურად) გურჯაანში მუშაობის დროს", – წერს ბატონი ალექსანდრე, – „გაზეთის რედაქციაში ფაქტიურად მარტო მე და ლ. ლეონევი დავრჩით. ერთ დღეს გრ. კარანაძემ დაგვიბარა ორივე და გვთხოვა, რათა არ შეფერხებულიყო გაზეთის მუშაობა, მოგვცა რამდენიმე რჩევაც. მართლაც, დღე და ღამეს ვასწორებდით. ძალიან მძიმე პირობების მიუხედავად, გაზეთი ყოველთვის თავის დროზე გამოდიოდა. გრ. კარანაძე კარგი კომუნისტი იყო, დარბაისელი, საქმის ერთგული, შორსმჭვრეტელი".

გაზეთის რედაქციაში მუშაობის სირთულეებზე საუბარს ხშირად უბრუნდებოდა ბატონი ალექსანდრე:

„ამ დროს „კოლმეურნის" რედაქტორად მოვიდა სერგო ებრალიძე, – გამოცდილი ჟურნალისტი, გულისხმიერი ადამიანი, ნიჭის პატივისმცემელი. მისი მოსვლა ჩვენთვის დიდი იმედი იყო, – წერს იგი, – გარკვეული დროის შემდეგ ს. ებრალიძე მეუბნება, რომ რაიკომის აზრი არის თქვენ ძირითადად რედაქციაში უნდა იმუშაოთო. არ მომეწონა ეს წინადადება. გარკვეული პასუხი ვერ გავეცი. მე ვთქვი: ჩემთვის ახლა მეტად ძნელი იქნება პედაგოგიური ასპარეზობის დათმობა; ყოველ შემთხვევისათვის შევეკითხები უშუალო ხელმძღვანელ უწყებას და პასუხს მოგახსენებთ–თქო.

წასვლა მომიხდა თბილისში. ჩვენს სამმართველოში მაშინ მუშაობდნენ: ანდრო მჭედლიძე (ჩემი სკოლის ამხანაგი ქუთაისში) და ცნობილი პედაგოგი ვარლამ ქაჯაია, რომელიც კარგად მიცნობდა უნივერსიტეტიდან და პედტექნიკუმში მუშაობით. მათ მითხრეს, რომ თქვენგან არ მოველოდით ასეთ წინადადებასო. თან შემახსენეს, რომ არ დამეთმო პედაგოგიური სამუშაო. ამ საუბრის დროს შემო–

ვიდა თელავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ნიკო გელაშვილი, რომელიც იმ მომენტისათვის, თელავის განათლების განყოფილების გამგის მოვალეობასაც ასრულებდა. ვარ. ქაჯაიამ გადასძახა: აი, უკვე გიშოვნეთ თელავის პედაგოგიური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელიო! თურმე ნ. გელაშვილი სპეციალურად იყო თბილისში ამ საქმისათვის. მე და ნიკო გელაშვილი მანამდეც ვიცნობდით ერთმანეთს. შემდეგ მისდგნენ და თელავი დამიხასიათეს „სამოთხედ“, ხოლო თელავის პედსასწავლებელი – საქართველოში ყველაზე უკეთეს დაწესებულებად, და მთხოვდნენ, – დროებით მაინც წამოვსულიყავი აქ.

ქ.ორჯონიკიძე, 1979 წ.
ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა.
სოფელ ჩამის საშუალო სკოლაში.

მივბრუნდი ისევ სილნალში. ვთხოვე ჩემს ნიჭიერ დირექტორს შაიშმელაშვილს, რათა ხელი არ შეეშალა ჩემთვის, რომ თელავში ჩამოვსულიყავი (მას განზრახვა ჰქონდა, რომ თვითონაც მალე წავიდოდა თბილისში – ასეც მოხდა). მეგობრულად ვთხოვე რედაქტორს ს. ებრალიძეს მოევლო ამ საქმისათვის. დავწერე მობოდიშების წერილი გრ. კარანაძესთან (თვითონ ს. ებრალიძე გადასცემდა). ს. ებრალიძე ნიჭიერი, შემოქმედი კაცი იყო. შ. ღლოტნთან თანაავტო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობით გამოცემული აქვს წიგნი „ქიზიყური ფოლკლორი“. იგი დაიღუპა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. „ბ. „კომუნისტის“ შენობის ბარელიეფზე ამოტვიფრულია მისი სახელი და გვარი.

ასე, ამრიგად, აღმოვჩნდი თელავში“.

თელავის პედაგოგიური სასწავლებლის ხელმძღვანელობა თურმე მანამდეც იცნობდა ბატონ ალექსანდრეს. ერთგვარად თავაზიანი ტონით ამიტომაც შეხვედრიან – მიუხედავად ამისა, ზოგიერთს მაინც „შინებია“ მასთან კონტაქტისა, ვინაიდან სიღნაღში შექმნილი ვითარება ისეთი „არაკებით“ იყო გასული ხალხში, რომ ყველა სიღნაღელს „მავნებელი“ ჰგონებია.

თელავის პედაგოგიურ სასწავლებელს ხელმძღვანელობდა ნიჭიერი კომუნისტი, დარბაისელი ადამიანი, პრინციპული მუშაკი დიმიტრი მატარაძე. მის მოადგილედ ითვლებოდა დიდი გამოცდილების სასკოლო მოღვაწე, უნარიანი და განათლებული გიორგი ონისიმეს ძე მელითაური.

მანამდე თელვის პედსასწავლებელში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდნენ ლ. ძაძამიძე და ალ. მილორავა. ამ საქვეყნოდ ცნობილ ტექნიკუმში ძალზე დაბალი ყოფილა დისციპლინა. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ძალზე ზერელედ ეპყრობოდა თავის მოვალეობას. მაგრამ სულ მალე, რა თქმა უნდა, ძალ–ღონის დახარჯვითა და პედაგოგიური მსხვერპლის წყალობით ყველაფერი გამოსწორებულა.

ბატონი ალექსანდრე იგონებს:

„პირველი მეოთხედის (1937წ.) შედეგების მიხედვით, ძალზე დაბალი მოსწრება გამომივიდა ერთ ჯგუფზე. სხვა კურსის გაკვეთილზე ვარ. პატივცემულ გ. მელითაურს გამოეგზავნა საქმეთა მმართველი: შინსახკომში გეძახიან და სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეო. მე შემოვუთვალე: საბჭოთა სახელმწიფომ აღიარა, რომ გაკვეთილის ბატონ–პატრონია მასწავლებელი, დავამთავრებ გაკვეთილს და გამოვალ–მეთქი. მართლაც, ასე მოვიქეცი. სამასწავლებლოში ცახცახით შემომეგება მელითაური: რას აკეთებო, მე–10 ნომერში უნდა გამოცხადდეო!

დავიხურე ქუდი და მივედი. ბოდიშის მოხდით შევედი ოთახში. მივესალმე (როგორც შემდეგ გამოირკვა, ალ. კვაშალი ყოფილიყო). მკითხა: თქვენ ბრძანდებითო ბიბლიოთეკაში? – დიახ–მეთქი! მან ერთი რაღაც უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და სკამზე დაჯდომა შემომთავაზა. მეუბნება: ზოგიერთებმა შემაწუხესო, – მოწაფეები ემზადებოდნენ ოქტომბრის დიდი რევოლუციის 20 წლისთავის, დიდი დრო ეხარჯებოდათ საალღუმო მზადებაში, თურმე თქვენ ამას ანგარიში არ გაუწიეთ და არადამაკმაყოფილებელი შეფასებები მიეცითო! რა თქმა უნდა, გამაოცა ამ ბრალდებამ. მე ვუთხარი: თქვენ ბრძანდებით სახელმწიფოს ორგანოს მუშაკი. არსებობს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების გარკვეული სისტემა, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ. თუ მომცემთ უფლებას, წავალ, მოგიტანთ წერით ნამუშევრებს, და თქვენ განსაჯეთ, რა შეფასებას იმსახურებს ზოგიერთი–მეთქი. დამრთო ნება; წამოვედი (გ. მელიოთაური ისევ ისე გაყინული სახით დამხვდა სამასწავლებლოს ფანჯარასთან). ავარჩიე საკონტროლო ნამუშევრების რვეულები. მაშინ არსებობდა შეფასების მეხუთე ბალი „ძლიერ ცუდი“. ავარჩიე ასეთები და წავიღე. ა. კვაშალმა ნახა ეს ნამუშევრები, ერთი კიდევ რაღაც უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა და მითხრა: ეგონათ, თუ სურვილი ჰქონდათ, რომ მე აღარ დავბრუნდებოდი! გარეწრები! ახლა რომ მხვდებიან ზოგიერთები, „თეთრი კბილით“ მიღიმიან!!!)“.

ბატონი ალექსანდრე უნიჭიერესი, პრინციპული და თავისი საქმის ერთგული მოძღვარი ბრძანდებოდა. ამიტომაც არის, რომ მის არქივში დაცულ მასალებს შორის მეტი ადგილი განათლების საკითხებს ეთმობა. ერთგან გვიყვება:

„მეორე მეოთხედის მოახლოებისას მოწვეული იყო პედაგოგიური საბჭოს გაფართოებული სხდომა. სხვათაშორის დაისვა საკითხი ფრიადოსანთა რიცხვის მატების შესახებ. ეკითხებოდნენ ცალკეულ მასწავლებელს, თუ რამდენი ფრიადოსანი ეყოლებოდა მეოთხედის ბოლოს. ისინიც ასახელებდნენ სავარაუდო რიცხვს. ჩემი ჯერი მოვიდა. მე განვაცხადე, რომ არ შემიძლია რაიმე რიცხვის დასახელება. კლასში არის ამდენი მოსწავლე, თუ დაიმსახურებენ, ყველა უნდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყოს ფრიადოსანი, რატომ უნდა წავართვათ რომელიმეს ამის უფლება, ხოლო თუ არ დაიმსახურებენ, არც ერთი არ იქნება ფრიადოსანი.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. შემდეგ ადგა ისტორიის მასწავლებელი. ამავე დროს სასწავლებლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი და განაცხადა: აი, თქვენი ხელისხელ საგოგმანებელი და წამყვანი მასწავლებელი. რას ჰგავს, ეს?! ჩვენ, კომუნისტები, ზღვებში ვერ ვხედავთ თევზს, მაგრამ მისი დაჭერის გეგმებს წინასწარ ვსაზღვრავთ. გვენცაძე კი ყოველდღიურად თვალებში ჩასცქერის მოსწავლეებს და ვერ განუსაზღვრავს, თუ მეოთხედის ბოლოს რამდენი იქნებაო ფრიადოსანი?! – მე ჩემს პოზიციაზე დავრჩი. ხმა ვერ ამოიღეს ვერც დირექტორმა და ვერც მისმა მოადგილემ.

მეორე დილით შევდივარ სკოლის ეზოში – განაგრძობს ბატონი საშა, – კარებთან მელოდებოდა დ. მატარაძე. მეხვევა და სიხარულით მეუბნება: წუხელი მთელი ღამე გავათენეო, გადავთვალიერე ლიტერატურა, დავრწმუნდი, რომ გუშინ თქვენ მართალი იყავით, როგორ შეიძლება ფრიადოსანთა განსაზღვრული რიცხვის წინასწარ დადგენა, რატომ უნდა წავართვათ უფლება დანარჩენებს, რომ გახდნენ ფრიადოსნები. ამას მოჰყვა პედაგოგიური საბჭოს ხელახალი სხდომა და სათანადო ახსნა-განმარტებანი.

ერთ დღეს გაკვეთილების შემდეგ დაგვტოვეს სამასწავლებლოში: ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგი რას! უცბად მოიქუფრა სამხრეთით, ისეთი ჯანღი დაადგა მთა-ცივს, რომ იფიქრებდით, ქვეყანა უნდა წალეკოსო. წამოვიდა სეტყვა ისეთი სიხშირითა და სიძლიერით, რომ ტყიანი კალთა შუაზე გაკვეთა. თელავში ორ დღეს ეყარა სეტყვის ნაშთი (მე საერთოდ ვერ ვიტან სეტყვას, ალბათ გლეხური ბუნებაა!). თავზარი დამეცა, ჩვენთვის ნაცნობი პარტორგანიზაციის მდივანს (ჭადრაკს თამაშობდა), არც განუცდია სტიქია. მომიბრუნდა და მეუბნება: რა გაწუწუნებს, განა ჩვენი ხელფასი ისეტყვებაო! ეს კიდევ დიდზე-დიდი „სტიქია“ იყო ჩემთვის. მანამდე ვფიქრობდი – პარტიაში რომ შევიდე, ვაითუ ვერ შევძლო პარტიის წევრის მოვალეობის

შესრულება–თქო. ახლა გადავწყვიტე განცხადების დაწერა“...

ალ. გვენცაძის მოგონებანი, ბევრ სხვა მასალებთან ერთად, უტყუარი, დოკუმენტური მასალაა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის) ისტორიისათვისაც.

ბატონი ალექსანდრე, როგორც მკითხველს მოეხსენება, არა ერთი თვალსაჩინო გამოკვლევის ავტორია. აი, რას წერს იგი თავისი სამეცნიერო მუშაობის შესახებ:

„მიუხედავად იმისა, რომ შედარებით რთულ პირობებში გვიხდება მუშაობა რაიონებში არსებული ინსტიტუტების მუშაკებს, მაინც ვეწევით გარკვეულ სამეცნიერო მუშაობას. (სამეცნიერო ნაშრომების სია თან ერთვის ამ წიგნს, რ.ჭ;ა.ს.).

„აღვნიშნავ მარტო ერთ მთავარ მოვლენას, – შენიშნავს ბატონი ალექსანდრე, – სადისერტაციო თემა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად მქონდა ქართული ენის რიცხვითი სახელების შესახებ. ბევრი საინტერესო ცნობა არის ნაშრომში განხილული. განხილულია პირველად ჩემს მიერ, მაგრამ იმის გამო, რომ გამოცემა დაგვიანდა, ან გაძნელდა, მისი ეფექტიანობა ერთგვარად შეიზღუდა. ეს ნაშრომი შემოკლებული სახით გამოიცა 1972 წელს, მაგრამ ამანაც ვერ მიაღწია ფართო წრის მომხმარებლებამდე“.

სადოქტორო დისერტაციის თემად ბატონმა ალექსანდრემ აირჩია ლინგვისტური სტილისტიკის საკითხები, – როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული.

აღმოჩნდა ძალზე რთულ ვითარებაში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ლინგვისტური სტილისტიკის საგნისა და ამოცანების გაგებაში ჯერ კიდევ არ არსებობს შეთანხმებული თვალსაზრისი. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა სამი წიგნის გამოცემა, სადაც განზოგადებულია საბჭოთა ენათმეცნიერების მიღწევების ყველაზე პროგრესული შეხედულებანი სტილისტიკის რაობის შესახებ, ასევე საზღვარგარეთელი ენათმეცნიერების მოსაზრებანი

(განსაკუთრებით შ. ბალი). მან გარკვეული თვალსაზრისი ლინგვისტური სტილისტიკის საგნისა და ამოცანების შესახებ ჩამოაყალიბა და შეუდგა ამ პრინციპების სათანადო გამოყენებას ერთი მწერლის ენის სტილის მასალაზე. ასეთად აირჩია ილია ჭავჭავაძის ენის სტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგროვდა დიდი მასალა და დაიწერა სადოქტორო დისერტაცია (გადაბეჭდილი და შეკრულია წესების დაცვით). ამ ნაშრომის გამოცემა გაძნელდა. ამასობაში გამოვიდა ახალი წესი დისერტაციების დაცვის საქმეში. ამ ნაშრომის მასალა ისეთია, რომ მისი რუსულად თარგმნა დიდ დროს მოითხოვს. მარტო რამდენიმე ასეული სტილიტური ერთეულია მოპოვებული ილია ჭავჭავაძის ნაწერების ენაში.

ალ. გვენცაძე მოგონებებში ვრცლად გვესაუბრება გურჯაანელ, სიღნაღელ და თელაველ შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის მრავალფეროვნებისა და მათი ლიტერატურული პროდუქციის ბეჭდვის შესახებ, რადგანაც სწამდა, რომ ყოველივე ამას „ფრიად გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა“.

ბატონი ალექსანდრეს ეპისტოლეთა შორის ბევრი ისეთია, რომელიც, როგორც თვითონ ბრძანებს „ ახლა სასაცილოდ არ მყოფნისო“.

რაიონული გაზეთების რედაქციაში მუშაობა საშუალებას აძლევდა ბევრი გაეკეთებინა მომავალი ლიტერატურული კადრების აღზრდა-დახვეწის საქმეში, რასაც დიდი წარმატებით აგვირგვინებდა კიდეც, სიყვარულით იგონებს: შინმოუსვლელი მასწავლებლის დავით პატატიშვილის, მათე წითელი (ისაკოვის), სახალხო მთქმელების – სიკო ჩანგაშვილის, ისაკო მირიანაშვილის, ნიკო გორელიშვილისა და სხვათა შესახებ მზრუნველ დამოკიდებულებაზე. შემდეგ წერს: „განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო დახმარება ჩემს ყოფილ მოსწავლეებზე და სტუდენტებზე, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდნენ და იბეჭდებიან გაზ. „კოლმეურნის ხმის“ („ალაზნის განთიადის“) ფურცლებზე. ესენი არიან: არჩილ შიშმანაშვილი (გამოსცა კრებული, რომელშიც რამდენიმე მოთხრობაა შეტანილი), ეთერ ანაშვილი, სოსო

ჩხუბიაშვილი, ფარნაოზ რაინაული (გამოსცა ლექსთა კრებული), არჩილ სპარსიაშვილი, ზინა სოლომნიშვილი (გამოსცა ლექსების კრებული), ვენერა ნატროშვილი, ბელა ხაბი ხაპრიძე, ოლია ყატაშვილი, ანზორ ჯალალიშვილი და სხვანი (ამათგან ზოგიერთი კახეთის რაიონების გაზეთებში მოღვაწეობდა, ზოგი პედაგოგია ან კულტურის რომელიმე დარგის მუშაკი).

ქ.ორჯონიკიძე, 1979 წ.
ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა.
სოფელ ჩამის საშუალო სკოლის პედაგოგიური
საბჭოს სხდომა.

ბატონი ალექსანდრე რუდუნებით ზრუნავდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივების მოვლა-პატრონობაზე. იგი წერს: „ოცდახუთი წლის წინათ პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა მომწერა: თელავში მუშაობთ, სირცხვილია, რომ სოლომონ (სოლო) გოშაძე უპატრონოდ არისო. სოლო გოშაძის შესახებ მანამდეც ვიცოდი, მაგრამ გაძნელდა არქივამდე მიღწევა. გარკვეულ დროს ოჯახიდან საარქივო მასალების ასლები წაეღო კრიტიკოს შ. რადიანს (დოკ. პ. ბულიას ცნობა), მაგრამ მისი ლექსების კრებულის გამო-

ცემა კი თვითონ ი. გრიშაშვილმა შეძლო უფრო ადრე. სოლო გოშაძის ოჯახთან დაახლოების შედეგად (პოეტის ... დის წყალობით, აგრეთვე მასწავლებელ დავით გეგელიძის დახმარებით) შევძელი სოლო გოშაძის ნაწერების მიღება. ნაწერები ყოველმხრივ შევისწავლე. რამდენიმე წერილიც კი გამოვაქვეყნე რაიონისა და რესპუბლიკურ გაზეთებში. რამდენჯერმე დავსვით საკითხი ზემდგომ ორგანიზაციებში სოლო გოშაძის ლექსების კრებულის გამოცემის შესახებ. იყო დაპირებები, მაგრამ არ მოხერხდა...ალ. გვენცაძე გარკვეულ ცნობებს მათე წითელის შესახებაც გვაწვდის:

„მათე ისაკოვის (წითელის) გარდაცვალების შემდეგ მისი არქივი მისმა შვილმა შესთავაზა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, მაგრამ რატომღაც მუზეუმს არ მიელო ეს მასალები. პოეტის შვილმა მე მომმართა და ჩავიბარე ეს არქივი. საყურადღებო მასალები იყო, განსაკუთრებით ბეგლარ ახოსპირელზე. თელავის მუზეუმის მუშაკთა პრეტენზიული მოთხოვნის გამო ეს მასალები გადავეცი მუზეუმს (თ. მახათელაშვილს), მაგრამ რა ბედშია ახლა ეს მასალები, არ ვიცი“.

უამრავი მოგონება ინახება ბატონი ალექსანდრეს პირად არქივში და ესეც:

„თელავში ცხოვრობდა მწერალი ქალი (ნინო გოგოლაძე) – სევდია. მისი ნაწერები გაფანტულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. გარდა ამისა, არსებობდა არქივიც. ერთხანს ეს არქივი ჩემს ხელში იყო. რამდენიმე წერილიც გამოვაქვეყნე ნ. გოგოლაძის შემოქმედების შესახებ. გარდა ამისა, მთელი მისი საარქივო მასალა ასლების სახით გადავწერინე და ვინახავ (დედნები კი ჩავაბარე პოეტი ქალის რძალს – ე. გოგოლაძეს).

„საყურადღებო მასალები დარჩა ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და ჟურნალისტს ივანე (ვანო) პაატაშვილს. მის ყოველ ნაწერს მე მითმობდა. ნაწერების გარკვეული ნაწილი (ჩემი რეცენზიითაც) შეიძინეს თელავის მუზეუმმა და ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმმა; ერთი ნაწილი გადავეცი თელავის მუზეუმს.

ჩემთან ინახება აგრეთვე ზოგიერთი ავტორის შემოქმე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დების ცალკეული ნიმუშები: ს. ჩანგაშვილის, ნ. ხაპრიძის, თ. ჭერაშვილის, ვ. ნატროშვილის და სხვათა.

ნ. გოგოლაძის საარქივო მასალების მიხედვით, გამოვაქვეყნე კიკნა-ფშაველას (ბადურაშვილის) ერთი ლექსი. აგრეთვე, ა. შანიძის ერთი ლექსი, ასევე მ. კუპატაძის ერთი ლექსი".

უაღრესად საინტერესოა ბატონი ალექსანდრეს მზრუნველი დამოკიდებულება ერის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მიმართ. მისთვის უმთავრესი იყო კულტურის ძეგლთა შესწავლა და დაცვა, მათთან დაკავშირებული ტრადიციები.

არა გვგონია უინტერესო იყოს ამის თაობაზე ჩვენი დიდი სწავლულის მონათხრობი.

„ჩემს სოფელში, ბარეულში, კულტურის საყურადღებო ძეგლებია. შუა სოფელში (დვალ-ომიაძეების კუთხეში, უბანში) გამყოფი ქედის ამაღლებულზე, ჭალისთავს, დგას მინიატურული ეკლესია, ნაშენი შირიმის ქვით (პონტიკის ქვით). დაახლოებით V-VI საუკუნეების იქნება (ჩრდილოეთის ფერდობზე ბზის ტყე იყო გაშენებული. სამწუხაროდ, როდესაც 1971 წელს ეს მიდამოები ვინახულე ეკლესიის კედლები მთლიანად დაშლილი იყო, ხოლო ბზის ტყე - გაჩეხილი). ეს ეკლესია იყო ღვთისმშობლის სახელობის (ეს უბანი აქ დღესასწაულობდა წიფეთელიობას, ძვ. სტილით 20 ივლისს).

სოფელში არის ძველი ციხის მაღალი კედელი, რომელიც გადასცქერის რიონის ხეობას, სოფ. ხვანჭკარის პირისპირ. ეს ციხე მოხსენებული აქვს ვახუშტის. ციხის გარშემო არის სხვა ნანგრევებიც. გარდა ამისა, სოფელში სამ ადგილზე იყო დარჩენილი მუხები. ერთი სოფლის თავში, ღადიშ-ბარეულის შესაყარ გადასასვლელზე. ერქვა „ჯვარი". აქ გამვლელი სამჯერ უნდა შემობრუნებულიყო წაღმა, ხოლო თუ გზაზე ნალს იპოვნიდა, უნდა დაედვა მუხის ძირში (იწერდა პირჯვარსაც).

ერთი მუხა იდგა გვენცაძეებისა და სოხაძე-აბუთიძეების უბნის შესახვედრ წერტილში. მისი მიდამო სავსე იყო სხვადასხვა რკინეულობით, უპირატესად ნალებით. ხელს

ვერავინ ახლებდა. აქ წელიწადში ერთხელ დაკლავდნენ „სალმრთოს“ (საგანგებოდ გასუქებული ხარი იყო, რომელსაც „ნებიერი“ ეწოდებოდა). ხორცს უბნის მოსახლეობა ინაწილებდა. ამ მუხის დასწვრივ, დაახლოებით 0,5 კილომეტრზე დაცული იყო მუხების კორომი. აქ აღდგომის კვირის ერთ დღეს მიჰქონდათ სხვადასხვა სახის ხორაგი.

ბარეულის თავში, მაღალ გორაზე, აღმართულია წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც სოფ. ღადიშის მრევლს ეკუთვნოდა. თვითონ ბარეულს შუა სოფელში ჰქონდა საკმაოდ დიდი, შედარებით ახალი ეკლესია, რომელიც მთელ სოფელს აერთიანებდა.

ალ.გვენცაძე, ალ.ღლონტი, რ.ჭიკაძე, 1968 წ.

ამრიგად, ბავშვობიდანვე კულტურის ძეგლთა გარკვეულ გარემოცვაში ვიყავი.

უნდა აღინიშნოს თვალსაჩინო ძეგლები ახლობელ სოფლებში. მაგალითად: ე.წ. ბარბაწმინდა (ბარბალე წმინდა), რომელიც მდებარეობს სოფ. გორისუბნისა და ბარეულის საზღვარზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ პატარონის ცნობილი ძეგლიც (ბარბაწმინდა და პატარონის ეკლესიაც 1971 წელს აღდგენით პროცესში იმყოფებოდა და მცველებიც ჰყავდა გამოყოფილი).

ყოველ წელიწადს, მიის-მოის, მგზავრობისას ბარეულიდან ტყიბულამდე, უნდა გაგვევლო ნიკორწმინდაში, რომელსაც ასე რიგად ამშვენებს საოცარი ტაძარი წმ. ნიკოლოზის სახელობისა (როდესაც პროფ. ა. შანიძეს პალეოგრაფიის კურსის გამოცდას ვაბარებდი, დავალებად

მომცა ნიკორწმინდის აღწერა (მრგლოვანზე).

ჩემი სტუდენტობის პერიოდში, დაახლოებით 1927–28 წწ. ზაფხულის ერთ დღეს ჩვენს გვერდით არსებულ შარაზე გამოჩნდა უცხო მგზავრი. ესწავლებინათ ჩვენი ოჯახები (ბიძისა და ბიძაშვილების). იგი მარტო იყო. გავეგებეთ ჭიშკართან. მე მეცნაურა იგი. მინახავს საენათმეცნიერო და საისტორიო საზოგადოებების შეკრებებზე. აღმოჩნდა ცნობილი მეცნიერი გიორგი ბოჭორიძე (იგი თელაველი იყო). მან გაგვაცნო რაჭაში მოგზაურობის მიზანი. შევიპატიჟეთ სახლში; დაისვენა. შემდეგ ვისაუზმეთ. იმ დღეს ბარეულის ყველა ძეგლი ვაჩვენეთ. გავაცილეთ მიქაწმინდამდე (მიქელ წმინდა, იგივე აბანოეთის ერთ-ერთი უბანი). ამ შეხვედრას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის.

1930 წლის ზაფხულში აკ. შანიძემ მივლინებით გამგზავნა რაჭაში (სალექსიკონო მასალების მოსაპოვებლად). უშუალო მიზანთან ერთად დამავალა კულტურის ძეგლების აღწერა და, თუ რაიმე მასალები აღმოჩნდებოდა, წამოღება. წინა წელს სოფ. ბარეულში, ე.წ. სამჭედურის ახლოს, ეპოვნათ ბრინჯაოს დაშნები. ორი ცალი იყო და თბილისში ჩამოვუტანე აკ. შანიძეს.

გურჯაანში მუშაობა დავიწყე 1930 წლის შემოდგომიდან. პედსასწავლებლის მოსწავლეებმა დაიჩემეს, რომ ჩვენთან არსებობს ისეთი ეკლესია, რომლის კედლებიდან რძე გამოდის. ეს ეკლესია არის ცნობილი ყველაწმინდა. მაშინ გარედან საკმაოდ დაზიანებული იყო. ეს შესანიშნავი ძეგლი ახლა (1978 წლის მდგომარეობით) კარგად არის აღდგენილი. მართლაც, ერთ კარგ ამინდში მოწაფეებთან ერთად ავედით ყველაწმინდაზე (ახლოს არის). ფრჩხილით გაკაწრეს კედელი, და მართლაც „რძემ“ გამოჟონა. თურმე დარღვეულ კედლის ბზარებში გარედან ლელვის ფესვებს შემოელწია და რძის თეთრი წვენი გამოდიოდა ფესვის კანის გაჭრის შემდეგ.

ქალაქი გურჯაანი (ქვემო-გურჯაანი) ის-ის იყო ეწყობოდა, სულ ერთი ქუჩა და რამდენიმე ნაგებობა იყო. რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალი გზის სამუშაოების შესრულებისას, საკმაოდ ღრმა ფენაში, აღმოჩნდა ცხენის მოკაზ-

მულობა. კარგად იყო გადარჩენილი ლაგამი, საკმაოდ დიდი და უხეში რკინისაგან გაკეთებული. იყო კერამიკის ნამსხვრევებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღში მუშაობისას გამოირკვა, რომ სოფ. ნუკრიანში შირაქიდან მოეტანათ რალაც თეთრი კუნძები, მუხლის თუ მენჯის ძვლებს ჰგავდა. ხალხის აღიარებით, თითქოს სპილოს ძვლები იყო. ინახებოდა ნუკრიანის კოლმეურნეობის („ლენინის ანდერძის") კანტორაში. სპეციალურად ავედი. მართლაც რომ დამაფიქრებელი ნაპოვნი იყო. იმ დღეებში თელავიდან ექსკურსია იყო სიღნაღში. ბოდბის მონასტერში მეგზურობაც გავუწიე (ექსკურსიის შემადგენლობაში იყო კ. გეგელიძის შვილიც, რომელსაც ოჯახურად ვიცნობდი). ვისარგებლე ამ შემთხვევით და თელავის მუზეუმის ხელმძღვანელებს ბარათი გამოვუგზავნე, ვაცნობებდი ნუკრიანში არსებულ ნაპოვნზე (მგონი ეს ძვლები წამოიღეს თელავში, მაშინ სიღნაღში მუზეუმი არ იყო).

რამდენჯერმე სპეციალურად ვიყავი ბოდბის მონასტერში. სურვილი გვქონდა, ჩაგვეტარებინა აღწერა წიგნების, ხატებისა და სხვა ნივთების, მაგრამ იქ მყოფმა მონოზნებმა (უმეტესობა რუსები იყვნენ) არაფერზე არ გვახლებინეს ხელი. ეს კი არა, წმ. ნინოს საფლავის ახლოსაც არ გვიშვებდნენ. მოწაფეებთან ერთად შევძელი გარეთ საფლავის ქვებზე წარწერების ამოკითხვა და გადმოღება. ძალიან საინტერესო მასალა დაგროვდა.

თელავში მუშაობა დავიწყე 1937 წლის სექტემბრიდან. მანამდეც ვიცნობდი თელავის ეთნოგრაფიული მუზეუმის ენერგიულ ხელმძღვანელს ალექსანდრე მამულაშვილს. მან სულ მალე მუზეუმის საბჭოს წევრი გამხადა. ეს ადამიანი იყო ნამდვილად კულტურის საქმისთვის დაბადებული. ბევრი წამოწყების თაოსანი და შემსრულებელი.

დოკუმენტური მნიშვნელობა აქვს ალ. გვენცაძის შემდეგ წერილობით ცნობას:

„ერთ დღეს დაგვიბარეს თელავის ალკკ რაიკომში (მაშინ პირველი მდივანი იყო არჩილ თვალიაშვილი). შედგა კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესახა ღონისძიებანი სოფ. ქისტაურიდან რაფიელ ერისთავის ნეშთის გადმოსას-

ვენებლად (ამით საფუძველი ეყრებოდა თელავის მუზეუმის ეზოში მწერალთა პანთეონს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის ერთ მზიან კვირა-დღეს ხალხმრავალი პროცესია დაიძრა ქისტაურისაკენ (საბვირთო ავტომანქანებით). გზადაგზა გვიერთდებოდნენ სკოლები და მოსახლეობის წარმომადგენლები. რ. ერისთავი დასაფლავებული იყო ქისტაურის თავში, საგვარეული სასაფლაოზე. საეჭვო გახდა საფლავის აღმოჩენა. მაგრამ აღმოჩნდა ქისტაურელი გლეხი (მაილაშვილი), რომელიც დასწრებოდა თელავიდან რაფიელ ერისთავის გადასვენებას და დაკრძალვას. მან პირდაპირ დაადგა ხელი ერთ ადგილს. თითქმის ყველა ხალისით იღებდა მონაწილეობას საფლავის გაჭრაში. მივადექით საკმაოდ მაგარ ფენას, ეს იყო თაღისთავი. ძლივს ამოსტეხეს გაქვავებული თაღი. გამოჩნდა კუბო, რომელიც ჩვენს თვალწინ თითქოს აორთქლდა (სამაგიერო ახალი ჭურჭელი გვქონდა წაღებული). ნეშტი ფრთხილად ამოვასვენეთ. მოზღვავებულ ხალხს ველარ ვაკავებდით. დედებს ბავშვები მოჰყავდათ, რათა ეჩვენებინათ ნეშტი. საოცრებას ჰქონდა ადგილი: კარგად იყო შენახული ფეხსაცმელი, ზედა ტანსაცმელი, ყელის ბანტი. თავის ქალა იყო ისე გასპეტაკებული, რომ კაცი იფიქრებდა, ხელოვნურად გაუმზადებიათო. ხალხი სიხარულით აივსო ასეთი სასიყვარულო პოეტის ასე მიმზიდველი ნეშტის ყურებით. ჩავასვენეთ ახალ სასახლეში და პროცესია გამოემართა. რაფიელის სახლის ეზოში გაიმართა მიტინგი. ესწრებოდნენ თბილისიდან ვ. წულუკიძე და პ. კეშელავა და დაინტერესებული პირნი. წარმოთქვეს სიტყვები. ესწრებოდნენ რაფიელის ნათესავებიც.

წამოვასვენეთ თელავისკენ. გზადაგზა სოფლებში გვხვდებოდნენ გვირგვინებით. თელავის მოედანზე კიდევ გაიმართა მიტინგი. სიტყვებით გამოვედით რამდენიმენი. იმავე დღეს მუზეუმის ეზოში დავკრძალეთ გამოჩენილი პოეტი რ. ერისთავი.

სულ მალე (1939წ.) თელავის სასაფლაოდან მუზეუმის ეზოში გადმოვასვენეთ იოსებ დავითაშვილი და ბარბარე ჯორჯაძე.

ბიბლიოთეკა

თელავის სასაფლაოზე ერთი ძეგლი იდგა, – ერთ მხარეზე აღნიშნული იყო ი. დავითაშვილის სახელი, ხოლო მეორე მხარეზე ბ. ჯორჯაძის სახელი. ეს ძეგლი XIX–XX საუკუნის ბოლოს დაემზადებინა ქ.შ.ვ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას თბილისში (ალბათ ეკონომია გასწიეს!). არსებობდა ზეპირი გადმოცემა, რომ თითქოს ერისთავებმა და ჯორჯაძეებმა იუკადრისეს გლეხი პოეტის საზიარო ძეგლი და გადაადგილდესო, მარტო იოსების საფლავზე დადგესო. შეიძლება ეს მართლაც ასე იყო, რადგან ძეგლის ქვეშ მარტო ი. დავითაშვილი აღმოჩნდა (გადარჩენილი იყო თუშური ქუდის ნაწილი, რომელიც შუბლის შუა ძვალზე დაჰკვროდა. ახოვანი კაცის ნეშტი ესვენა მიწაში). შემდეგში, მუზეუმის ეზოში, ეს ძეგლი ი. დავითაშვილის საფლავს დაადგა ალ. მამულაშვილმა. ბარბარე ჯორჯაძის მხარე კი ცემენტით გადალესა, მაგრამ ამოჭრილ ასოებში ცემენტი უფრო მკვეთრად გამოჩნდა. ამის გამო ალ. მამულაშვილს მთლიანად ამოეჭრა ის ადგილი, სადაც ბარბარე ჯორჯაძე იყო ნახსენები (საყურადღებოა ერთი დეტალი: ეს ძეგლი უნახავს ვინმე კორესპონდენტს; უკითხავს ვითარება და უთქვამთ: ერთი ძეგლი ედგათო ბარბარეს და იოსებსო. მან წერილი მოათავსა გაზ. „ახ. კომუნისტში". გვისაყვედურებდა: როგორ მოუვიდათ თელაველებს, რომ საზიარო ძეგლი დაუდგესო ორ მწერალს. ამის გამო მე წერილი დავბეჭდე გაზ. „ლიტერატ. საქართველოში" და აღვნიშნე ამ ძეგლის ისტორია, რომ თელაველები არაფერ შუაში იყვნენ, ვინაიდან ძეგლი მათ გადმოსვენებამდე ბევრად ადრე იყო დამზადებული.

დიდი სამამულო ომის წინ შეთავსებით მუშაობა მიხდებოდა თელავის რაიონის გაზეთ „კოლმეურნის ხმაში" (სტილისტის 0,5 შტატზე). მივიღეთ ცნობა, რომ სოფ. ახალდაბის (ახლა ახმეტის რაიონშია) ტერიტორიაზე ხვნის დროს გუთანმა ამოყარა ძველი ნივთები (როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ნივთები ძვირფასი იყო ყოველმხრივ). სასწრაფო ზომები მივიღეთ, მაგრამ ნივთების ნაწილი მაინც გადაემალათ (ოქროული ყოფილიყო)".

ბატონ ალექსანდრეს მიზნად დაუსახავს კახეთის რაიო-

ნების ტერიტორიაზე არსებულ კულტურის ძეგლთა გამოვლინება და შესწავლა.

შიგნით-კახეთი „დაუყვია“ ხევებად, ვინაიდან ძეგლთა დიდი ნაწილი ხევების მიდამოებშია განლაგებული. მაგალითად, დაურქმევია სათაურად: „თურდოს ხეობის ისტორიული ძეგლები“. ასეთი ძეგლებია: „ფსიტის ციხე“, „ძველი შუამთა“, „ახალი შუამთა“, „შიოს ეკლესია“, „თურდოს ხეობის გამოქვაბული“, „ნაქალაქარი“, „კუნტუზი“, „სომხის საყდარი“, „ასაჯანაანი“, „ამიდასტური“, „ობოლას ჭალის საყდარი“, „ცივის სასახლე“, „კაკლები“, „დეკანეზური“, „ნოტკორა“, „ახატელი“, „ახტანი“, რუისპირის ძეგლები და სხვა. ამ ძეგლების შესახებ წერილებს ხელს აწერენ სტუდენტებიც ლ. მამუჩიშვილი, ელ. გიორგანაშვილი, მასწავლებელი არჩ. შიშმანაშვილი.

შემდეგ გადაუნაცვლებია ახმეტის რაიონში. გაზ. „ალაზნის განთიადის“ 1963 წლის 21 აგვისტოს ნომერში (№65) გამოქვეყნდა წერილი „შავკაბის ხეობა“ (წერილს ხელს აწერენ დოც. ალ. გვენცაძე, დოც. გრ. პაპავა და მასწავლებელი არჩილ შიშმანაშვილი). ამ ხეობაში არის დიდებული ძეგლი, რომელსაც ხალხი „მონა-მონასტერს“ უწოდებს (უნდა იყოს წმ. ნიკოლოზის სახელობის). ამ ძეგლის ახლოს არის აგრეთვე უმცირესი ეკლესია – წმ. ელიას სახელობის, რომელსაც აქვს წარწერა, რომ აგებულია კახთა მეფის ალექსანდრეს მიერ, რათა წმ. ელიამ იხსნას კახეთი სეტყვის სტიქიასაგან.

ბატონი საშა 1965 წლის ზაფხულში სპეციალურად მივიდა კვეტერაზე. დაუწერია წერილი და გაუგზავნია ახმეტის რაიონის გაზეთის რედაქტორის სერგო გონჯილაშვილისათვის. წერილი დაიბეჭდა. წერილს ხელს აწერენ პროფ. ნ. ქორთუა და დოც. ალ. გვენცაძე. იმ დროს ახმეტის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო ალ. ბატიაშვილი. წერილი განიხილეს რაიაღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე. საგზაო განყოფილებას (გამგე ი. აბაშიძე) დაევალა კვეტერამდე სამანქანო გზის გაყვანა. მან ეს დავალება კეთილსინდისიერად შეასრულა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული კვეტერის იშვია-

თი ანსამბლის შესასწავლად და გადასარჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანის რაიონში, მთა – „ცივ-გომბორის“ ბორბალი-ლის ერთ-ერთ წვერზე აღმართულია პატარა ეკლესია (ღვთისმშობლის სახელობის). მის მისასვლელში, ვაკე ფართობზე, არის კახეთში ალავერდის შემდეგ სიდიდით მეორე ტაძარი – „ვაჩნაძიანის ყველაწმინდა“. გურჯაანის რაიონის გაზეთი – „ლენინის გზით“ 1966 წლის 17 მაისის ნომერში, აღნიშნულის შესახებ, ბეჭდავს ალ. გვენცაძის წერილს...

თელავის რაიონის სოფ. ქვემო ხოდაშნის ნასოფლარზე არის ფრიად საყურადღებო სასულიერო ხასიათის და საერო დანიშნულების ძეგლები. ბატონმა ალექსანდრემ მოახდინა ყველა მათგანის ფოტოგრაფირება – დახასიათება. ამ საქმეში მას ეხმარებოდა მისი ყოფილი სტუდენტი აკაკი ბატიაშვილი.

თელავის რაიონის სოფ. ვანთის ნასოფლარზე თვალსაჩინო ძეგლებია დარჩენილი, რომელთა ფოტოგრაფირება ჩაუტარებია. იყო სიგნალი, რომ ვანთაში გადარჩენილ საერო ნაგებობას ჩუმ-ჩუმად ანგრევდნენ და საშენი ქვა მიჰქონდათ (ეს სასახლე ცნობილია „ჯაფარიძეების სასახლედ“). ამის შესახებ ბატონი საშას მიერ „ალაზნის განთიადში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციის გამო მკრეხელობა შეწყდა. მას ეხმარებოდნენ ვანთის მკვიდრნი – მამა-შვილი აბრამ ნაპირელი და თენგიზ ნაპირელი.

ფრიად საინტერესო ძეგლია თელავის რაიონის სოფელ კისისხევის ხევში, ე.წ. „კონდამიანი“. ამის თაობაზე ბატონი ალ. გვენცაძე წერს: „ვიყავით (არჩ. შიშმანაშვილთან და სოსო ჩხუბიანიშვილთან ერთად) ამ ძეგლის გასაცნობად, მაგრამ ვერ შევედით გამოქვაბულებში. მოვახდინე ფოტოგრაფირება და სურათი გამოქვეყნდა „ალაზნის განთიადში“. ეს იყო ამ ძეგლით დაინტერესების ცდა. შემდეგ სპეციალურად მოვემზადეთ, წავიღეთ სახანძრო კიბეები და 15 სტუდენტის თანხლებით მივედით კონდამიანში. შევაღწიეთ გამოქვაბულში, საინტერესო აღმოჩნდა სართულებად დაყოფილი გამოქვაბული. დიდი სიხარული განვიცადეთ“. ამის შესახებ წერილი გამოქვეყნებულია „ალაზნის განთიად-

ში“ (23 სექტემბერი, 1971წ.). ხელს აწერენ სტუდენტები: ლ. ლაშხი, ზ. კუტიბაშვილი და ვ. ტურაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი ალექსანდრე გიორგი მელითაურთან ერთად მიტრი მალალაშვილთან ერთად „კოხტა-ღვთისმშობელში“ მისულა. ძეგლით დიდად დაინტერესდა თელავის რაიონის კულტურის განყოფილების მაშინდელი გამგე ელენე აფციაური და მისი დახმარებით თვალსაჩინო ღონისძიებანი გატარდა „კოხტა ღვთისმშობლის“ დასაცავად.

ბატონი ალექსანდრე იგონებს: „ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი მოთავსებული იყო კახეთის ყოფილი სამეფოს სასახლეში. ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1973 წელს. ყველასათვის საინტერესო იყო თუ ვინ გახდებოდა პატრონი ყოფილი სამეფო სასახლისა. ეს საკითხი ჩვენც გვაინტერესებდა. პროფ. ნ. ქორთუამ და მე შევიმუშავეთ პერსპექტიული მოსაზრებანი, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ეს ნაგებობა. წერილი დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“ (4 ივნისი, №130, 1972წ.).

ბატონი ალექსანდრეს წერილები სხვადასხვა დროს არის გამოქვეყნებული კონდოლის, კისისხევის, რუისპირის, იყალთოსა და სხვა სოფლების ცალკეულ ძეგლებზე.

ბატონი ალექსანდრე წლების მანძილზე ითვლებოდა პედაგოგიური ინსტიტუტის კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადი ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარედ, რაც არა ერთხელ აღნიშნულა ჯილდოთი კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ამ შინაარსის კრებულში, როგორიც წინამდებარე წიგნია, შეუძლებელია ყოველივე იმის აღნიშვნა, რაც ბატონ ალექსანდრეს მიუძღვის ქართული კულტურის, საქართველოს ფლორისა და ფაუნის, კახეთის მხარის კეთილმოწყობის სამსახურში. მაგრამ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ისეთ ფაქტს, როგორიც არის ბატონი ალექსანდრეს დამოკიდებულება 1941-1945 წწ. სამამულო ომთან. თავისი მოგონებების ერთ თავს ამ დაუვიწყარ საკითხს უძღვნის.

# მტრის გამანადგურებელი ბატალიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი დაიწყო 1941 წლის 22 ივნისს. ჩვენი ინსტიტუტის ეზოში ხდებოდა მობილიზებულთა შეკრება. ინსტიტუტის მუშაკები იმავე წუთში ჩავებით საქმიანობაში: ვატარებდით საუბრებს მოქმედ არმიაში გაწვეულებთან, გამცილებელ ჭირისუფლებთან, ოცეულებად დაწყობილი მიგვყავდა (ფეხით) რკინიგზის სადგურამდე და სამხედრო უწყების წარმომადგენლებს ვაბარებდით.

ყველანი გაწვევის მოლოდინში ვიყავით. ჩავატარეთ ინსტიტუტის მუშაკთა და სტუდენტთა მიტინგი. გამოვედით სიტყვებით.

ერთ დღეს შევიარე სამხედრო კომისარიატში და საერთო განყოფილების გამგეს საყვედურით მივმართე: – რატომ არ გვიწვევთ? მან მიპასუხა (თადეოზ ბაქრაძე იყო): გაწვევა ხდება წესრიგით; შენი სპეციალობის მოთხოვნა ჯერ არ გვაქვს.

რა იყო ჩემი სპეციალობა: არმიაში სამწყობრო სწავლება არ გამივლია. აყვანილი ვიყავი აღრიცხვაზე, როგორც პრესის მუშაკი. მქონდა მეთაურის ხარისხი, მალე შემიცვალეს წიგნაკი იმ მიზეზით, რომ დადგენილება არის, ვისაც სამწყობრო არ გაუვლია, მეთაურთა შემადგენლობაში არ შეიძლება მოხვდნენო. გადამრიცხეს უმწყობროში, სულ მალე შემეხო ჯავშანი, ვინაიდან ფაკულტეტის დეკანი ვიყავი.

1941 წლის აგვისტოში მივიღე პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილების ამონაწერი, რომ უნდა გამოვცხადებულიყავი მტრის გამანადგურებელი ბატალიონის შტაბში (მოთავსებული იყო მონადირეთა საზოგადოების შენობაში).

შტაბში წარვადგინე მიმართვა, ბატალიონის უფროსის მოადგილე კმაყოფილებით შემხვდა (ბ. მწყერაძე), მაგრამ ასეულის ზოგიერთმა მებრძოლმა ალმაცერად დამიწყო ყურება. ინტელიგენტური შრომის მუშაკთაგან პირველი ვი-

ყავი, რომელიც უნდა გავმხდარიყავი ახლად ჩამოყალიბებული – მტრის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი (ხალხი მარტივად – „პარტიზანებს“ გვიწოდებდა). ეს ფიცი ხელს მეორე ოცეულში (მეთაური დომენტი სვანიძე – იურისტი). მომცეს იარაღი და სათანადო მოწმობა (№77). გამაცნეს ყველა მოვალეობა. სულ მალე სხვასაც ვეჯიბრებოდი იარაღის თვალდახუჭული დაშლასა და აწყობაში. გვქონდა ტაქტიკური მეცადინეობა სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ.

სულ მალე დამევალა მთელი ასეულის აგიტატორის მოვალეობა და ფაქტიურად ვცვლიდი ასეულის პოლიტნაწილის უფროსს (პარტიის რაიკომის ერთ-ერთი მდივანი), ვინაიდან ის ვერ ახერხებდა ხშირად მოსვლას. ასეულში ვატარებდი საუბრებს, ვკითხულობდი ლექციებს, მაგრამ ყველაზე მთავარი იყო ყოველდღიური ინფორმაცია ფრონტზე მდგომარეობის შესახებ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ მტრის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლთა ერთი ნაწილი გადაყვანილ იქნა სამხედრო-საბანაკო ცხოვრებაზე, მაგრამ ჩვენ მათთან ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია: მეცადინეობებზე მაინც დავდიოდით და გარკვეულ ოპერაციებში ვიღებდით მონაწილეობას.

ბატალიონის მეთაურად ითვლებოდა შინსახკომის უფროსი შ. ფუტურიძე, კარგი კომუნისტი და გულისხმიერი ადამიანი. მაგრამ ბატალიონის მთელ საქმიანობას წარმართავდა ასეულის უფროსის მოადგილე ბესარიონ (ბესო) მწყერაძე, – საკმაოდ შორსმჭვრეტელი ადამიანი, დისციპლინიანი და მომთხოვნი.

მტრის გამანადგურებელი ბატალიონის ძირითადი მოვალეობა იყო ზურგში წესრიგის დაცვა. ჩვენდა სამწუხაროდ, სულ მალე გამოვლინდა, რომ ზოგიერთი პოლიტიკურად უმწიფარი ადამიანი გამოიპარა არმიიდან და ფარულად ცხოვრობდა. ჩვენ მათ დეზერტირებს ვეძახდით. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ზამთრის მკაცრ პირობებში თოვლზე, ხის ძირში, გამითენებია ღამე.

ბატალიონის წევრებს შეგვიკერეს ფორმის ტანსაცმე-

ლი და ფორმისვე ქუდი. გვქონდა კარგი შაშხანები (მგონი თვით გერმანული), გვქონდა აგრეთვე პისტოლეტებიც, რომელსაც ყოველთვის თან ვატარებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეზერტირები სათანადოდ გვყავდა შესწავლილი. ისინი ომამდეც შრომის დეზერტირები იყვნენ, უქნარები, ხორცმეტები, ნასამართლევი და სხვა. მათ იარაღი არ ჰქონდათ და ყველაფერს სჩადიოდნენ, რათა ეშოვნათ. დეზერტირებმა გარკვეული ზიანი მიაყენეს მოსახლეობას და ბატალიონსაც. ისინი ვერაგული მიპარვით ხოცავდნენ მათ, ვისაც კი იარაღი ჰქონდა. მოკლეს: ვეტექიმი მეტრეველი (კისისხევიდან), კოლმეურნეობის თავმჯდომარე მეგუთნიშვილი (კისისხევი, თვითონ წინანდლელი იყო), ვ. გიგაური (მილიციონერი), არჩ. ხოხობაშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე მატანში), კ. პაპალაშვილი (კოლმეურნე იყალთოდან), კ. არჩევანიძე (თელაველი, შემნახველ სალაროს გამგე), შ. ბუტულაშვილი (სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კონდოლში) და სხვა. ესენი ამავე დროს იყვნენ მტრის გამანადგურებელი ბატალიონის წევრებიც.

დეზერტირობა მალე შეწყდა. შეცდომაში შესულთა გარკვეული ნაწილი ნებაყოფლობით „გამოვიდა" და, პირიქით, ეხმარებოდა ბატალიონს დანარჩენთა გამოვლინებაში. დეზერტირთა გარკვეული ნაწილი კი საბრძოლო მდგომარეობაში იქნა განადგურებული.

მტრის გამანადგურებელი ბატალიონის როლი კი უფრო იზრდებოდა, ვინაიდან კახეთის რაიონების ტერიტორიაზე გახშირდა მტრის სადესანტო ერთეულების გადმოსხმის შემთხვევები. აღვწერ მხოლოდ რამდენიმეს:

ჩრდილოეთ კავკასიაში მოემზადებიათ ტყვე წითელარმიელები და გადმოუყვანიათ თვითმფრინავით. ერთ-ერთ შემთხვევაში ეს წითელარმიელები აზერბაიჯანელები ყოფილან. ვერ განესაზღვრათ ზუსტად აზერბაიჯანის ტერიტორია და ერთ-ერთი სოფ. აკურის ბოლოზე დაეშვა. პარაშუტი მიეტოვებინა. ეკითხა რკინიგზის სადგური და სოფლისაკენ წამოსულიყო. ერთი ღამით დარჩენილიყო ვენახებში, რომელსაც ყარაულობდა პატრონი (სიმწიფეში იყო ყურძენი). პარაშუტისტმა წითელარმიელად გაასაღა თავი (ფორმაც ხომ

ისეთი ეცვა). კარავში დარჩა. ივახშმა (მასპინძლობა გაუწია შ. იორდანიშვილმა). დილით ისევ სოფლისაკენ წამოსულა. მის მიერ რკინიგზის სადგურის ძიებასა და [illegible] (ქართული არ იცოდა) ეჭვი გამოეწვია მტრის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლებში, რომლებიც აკურის პუნქტში მორიგეობდნენ. დააკავეს იგი. აცნობეს თელავში შტაბს. მან აღიარა ყველაფერი. იგი მალე თბილისში გაიგზავნა. თელავის ასეულმა სამხედრო ნაწილებთან ერთად რამდენიმე დღეს ალაზნის დაბლობზე აწარმოა დაზვერვითი შემოვლები იმ მიზნით, რომ აღმოეჩინა რაიმე ან გამოევლინებინა კიდევ, თუ ასეთი ვინმე იყო. ერთ დღეს ბატალიონის მებრძოლმა, მსახიობმა ალექსი კუპატაძემ იპოვნა გაშლილი პრაშუტი (ამისათვის მას ასეულის მეთაურის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა).

ერთ ღამით თბილისიდან საბარგო მანქანით მოდიოდნენ ვაჭრობის მუშაკები. ბატალიონის მებრძოლები (ზ. მწყერაძე და ე. ნაცვლიშვილი). გომბორის მიდამოებში მანქანას გადაუდგა ორი პიროვნება, წითელარმიელის ფორმით, მათ მოითხოვეს თელავში წამოყვანა, ამავე დროს აღნიშნეს კონკრეტული ვითარების შესახებ. ამიტომ მებრძოლებმა პირდაპირ ბატალიონის შტაბში წარმოადგინეს. დაკითხვამ გამოარკვია, რომ ერთ-ერთი იცნობდა თელავის სინამდვილეს, უმუშავნია კიდეც მძღოლად თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში (იგი თელაველი იყო). თვითმფრინავმა სამი გადმოიყვანა: ერთი მეთაური იყო, ეს ორი-წითელარმიელი. დაეშვნენ გომბორის მიდამოებში. ჰქონდათ მიმღები, მაგრამ აკლდა სულ უბრალო მავთული, ანტენის შემცვლელი. ისინი დაეთხოვნენ მეთაურს იმ მიზნით, რომ გავიდოდნენ მოსახლეობაში და ნაწილს იშოვნიდნენ. მაგრამ გზაზე მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რათა ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ საბჭოთა ორგანოებს.

შედგა თათბირი. დაისახა ოპერატიული გეგმა და მეორე დღესვე ბატალიონის მებრძოლთა ცალკეული ჯგუფები გაეგზავნა შემთხვევის ადგილზე, რათა ალყაში მოექციათ დივერსანტი. მართლაც ასე მოხდა. დივერსანტი შეეცადა იარაღის გამოყენებას, მაგრამ უსწრაფესად გაკოჭეს

მებრძოლებმა. ასეულის მეთაურმა შ. ფუტურიძემ, ალბათ, იგი. ფუტურიძეს 30-იან წლებში ემუშავნა ქუთაისში, ოსეთ-ინგორც შინსახკომის მუშაკს. იმ დროს მომხდარიყო ბანკიდან დიდი რაოდენობის ფულის გატაცება. მას კარგად ახსოვდა ფულის გამტაცებლის გვარი. მას მაშინ მოეხერხებინა საზღვარგარეთ გაპარვა. იქ შესულიყო ფაშისტურ არმიაში. ჰქონდა სათანადო სამხედრო რანგი. ჩრდილოეთ კავკასიიდან ორი წითელარმიელი წამოეყვანა და განზრახვა ჰქონდათ თბილისში ან თელავში შემოღწევის.

დაპატიმრებული წამოვიყვანეთ ზემო-ხოდაშნის ხევით. თავი ეჭირა უკმეხად. ერთ ადგილზე ფეხი წაუფორხილდა. ბატალიონის მებრძოლმა ვახტანგ უთიაშვილმა უთხრა: ხომ ხედავ, ჩვენი მიწა შენს ფეხსაც კი უკადრისობსო. მან ახსნა-განმარტებები დაიწყო, თითქოს ქართველებს არ გვაინტერესებს საქართველოს ბედი. რატომ ისე არ მოიქცევით, როგორც ეს ფრანგებმა მოიმოქმედესო, ე.ი. რატომ უბრძოლველად არ ნებდებით გერმანელ ფაშისტებს, ხომ მაინც შემოვლენ საქართველოში და ისევ სჯობდა ფრონტად არ ვაქციოთ ჩვენი ქვეყანა და უბრძოლველად ჩავაბარეთო იგი მტერს (თბილისში წაიყვანეს იგი. შემდეგ ისევ დააბრუნეს თელავში და დასჯილი იქნა აქვე). ყოველივე ამის შესახებ ერთ-ერთ წიგნშია მოთხრობილი, ალბათ საარქივო მასალების მიხედვით. ამჯერად, აღარ მახსოვს, ვისია ეს წიგნი".

ბატონი ალექსანდრე ამ საინტერესო ამბებს განაგრძობს:

„მტრის გამანადგურებელმა ბატალიონმა გამოავლინა აგრეთვე სოფ. ალვანში მომქმედი ტერორისტთა ჯგუფი, რომლის წევრების ნაწილი ტყეში იყო გასული, ხოლო ნაწილი ფარულად მოქმედებდა. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა თელავის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე კ. ლაგაზიძე. თავდასხმა მოუწყვეს თელავის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მიხეილ (ციხისთავს (ტახტის-ბოგირის ახლოს). მანქანა რამდენიმე ადგილზე გახვრიტა ტყვიამ. რაღაც ბედზე მიხ. ციხისთავი გადარჩა (რატომ არ უნდა შეენახათ და დაეცვათ ეს მანქანა?!).

გადარჩა აგრეთვე მძღოლი არჩილ ქევხიშვილი.

ბატალიონის წევრებმა გახსნეს ეს საქმე დ[illegible]�emi-ლი ნაწილი დაპატიმრებული ქნა, ტყეში გაფანტული კი საბრძოლო შეტაკებაში დაიღუპნენ (ამ ამბავთან ბევრი რამ არის კიდევ საინტერესო, მაგრამ ეს ჩვენთან აღარ იყო დაკავშირებული).

1944 წელს მტრის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლთა ერთი ნაწილი დაჯილდოებული იქნა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ალ.გვენცაძე სოფელ ჭერემში.

# მოგონებათა ფურცლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გვენცაძის პირად არქივში დიდმნიშვნელოვანი მასალებია დაცული კახეთის რაიონებში, განსაკუთრებით კი თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონების გარკვეული წლების ისტორიული მოვლენების შესახებ.

იმისათვის, რომ წინამდებარე წიგნი ერთგვარად სრული ყოფილიყო, შევეცადეთ (და ეს აშკარად შესამჩნევია) მეტი დატვირთვა მისი არქივისათვის მიგვეცა.

მოგონებების ერთ ნაწილს ავტორი პირდაპირ უწოდებს „მოგონებათა ფურცლებს". ბევრი ვიფიქრეთ და ისევ თვითმხილველის სტილი ვარჩიეთ: ბატონი ალექსანდრე ამით უფრო მეტად გაგვახსენებს თავს. გულწრფელობა ხომ მისი ცხოვრების ფარი და მახვილი იყო!

ალ.გვენცაძე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრებან – ი.ქაშაკაშვილი, რ.ჭიკაძე, ა.სპარსიაშვილი.

მაშ ასე – გავყვეთ ჩვენი მასწავლებლის მონათხრობს: პატივცემულო მკითხველო!

აქვე უნდა შევთანხმდეთ: ქვემოთ წარმოდგენილი „მოგონებათა ფურცლები" ზოგჯერ უკვე ნაამბობს გაგახსენებთ. ჩვენ შეგნებულად არ დავჩეხეთ იგი, უკვე „ნათქვამ" და „ახლად სათქმელ" ნაწილებად. დაე, გვჯეროდეს თუ ბატონ ალექსანდრეს როგორ სტკიოდა წარსული!

აი, ეს მოგონებანიც!

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1929 წლის დავამთავრე. ვარლამ თოფურიამ თბილისის პირველ სტამბაში (პლეხანოვის პროსპექტზე) ცოტა ხნით მიმიბარა კორექტორის ადგილი. იმ სტამბაში მუშაობდნენ კორექტორებად იოსებ მჭედლიშვილი, სოლომონ ცაიშვილი და გიორგი ლორთქიფანიძე. მე, ნაწილობრივ მაინც, ვიცოდი კორექტრის წესები (მოწაფეთა გაზეთის „მოწაფის ხმის“ რედაქციასთან სიახლოვის შედეგად), მაგრამ საჭირო იყო დახელოვნება და გამოცდილების შეძენა. ბატონ ვარლამ თოფურიას ერთხელ გულწრფელად წამოსცდა: ალექსანდრე, შენ რომ კორექტურაში დაოსტატდები, პოეტ იოსებ მჭედლიშვილს გაათავისუფლებენო!.. სტამბის ხელმძღვანელობას რატომღაც პირადი თვისებების გამო არ მოსწონდა იგი; რა იყო ეს თვისებები? – პირდაპირობა, ობიექტურობა, შესრულებული სამუშაოს კარგი ხარისხი და სხვა, მოკლედ, კაცურ-კაცობა.

ალ.გვენცაძე სახელმწიფო გამოცდაზე, 1965 წ.

რაღა გამაჩერებდა სტამბაში! – არც მიკითხავს ბატონი ვარლამისათვის, დავწერე განცხადება, გამისწორეს ანგარიში და თავი დავანებე კორექტორობას (გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ კი ვაცნობე). წარმოიდგინეთ, რომ ვარლამ თოფურიამ მომიწონა ეს ნაბიჯი: ჩემთვისაც გვიან გამოირკვა სტამბის ხელმძღვანელობის ზრახვები, თორემ თავიდან თუ მეცოდინებოდა, იქ სამუშაოდ არ მიგიყვანდიო. სულ მალე გამომჟღავნდა სხვა ჩანაფიქრით: თურმე მე უნდა დამტოვონ სამუშაოდ ლექსიკოლოგიის კაბინეტში, რომელიც უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდება და პროფ. აკაკი შანიძე უხელმძღვანელებს. ეს მართლაც ზუსტად ასე მოხდა.

ერთ შესაფერ მომენტში ბატონ აკაკის ვაცნობე ჩემი განზრახვა, რომ წასვლა მინდოდა პედაგოგიურ სამუშაოზე... იგი დაფიქრდა და მითხრა, რამ გაიძულაო? კარგად აწონ-დაწონე, შემდეგში სანანებლად არ გაგიხდესო! მო-

დი, ხვალ საგანგებოდ შევხვდეთ ერთმანეთს და იქ გადავწყვიტოთო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში რაღაც „ქარიშხლის“ მსგავსი მზადდებოდა; პროფ. აკაკი შანიძეს ყოველი მხრიდან უტევდნენ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის ღირსეული დამფასებელი და თაყვანისმცემელიც. ყოველივე ამას ემატებოდა ჩემი ოჯახური მდგომარეობა: თბილისში უბინაობა, რაჭაში უსახსროდ მიტოვებული დედა, დები და სხვა.

25-26 დეკემბერი, 1965 წ.

ჩემი დროის სტუდენტი – გრიგოლ არჩილის ძე გოცირიძე იმჟამად თელავის საშუალო სკოლიდან გადაიყვანეს გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმში ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, ხოლო დირექტორის – ალექსანდრე (საშა) ბარამიძის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა. გრიგოლ (საშა) გოცირიძის რჩევის შედეგად გურჯაანში აღმოვჩნდი. ეს-ესაა უკვე გაუქმებული „კახეთის ოლქის“ ნაცვლად გურჯაანის რაიონი ყალიბდებოდა. ოლქის არსებობას მაინც დაეტოვებინა თავისი კვალი: ქალაქის ტიპის რამდენიმე ნაგებობა აღმართულიყო. პედაგოგიური ტექნიკუმი ისევ სოფელ გურჯაანში განაგრძობდა მუშაობას (ე.წ. „ონელაანთ“ სახლებში), პედაგოგიური ტექნიკუმის გარდა

სოფლის ტერიტორიაზე არსებობდა საშუალო სკოლა, შვიდწლიანი და დაწყებითი სკოლებიც (ეს უკანასკნელები ბინადრობდნენ განკულაკებულ „პუბლიკანთა" ყოფილ და სხვათა სახლებში, წარმოიდგინეთ, – გაუქმებულ საეკლესიო დუქნებშიც). ყოველდღიურად გურჯაანში შემოდიოდა და გადიოდა რამდენიმე ასეული მოსწავლე, რომლებიც წარმოადგენდნენ: ბაკურციხის, კოლაგის, ვეჯინის, ჩუმლაყის, კოტეხის, ახაშნის და თავად გურჯაანის მოსახლეობას (ერთ-ერთ რაიონულ გაზეთში ერთხელ დავწერე კიდეც: თუ გადავხურავდით სოფელ გურჯაანს, ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდებოდა უზარმაზარი მთლიანი სკოლა. ამის შესახებ ცენტრიდან განმარტებაც კი მოსთხოვეს რედაქციას...).

იყალთოს აკადემიაში
ალ.გვენცაძე, გ.ახვლედიანი,
ნ.არავიაშვილი, გ.შათირიშვილი
აპრილი, 1968 წ.

უაღრესად მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენდა მასწავლებელთა კადრებით სკოლების დაკომპლექტება (გურჯაანის განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა ვასილ ჭყონია). მასწავლებელთა ერთი ნაწილი რევოლუციამდელი გიმნაზიებისა და სხვა ტიპის სასწავლებლების კურსდამთავრებული იყო; მეორე დიდ ნაწილს კი თბილისის უნივერსიტეტის სხვადასხვა დარგის ყოფილი

სტუდენტები შეადგენდნენ. სკოლებში ხშირად შევხვდებოდით აგრონომიული განათლების მქონე პირებს. როგორც ჩანდა, მათ ჯერ კიდევ ვერ იყენებდნენ ის-ის იყო ახლად შექმნილ კოლმეურნეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც გურჯაანის განათლების განყოფილებაში გამოვცხადდი, გამოირკვა, რომ მასწავლებელი ეკატერინე ბეჟუაშვილი უნდა შემეცვალა. იგი ჩემი თანაკურსელი იყო, კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. სიღნაღის მკვიდრი იყო, დიდი სურვილი ჰქონდა იქ წასულიყო სამუშაოდ. ამის თაობაზე ჰქონია განცხადება გაგზავნილი განსახკომში, მაგრამ ჯერ არ ჩანდა პასუხი. მე მაინც ვითაკილე მეგობართან შეცილება და დავთანხმდი სოფ. კარდენახის შვიდწლიან სკოლაში მასწავლებლობაზე. ამ სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა მრავალმხრივ განათლებული, პედაგოგიური მოღვაწეობით გამოცდილი და მოსახლეობაში პრესტიჟის მქონე მირიან კარაბეკოვი. სკოლაში იყვნენ ძველი კადრის პედაგოგებიც: დები თუშიშვილები, ზ. მჭედლიშილი და სხვა. კარდენახის სკოლაში ერთ თვეზე მეტი არ გავჩერებულვარ. ამასობაში გაფორმდა ეკატერინე ბეჟაშვილის სიღნაღში გადაყვანა. მე კი გურჯაანში პედაგოგიურ ტექნიკუმში გამიწვიეს.

პაპა შვილიშვილებში

გურჯაანის პედაგოგიური ტექნიკუმი 1928 წელს უნდა იყოს დაარსებული. 1930–31 სასწავლო წლის დასაწყისში მოხდა მესამე კურსის მოსწავლეთა დროზე ადრე გამოშვება, ე.ი. ორკურსდამთავრებულები განაწილდნენ სკოლებში მასწავლებლებად. გამოსაშვებ საღამოზე რაიონის ხელმძღვანელებიც გვესწრებოდნენ. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით „ორატორობის“ ხელოვნებაში: აი, ჩვენი ეპოქა! თუ სხვა დროს ხალხს აჯერებდნენ, რომ

ქრისტემ წყალი ღვინოდ აქცია, ახლა თვალწინ გვაქვს სინამდვილე. – სულ მალე ალაზნის არხით მოსული წყალი მაცოცხლებელ ღვინოდ გადაიქცევა! – ხშირად ამბობდა ამ ლოზუნგური ფრაზა.

მოსწავლეებს აკლდათ სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო ნივთ-ხელსაწყოები, მაგრამ იმდენად გაცხოველებული იყო სწავლისადმი სურვილი და პასუხისმგებლობა, რომ გვიადვილდებოდა ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა.

გარკვეული სიძნელეებს ქმნიდა დაწყებით სკოლაში ერთხანს წერა-კითხვის სწავლების „მთლიანი სიტყვის ამერიკული მეთოდი“, თუმცა ეს მეთოდი შეუფერებელი იყო ქართული ენის ბუნებისათვის (როგორც ცნობილია, ორმოციანი წლებიდან იაკობ გოგებაშვილის ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს დაუბრუნდნენ ქართულ სკოლებში).

ოცდაათიან წლებში შემოიღეს საგანთა სწავლების „კომპლექსური მეთოდი“. დადასტურებულია, რომ პედაგოგიკა არასოდეს უარყოფდა საგანთა სწავლებისას „საგანთა შორის კავშირებს“, მაგრამ ოცდაათიანი წლების „კომპლექსური მეთოდი“ გაყალბებულად უდგებოდა ამ პრინციპს: ერთსა და იმავე გაკვეთილზე ხდებოდა – ისტორიის, ლიტერატურის ნიმუშებისა და ზოგჯერ გეოგრაფიის საკითხების სწავლება. ასეთი გაუპიროვნებლობა ამდაბლებდა სწავლების ხარისხს. მასწავლებელს რომელი საგანიც ეადვილებოდა, ხშირად, მისდა უნებურად, მას უთმობდა დიდ დროს. მალე გაჩნდა გამოთქმა – საგანი საგანსა სჭამსო!

დიდი გაუგებრობები იყო დაკავშირებული სკოლების პოლიტენიზაციის საკითხებთან. შეიძლება ითქვას, რომ „პოლიტექნიზაცია“ გაგებული იყო, როგორც „დურგლების“ საქმიანობა. სკოლაში შეიყვანეს კარგი დურგალი, მაგრამ წერა-კითხვის მცირემცოდნე. იგი გაკვეთილზე კითხულობდა სახელმძღვანელო მასალას, მაგრამ ისე უჭირდა კითხვა, რომ ბავშვები გამოსტაცებდნენ წიგნს და თავად კითხულობდნენ (დურგალი თ. პაიჭაძე).

როგორი დღესასწაული იყო სკოლებისათვის, როდესაც გაიგეს, რომ ეს პედაგოგიურად უაზრო მეთოდი აღიკვეთა

პრაქტიკაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, უფრო რთული ვითარება იყო შექმნილი სწავლების იდეოლოგიურ სფეროში. ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“-ს სწავლებისას სათაურს ქვეშ წამძღვანებული ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო“ – პრობლემას წარმოადგენდა. ერთხელ დირექტორმა მიმიხმო და მითხრა: განათლების განყოფილებაში ძალზე დადებითი წარმოდგენა აქვთ შენს მუშაობაზე, მაგრამ მაინც იციან, რომ ილიას ნაწერებს ისე ვერ ასწავლი, როგორ „დრო მოითხოვსო“. ძალიან კარგი იქნება, თუ მიიღებთ რჩევა-დარიგებასო!.. ცხადია, კამათი შეუძლებელი იყო!.. (საერთოდ, ასე გაგრძელდა საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობამდე, 1934 წლამდე).

პედაგოგიურ ტექნიკუმში მუშაობა გარკვეულ შემოქმედებით ხასიათს ატარებდა:

გურჯაანის განათლების განყოფილებასთან არსებობდა „მეთოდგაერთიანება“, რომელიც მთელ რაიონს ემსახურებოდა. „მეთოდგაერთიანებაში“ თავს იყრიდნენ რაიონის წამყვანი მასწავლებლები: პედაგოგიური ტექნიკუმის მასწავლებლები, რაიონის საშუალო სკოლების ხელმძღვანელები. მაგალითად: ველისციხის სკოლის დირექტორი, ცნობილი მწერალი და პედაგოგი დავით ჩხეიძე, შრომის (ვაჩნაძიანის) სკოლის დირექტორი იოსებ მთვარელიშვილი, კარდანახის სკოლის დირექტორი მირიან კარაბეკოვი და სხვანი.

საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს ბაზა ჰქონდა გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმში; ხშირად ეწყობოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელზეც ტექნიკუმის პედაგოგებიც იყვნენ მიწვეული ლექციების წასაკითხავად. კურსები ეწყობოდა რაიონის ზონებშიც: ველისციხეში, შრომაში, ბაკურციხეში და სხვა.

ჩვენი ხშირი სტუმარი იყო გამოჩენილი პედაგოგი პლატონ კვირკველია.

გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმში ზოგჯერ სასწავლო პრაქტიკას გადიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. დღემდე ვერ დამივიწყებია სოფ.

შაშიანის მკვიდრის ალექსანდრე კობერიძის სახელ. მან ჩვენთან გაიარა ფილოლოგ სტუდენტის სასწავლო პრაქტიკა; ნიჭიერი, შემოქმედებითი უნარის მქონე ახალგაზრდა; უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობდა (მუშაობდა სილნაღის რაიონის გაზეთის რედაქციაში). იგი დაიღუპა საავტომობილო ავარიის შემდეგ.

გურჯაანის პედაგოგიური ტექნიკუმის კურსდამთავრებულთაგან ბევრი სასახელო მასწავლებელი დადგა; ზოგიერთმა სამეცნიერო ფრონტზეც ისახელა თავი, მაგალითად: ანდრია აბრამიშვილი, ვლადიმერ მამათელაშვილი...

რაიონის ხელმძღვანელობამ ტექნიკუმს გამოუყო დამხმარე მეურნეობა, საკმაოდ დიდი ზვარი, რომელიც გაშენებული იყო ცნობილი ლოტბარის ლევან მუღალაშვილის მიერ. ლევან მუღალაშვილი ყოფილი სასულიერო პირი იყო, ვენახი ჩამორთმეულად ჰქონდა. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ვენახი ჩვენც ჩამოგვართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. ტექნიკუმს ეზოში ჰქონდა საცდელი ნაკვეთი უმთავრესად ბოსტნეული კულტურებისათვის.

ტექნიკუმის კოლექტივი საჭირო შემთხვევაში – ხელისუფლების დავალების შესაბამისად, მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობებში. სულ რამდენიმე დღის დაწყებული მქონდა მუშაობა ტექნიკუმში, კომკავშირის რაიკომში რომ დაგვიბარეს (მდივნობდა არჩილ კოკილაშვილი). გაგვაცნეს გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოყალიბებულიყო ბრიგადები, რომლებიც ადგილებზე მოსახლეობაში გასწევდნენ აგიტაციას საშემოდგომო თესვის კომპანიის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. მე – ჩემი 10 მოსწავლით გავემგზავრე სოფ. ყანდაურაში (მაშინ ეს სოფელი გურჯაანის რაიონს ეკუთვნოდა). პირველი რიგის ამოცანა იყო, მოსახლეობის დარწმუნება, რათა სათესლე ხორბალი გაეტარებინათ ე.წ. „ტრიერებში“. ზოგიერთი გვიცხადებდა, ტრიერში მოწყობილი გვაქვს საწერ-კალამი, რომელიც აღრიცხავს გაწმენდილი ხორბლის რაოდენობას და ამის მიხედვით შემოგაწერთო გადასახადს.

ტექნიკუმის კოლექტივმა მასობრივი შრომითი მონაწილეობა მიიღო ე.წ. მილარის მიდამოებში, (სადაც ბამბა ითესებოდა), შიდა-სარწყავი არხების გაყვანაში. იქ მთელი კვირობით ვრჩებოდით სამუშაოდ. ერთი მოსწავლე გამოგვეპარა, დანარჩენები კი - გოგონებიცა და ვაჟებით, ერთგულად და შეგნებულად მუშაობდნენ. სამწუხაროდ, არ იყო ორგანიზებული პროფილაქტიკური სამედიცინო ღონისძიებანი და ამის შედეგად მალარიით დაავადების მასობრივ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი.

გარკვეულ აღმზრდელობით მუშაობას ვაწარმოებდით მოსწავლეთა შორის და ამას უფრო ხშირად კერძო ინიციატივა ჰქონდა. მაშინ არ იყო მიღებული ექსკურსიები, განსაკუთრებით ისტორიული ძეგლების გასაცნობად, მაგრამ ზოგჯერ მაინც მივმართავდით ასეთ ღონისძიებას. განვიზრახე, რათა გამეცნო ბავშვებისათვის ძველი და ახალი შუამთის ისტორიული ძეგლები. გურჯაანიდან თელავამდე რკინიგზით ვიმგზავრეთ, თელავიდან შუამთამდე - ქვეითად. შუამთის ტყიან ზონაში ერთ-ერთმა მოსწავლემ რამდენჯერმე გაისროლა პისტოლეტი. მყისვე აღვკვეთე ეს გამოხდომა. მაგრამ გურჯაანში რომ დავბრუნდით, მეორე დღესვე დამიბარეს სათანადო ორგანოში და მკითხეს ამის თაობაზე. მე გულუბრყვილოდ მითქვამს, ასე უცბად როგორ გაიგეთ-მეთქი ეს შემთხვევა?

მოსწავლეები არ მომეშვნენ: გინდათ თუ არა, გურჯაანის „ყველაწმინდაში" წაგვიყვანეთო, ეს ტაძარი იქვე, სოფლიდან სულ კილომეტრ-ნახევარი თუ იქნება დაშორებული. ფრთხილად ვიქცეოდი - სახალხოდ ეკლესიებში ბავშვების წაყვანა არც თუ ისე მოსაწონი იქნებოდა ზოგიერთისათვის... მაინც წავედით... ეს დიდებული ძეგლი ახლა კარგად არის დაცული.

ერთხელ, დილით, სიჩქარის გამო ფინჯანი წამექცა და მდულარე ჩაი მარცხენა ლოყაზე შემესხა. შევნიშნე, რომ ამ ადგილზე თმა აღარ ამომდიოდა. მივმართე ექიმს, მირჩია, წვერი მოუშვი გარკვეული ხნის მანძილზეო. ასეც მოვიქეცი.

იყო შემთხვევა, როცა პედაგოგიური ტექნიკუმის

ხელმძღვანელობა და მასწავლებლები ვხვდებოდით რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკებს. ერთხელ შევნიშნე, რომ ახალგაზრდა შინსახკომელი ესაუბრებოდა ოფიცერს. როგორც ჩანდა, ამ ახალგაზრდას არ მოსწონდა ჩემი წვერი. მან ისიც კი უთხრა: „ავიყვანოთო!“ გული გადამიქანდა. მეორე დღესვე გავიპარსე წვერი.

ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების 40 წლისთავი (1933წ.) ახლოვდებოდა. მოხსენების წაკითხვა დამავალეს. ბევრნი დაესწრნენ მოხსენებას (რკინიგზელთა კლუბში), მათ შორის რაიონის ხელმძღვანელებიც. მოხსენებამ თითქოს მოწონება გამოიწვია, მაგრამ ვილაცას მოსაზრებით, საჭირო იყო, ი.ბ. სტალინის როლიც აღნიშნულიყო მე-19 საუკუნის ოთხმოცდამეათე წლების ცხოვრებაში. ჩემი ამ „შეცდომის“ გამო მოხსენებაზე დამსწრე ყველა პირი გამოიძახეს და ისევ ისეთი აუდიტორია ჩამოყალიბდა. მე უნდა გამოვსულიყავი ამ დაუფიქრებლობის გამო და წუხილი გამოეხატა. კეთილისმსურველებმა გამაფრთხილეს, რომ „შენებურად“ არ გაჯიუტდა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო! მე აღვნიშნე, რომ 1893 წელს ი.ბ. სტალინი იყო 13-14 წლის. თუ აქეთა წლების მოვლენებს შევეხებოდი, არ დამავიწყდებოდა-მეთქი და ლ. ბერიას „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაც“ გავიხსენე. რატომღაც ისე მოხდა, რომ სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა ეს პროცედურა და დამეხსნენ...

თითქმის მთელ კახეთში ცნობილი პიროვნება იყო შალვა ბოსტაშვილი, ადამიანი სახალხო, ყველა თვალში მისჩერებოდა, იქნებ მომესალმოსო. სპორტისა და ფიზიკური კულტურის ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა; ახალგაზრდობას ასწავლიდა და ზრდიდა ფიზიკური სიჯანსაღის სულისკვეთებით. ერთ დღეს გაოგნებული დავრჩით: შალვა ბოსტაშვილი დააპატიმრესო!.. ყველანი ერთმანეთს შევჩიოდით მიზეზს... სათანადო ორგანომ დაიწყო ცალკეული პირების გამოძახება. მეც დამიბარეს. მივედი, ვხედავ იარაღის ასხმაა, ემზადებიან გაფაციცებით. ვიფიქრე, ჩემი ფეხით მოვსულვარ, ეს ალიაქოთი რატომღა სჭირდებათ-მეთქი? უფროსმა შემნიშნა და ბოდიშის მოხდით მომმართა, თუ

შეიძლება, ხვალ 11 საათზე მობრძანდითო!.. გამოირკვა, რომ უკანამხარის ერთ-ერთ სოფელში გაყაჩაღებულ პირს მიაკვლიეს და იმის დასაპატიმრებლად მიდიოდნენ... მეორე დღეს უკვე მოკლული ყაჩაღი ცნობილი იყო - ვინმე ჩუგოშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვცხადდი მეორე დღეს. მიმილო უფროსმა (თუ არ ვცდები, გვარად მარგველაშვილი), გამომკითხა: თუ სადაური ვარ, რა მიზნით ავირჩიე პედაგოგობა, როგორ ეკიდებიანო ბავშვები სწავლას და სხვა. ბოლოს მეკითხება, ცხოვრების როგორი პირობები გაქვთო? გულწრფელად მოვახსენე ყველაფერი, ისიც კი ვუთხარი მგონი, თქვენც დაგვინახეთ რამდენჯერმე პურის რიგში; რა წეწვა-გლეჯა არის, ხშირად კი უპუროდ ვრჩებით მასწავლებლები-მეთქი. მიუხედავად ამისა, მაინც შეგნებულად ვუდგებით მდგომარეობას და დროებითად მიგვაჩნია ასეთი პირობები-მეთქი.იგი შიგადაშიგ კითხვებსაც მისვამდა... არ დაუფიცავს: ამასწინათ თქვენი ერთი მასწავლებელი მყავდაო გამოძახებული. როდესაც ვკითხე, ცხოვრების პირობებზე, თითი გამოისვაო ყელში და ამით მანიშნა, უზრუნველყოფილი ვართ ყველაფრითო. საუბარმა მშვიდად ჩაიარა და წამოვედი... მეორე დღეს დიდი სიხარული სუფევდა ჩვენს კოლექტივში: შალვა ბოსტაშვილი თავისუფლად მოგვევლინა... არც უკითხავთო ჩემთვის, რისთვის დამაპატიმრეს, არც თქვენი გამოძახების შესახებ ვიცოდიო რაიმე. აღდგომის წითელი კვერცხები კიდევ შენახული გვქონდა, ამას სხვა რამეებიც დაემატა და ლაზათიანი ქეიფი გავწიეთ (რაღაც საცდელი ღონისძიება უნდა ყოფილიყო მისი დაპატიმრება).

იყო შემთხვევები, როდესაც უხერხულობაში აღმოვჩენილვარ: ერთხელ გაკვეთილზე გოგონა ეჩურჩულებოდა მეორეს - მივხვდი, რომ მე შემეხებოდა. წინა დღით იმ ჯგუფში მომახვედრეს, გადასახადების „ამოსაღებად“ რომ უნდა წასულიყო; ერთი ოჯახიდან ჭურჭელი რომ გამოგვქონდა, გაგვიძალიანდნენ. ვხედავ, გოგონა გაფართოებული თვალებით მოგვჩერებია. ეს სწორედ ის გოგონა იყო, გაკვეთილზე ამხანაგს რომ ეჩურჩულებოდა, რა დღეში აღმოვჩნდებოდი! სხვა ვერაფერი მოვიგონე და ესა ვთქვი, ოჯახის

უფროსი შინ არ ყოფილა, შემდეგისათვის გადაგვეცა ამ სპილენძის ქვაბების წაღება-მეთქი. დამიჯერეს.

დახმარების მიზნით მასწავლებლებზე რამდენიმე ბიჭ-ბიჭაცვეები გამოგვიყვეს ერთ-ერთ მაღაზიაში. ყველაზე სასარგებლო იყო წაღები, ნამდვილი, სალდათური წაღები. ჩავიცვით და ისე დავდიოდით სკოლაში. ვხედავ მხვდება მოსწავლე – ილია სავაძე – შემდეგში პედაგოგი და სკოლის დირექტორი. იგი მეუბნება, პატივცემულო მასწავლებელო, თუ შეიძლება ეგ წაღები გაიხადეთ, რამდენიმე დღით სხვა ჩაიცვით, მამაჩემი ხარაზია და ის დააპატარავებსო! უხერხულობა ვიგრძენი, მაგრამ მაინც დავთანხმდი. სულ მალე მშვენიერი და კოხტა წაღები მეცვა კარგა ხანს გამიწია სამსახური.

ვხედავ, – გამომიძახა პარტიის რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის გამგემ სერგო თარხანოვმა, განათლებულმა კაცმა, დარბაისელმა და საქმიანმა, მთხოვა პარტიული ბიბლიოთეკა უნდა დავაარსოთ და დაგვეხმარეთო. ეს იყო პარტიული განათლების კაბინეტი, რომელსაც ჯერჯერობით ბევრი არაფერი მოეპოვებოდა... გადავწყვიტეთ, რათა სოფელ გურჯაანის ცენტრში (ახლა საშუალო სკოლაა და მაშინ ცარიელი მინდორი იყო), სადაც იმართებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, უპირატესად კი ჭიდაობა, ჩატარებულიყო სალამო. ერთი მოქალაქე დაგვპირდა დამკვრელებს მე მოვიყვანო... ვიყიდეთ სურსათ-სანოვაგე, ერთი ურემი საზამთრო. აფიშები გაკრულია... კაციშვილი არ მოდის, დამკვრელები არ ჩანან... თურმე თუ საჭიდაო არ დაუკრეს, არც აფიშებს აქვს ღირებულება და არც სხვა რამეს. სალამო ჩაიშალა. საკუთარი ხელფასით მაქვს შეძენილი ყველაფერი. რაღას ვიზამდი!.. გაფუჭდება ამდენი საზამთრო. ერთი ძალზე შეგნებული გლეხი იყო – პეტო ზვერიაშვილი. იგი მოდის და მეუბნება, ნუ შეწუხდებით, ყველაფერს ეშველებაო! გამოიძახა საზამთროს პატრონი თავისი ურმით, რომელზეც დაალაგეს საზამთრო და ხევისუბნის ცენტრში ჩაიტანეს. აქ სალამოობით ყოველთვის თავს იყრიდა 20–30 კაცი. გაჩაღდა „სიწითლეზე“ შეჯიბრება. სათითაოდ აარჩევდნენ საზამთროს, შემდეგ გასჭრიდნენ, რომელიც უფრო წითელი აღ-

მოჩნდებოდა, ის ითვლებოდა გამარჯვებული, „დამარცხებული“ კი იხდიდა ორივეს ღირებულებას. გაჭრილი საზამთრო მაყურებელთ გადაეცემოდა... იყო ერთი ხარბი და შეძახილები, დაშაქრული საზამთროს მირთმევა... თითქოს ამოღებულ იქნა მთელი ღირებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანელი გლეხი ძალზე თავაზიანია; ის განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენს ინტელიგენციისადმი, ან მათებურად – „აბრაზუნკებისადმი“. შევნიშნე, რომ ერთი ძირკოკელი ბავშვი ხშირად აგვიანებდა, თან არყის სუნიც უდიოდა. მისი მშობლები დავიბარე, ველოდები: არც დედა ჩანს, არც მამა. ბავშვი მეუბნება: მამაჩემი გუშინაც იყო და გუშინწინაც, მაგრამ ხათრით თქვენთან მოსვლა ვერ მობედაო... მაინც მოვიყვანე... თითქოს იცოდა, რა უნდა მეთქვა – მა რა ვქნა, ოჯახაშენებულო, დილით ადრე ამ სიცივეში და ამ დიდ გზაზე ბავშვი მოდის, ერთი ყლუპი არაყი ხომ წამალივით სჭირდებაო! სათანადო ახსნა–განმარტების შემდეგ ბავშვმა შეწყვიტა დაგვიანებაც და არყის სმაც.

რა თქმა უნდა, მასწავლებელთათვის ცალკე ბინები არ იყო, ვცხოვრობდით დაქირავებულ ბინებში ან განკულაკებულთა სახლებში. სანამდე სადგურის უბანში გადმოვიდოდა პედაგოგიური ტექნიკუმი, სოფლად მიხდებოდა ცხოვრება. განკულაკებულ ქაჩლიშვილის ერთი ოთახი მომცეს. განკულაკებული იმის გამო იყო, რომ თებერვლის ბოლოს რომ ჩავიდოდნენ ვენახში, ნოემბრამდე იქ რჩებოდნენ. სულ რამდენიმე კასრი ღვინო უდგებოდათ... და ეს იყო მათი განკულაკების მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისადმი მტრულად უნდა ყოფილიყვნენ განწყობილი, პატივით მეპყრობოდნენ. ზოგჯერ კი იყო შემთხვევა, ოჯახის უხუცესი, 90 წელს გადაცილებული, მეტყოდა ხოლმე, შვილო, გაზეთებს კითხულობ და მაინც რა ისმისო კომუნისტები როდის აპირებენ წასვლასო? თან კბილს გაჰკრავდა სოფლის ზოგიერთ მუშაკს, ადრე ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს, ახლა კი ბტონებათ მოგვევლინენო! მოსახლეობა მტკივნეულად განიცდიდა დამახინჯებებსა და დარღვევებს.

გურჯაანში მრავალი სკოლა არსებობდა, მაგრამ არც–

ერთს არ ჰქონდა საკუთარი და შესაფერისი შენობა. გადაწყდა, რომ მოსახლეობის სახსრებით აგებულიყო სკოლა. შეიქმნა ბრიგადები, რომელშიც მასწავლებლებიც ვმონაწილეობდით. უნდა ჩამოგვევლო კარდაკარ, თან ურემი დაგვყვებოდა, მასზე კასრი იყო დადგმული. ვისთანაც კი მივიდოდით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაიგებდნენ, რომ სახსრები გროვდებოდა სკოლისათვის. ყველანი ღვინოს გვთავაზობდნენ, თან ილოცებოდნენ, ღმერთმა თქვენც და ჩვენც მოგვასწროსო ლამაზი სკოლის შენობასო. როგორც შემდეგ გამოირკვა, დიდი რაოდენობის ღვინო შეგროვდა, მაგრამ „დამქაშებმა" აღურიცხავად შეიტანეს მარნებში და სათავისოდ მიხედეს. და მაინც არ შემიძლია მოწიწებით არ ვიყო გამსჭვალული ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველ ადგილთან – გურჯაანთან, რომელსაც პატივისცემით აღვნიშნავ ხოლმე ჩემს ბიოგრაფიაში.

სილნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში თავისუფალი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ადგილი. მთხოვდნენ – იქნებ გადმოხვიდეთო. ჩემთვის ძნელი იყო გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმთან განშორება, ამიტომ ვყოყმანობდი. ზაფხულის არდადეგებზე რაჭაში წავედი დედასთან. აგვისტოს მეორე ნახევარში სილნაღიდან მივიღე დეპეშა, რომ მასწავლებლად დანიშნული ხარ პედაგოგიურ ტექნიკუმში და სასწავლო წლის დასაწყისისათვის უნდა გამოცხადდეთო.

გურჯაანის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი ცივი უარით შემხვდა. რა მიზეზით მიდიხარო. რას ვეტყოდი. ბოლოს მითხრა, გამონახეთ შემცვლელი და რეკომენდაციაც მიეცითო. სოფელ ყანდაურის სკოლის გამგედ მუშაობდა ჩემი უნივერსიტეტელი თანაკურსელი გიორგი ჯავახიშვილი. მასზე შევჩერდით. იგი ყოველმხრივ ღირსეული იყო, როგორც ადამიანი და როგორც პედაგოგი.

მოწესრიგებული და საქმიანი კოლექტივი დამხვდა სილნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში. მისი დირექტორი იყო მიხეილ შაიშმელაშვილი, შემდეგში რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

სიღნაღის პედაგოგიური ტექნიკუმის კოლექტივს წარმოადგენდნენ: ანდრია დარჩიაშვილი, ნინო ნადირაძე, იოსებ დარჩიაშვილი, თომა ნაცვლიშვილი, დავით დანგაძე, დიმიტრი ნაცვლიშვილი, ვარლამ შენგელია, ილია გოცირიძე, პავლე ნადირაძე, არტაშ ნონეზოვი, იური ტატიშვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიურ ტექნიკუმთან არსებობდა საბაზო სკოლა, როგორც პედაგოგიური პრაქტიკის დასაყრდენი. ამ სკოლას ხელმძღვანელობდა გიორგი ბილანიშვილი.

განსაკუთრებით უნდა შევნიშნო, რომ სიღნაღის პედაგოგიური ტექნიკუმის მოწაფეობა გამოირჩეოდა სიბეჯითით და სწავლისადმი მისწრაფებით. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ სასწავლებლის ყოფილი მოწაფეების მიერ მოპოვებულ იქნა სამეცნიერო ხარისხი და წოდებები: (ბეუან ხარაზიშვილი – კრიმინალისტიკის დარგში პროფესორი; ვიქტორ გურაშვილი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; ალექსანდრე ნადაშვილი – პედაგოგიკის დარგის დოცენტი და სხვა).

განათლების განყოფილების გამგის მცდელობით პედაგოგიური ღონისძიებებში მონაწილენი უზრუნველყოფილნი იყვნენ ტრანსპორტით: ეტლი, მსუბუქი ავტომანქანა.

პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლეები არ იყვნენ უზრუნველყოფილი ცალკეული სასწავლო საგნების სახელმძღვანელოებით; მაგალითად: სახელმძღვანელოები არ არსებობდა: ქართული ენის, ქართული ენის სწავლების მეთოდიკის, ქართული ლიტერატურის სისტემატური კურსის, მათემატიკის სწავლების მეთოდიკის და სხვა.

პირადად მე მიხდებოდა რამდენიმე საგნის კურსის ხელმძღვანელობა–წაკითხვა: ქართული ენის გრამატიკა, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, ცოცხალი სიტყვის მეთოდიკა (არსებობდა სკოლამდელი აღზრდის სპეციალობის ჯგუფებიც), ლიტერატურის ნიმუშებისა და მათი სწავლების მეთოდიკის კურსი.

სალიტერატურო მუშაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის ჩატარების შემდეგ. ამ პერიოდისათვის სიღნაღში მოვიდ-

ნენ ილო მოსაშვილი და სიმონ ჩიქოვანი, რომლებმაც რაიონული გაზეთის „კოლმეურნის“ რედაქციასთან ჩამოაყალიბეს საქართველოს მწერალთა კავშირის სალიტერატურო წრე, რომელმაც მთელი რაიონის შემოქმედებითი ძალები გააერთიანა; წრეში აქტიურად მეცადინეობდნენ და ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდნენ: დავით პატატიშვილი, პლატო ქუფარაშვილი, ასლან ყოჩიაშვილი, ფარნაოზ დარჩიაშვილი, შალვა გონაშვილი, ალექსანდრე ბეგაშვილი, ვასილ ქადაგიშვილი, ნიკო ხუციშვილი, ეორა ლეუნევი, ლენტო ისაკოვი (ველისციხელი), სახალხო მთქმელები – ისაკო მირიანაშვილი, გიო კანანელი და სხვანი. ამათი შემოქმედების ნიმუშები მეტ-ნაკლებად იბეჭდებოდა „კოლმეურნის“ ფურცლებზე.

ერთხანს (1935, 1936, 1937... წლებში) ძალზე ორგანიზებულად დ მრავალფეროვანი პროგრამით ტარდებოდა სილნაღში თვითმოქმედების მხატვრული ოლიმპიადები. ამ დროს წითელწყაროს რაიონი სილნაღის შემადგენლობაში შედიოდა. ყოველთვის ხალხმრავალი იყო ოლიმპიადის სანახაობები: სიმღერა, ინსტრუმენტებზე დაკვრა, ქორეოგრაფია, დეკლამაცია. ოლიმპიადებში ყველა ასაკის ადამიანი მონაწილეობდა; მონაწილეობა შეიძლებოდა ინდივიდუალურად და ჯგუფურადაც; მაგალითად, იყო შემთხვევები, როცა ოჯახური ანსამბლებიც გამოდიოდნენ (დები ჩახნაშვილები), წარმატება ჰქონდა კოტე ჭრელაშვილის მომღერალთა გუნდს. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა საპრიზო შეჯიბრებები ცეკვებში (ფიზიკური კულტურის მასწავლებელი – დიმიტრი (მიტო) ნაცვლიშვილი და ვაჭრობის მუშაკის – ნასყიდა ჭაბაშვილის შეჯიბრებები ქართულ ცეკვებში).

1936 წლის ზაფხულში ფრანგი მწერალი – ანდრე ჟიდი ეწვია სილნაღს. რამდენადაც მახსოვს, თანმხლებთა შორის იმყოფებოდა პოეტი პაოლო იაშვილი. სტუმრებს საზეიმო ვახშამი გაუმართეს ნუკრიანის კოლმეურნეობაში. ჟიდი მთელი ხმით გასძახოდა: „მათლაფა“!, „მათლაფა!“.

ჟიდმა ფხეით შემოიარა ქ. სილნაღი. გადაიღო სურათებიც. განსაკუთრებით დაინტერესდა ფეხშიშველა პატარა ბიჭებით, რომლებიც „თავგატეხილას“ განთქმულ წყაროს

წყალს დაატარებდნენ კოკურებით და ჭიქებით ყიდიდნენ (როგორც იუწყებოდნენ, შემდეგში ჟიდმა საპროვოკაციოდ გამოიყენა თურმე ფოტო-გადაღებები). მახსოვს, რედაქციის არ მოეპოვებოდა ჟიდის სურათის კლიშე. რედაქტორის მოადგილემ - ჟორა ლეჟნევმა ლინონიუმის ნაგლეჯზე მოხაზა ჟიდის სახე და ასე დაიბეჭდა. ეჩვენებინათ მისთვის გაზეთში გამოსახული მისი სურათი და მოსწონებოდა კიდეც.

რეპრესიებმა ძალზე მწვავე ხასიათი მიიღო: დააპატიმრეს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი არტემ წითლაძე, რაიალმასკომის თავმჯდომარე შალვა ალავერდაშვილი, კულტურნეობის თავმჯდომარე სიმონ ქუფარაშვილი, იურისტი ალექსანდრე (შურა) კობეშავიძე, მოსამართლე მახოშვილი, საბჭოთა მეურნეობის დირექტორები: კოსტალია აბაშიძე, ზახაროვი, რედაქტორი იონა ჭოჭუა, საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მეტრეველი, პროკურორი გიორგი მესტიაშვილი, რაიკომის მეორე მდივანი დიმიტრი (მიტო) მესტიაშვილი, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნიკოლოზ ჭელიძე და სხვანი. დაპატიმრებულთა სასამართლო პროცესი საჩვენებლად ჩატარდა. სასამართლოს პროცესებში მონაწილეობდა მრავალი მოწმე. არტემ წითლიძემ უარი თქვა დაცვაზე და განაცხადა: „პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამგზავნა მოსკოვის წითელ პროფესურაში. იქ დამატებით მომამზადეს იმისათვის, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვიმუშავებდი პარტიულ სამუშაოზე და უნდა მეწარმოებია პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ ბრძოლა. სიღნაღში გაჩენილი „ჭირის“ შესახებ არაფერი ვიცოდიო“. (ამ „ჭირის“ გამო ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რედ.). რაიალმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ შ. ალავერდაშვილმა განაცხადა: „ვიცი, რომ მომისჯით სასჯელის უმაღლეს ზომას, მაგრამ ეს ცოტა იქნება იმ დანაშაულისათვის, რაც მე ჩამიდენიაო პარტიისა და ხალხის საზიანოდ“.

გასამართლებულთა ერთ ნაწილს შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. ზოგიერთი სხვადასხვა ვადით იქნა გადასახლებული. ამათგან რამდენიმე ვადაზე

ადრე დაბრუნდა, მაგალითად, ნიკოლოზ ჭელიძე.

საერთოდ სიტუაცია ძალზე დაძაბული შეიქმნა. ზოგიერთნი ცდილობდნენ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას, არ ერიდებოდნენ ცილისწამებებსა და დაბეზღებებს. მაგალითად: ჩატარდა კომკავშირის რაიონული კონფერენცია. ერთ-ერთმა მოითხოვა, რათა კონფერენციას გაეძევებინა ტექნიკუმის დირექტორი მიხეილ შაიშმელაშვილი იმ მოტივით, რომ მისი მეულლე არის მესტიაშვილის გვარის ქალიო. ყოველმხრივ პატიოსანი, მასწავლებელი, სანიმუშო დედა, მაგრამ დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ მესტიაშვილებიც, რომლებთანაც მიხეილ შაიშმელაშვილის ოჯახს ბევრი რამ საერთო არ ჰქონია. ამ შემთხვევის გამო სრულიად შეგნებულად განვაცხადე ვიწრო წრეში: როდესაც კონფერენციიდან აძევებენ ისეთ პატიოსან და ერთგულ მუშაკს, როგორიც მ. შაიშმელაშვილია, რაღაც კარგად ვერ უნდა გვქონდეს-მეთქი საქმე! წარმოიდგინეთ, რომ ეს გულწრფელი განცხადება კინაღამ ძვირად დამიჯდა.

იყო ერთი მოპოეტო ვასილ ქადაგიშვილი. ეს იყო გაზეთ „კოლმეურნის" რედაქტორის ცოლისძმა. იგი ყოველთვის საყვედურობდა, პედაგოგიური ტექნიკუმის მოსწავლეთა ნაწერები ხშირად იბეჭდება, ჩემი კი – არაო! ამას, როგორც ჩანდა, მე მაბრალებდა. მას ერთი ბინძური განცხადება გაეგზავნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში: უჩიოდა საკუთარ სიძეს, თითქოს მას ურთიერთობა ჰქონდა ტექნიკუმის ქალებთან და ამის გამო სხვანაირ ყურადღებას აქცევსო ტექნიკუმელებს. ეს განცხადება რაიონს გამოუგზავნეს, როგორც მახსოვს, სასამართლომ განიხილა და ცილისმწამებლობისათვის დასაჯეს ვ. ქადაგიშვილი. მე არ დავსწრებივარ სასამართლო პროცესს. როდესაც თელავში დავიწყე მუშაობა, ერთხელ საგანგებოდ მოვიდა ჩემთან ქადაგიშვილი და აღიარა ყველაფერი, რომ მას აქეზებდნენ და უბიძგებდნენ საშუალო სკოლის მუშაკები. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო: რატომღაც საშუალო სკოლის ზოგიერთი მასწავლებელი სულ ჯიბრში ედგა პედაგოგიური ტექნიკუმის მასწავლებლობას. მათ ვერ აეტანათ ის სინამდვილე, რომ ყველა საზოგადოებრივ საქმეში, პრესის საქმია-

ნობაში, რაიონის სკოლებისა და მასწავლებელთა მეთოდი-
კურ მომსახურეობაში, პირველ ადგილზე იდგა პედაგო-
გიური ტექნიკუმის კოლექტივი.

ციფრული
ბიბლიოთეკა

ერთი ფაქტიც: ტექნიკუმთან არსებულ საბაზო სკოლა-
შიც ძირითადად ტექნიკუმის მასწავლებლები ხელმძღვა-
ნელობდნენ მთავარი საგნების სწავლებას. მე-7 კლასში
გვყავდა ერთი ყმაწვილი, რომელსაც ძალზე დაბალი წე-
რის კულტურა ჰქონდა. ყოველი საკონტროლო წერის შემდეგ
მართავდა სკანდალს, აქაო შეცდომა არა მაქვს და ტყუი-
ლად არისო გასმული წითელი ხაზი. ეს ასე გაგრძელდა
რამდენჯერმე, შემდეგ როგორც ვთქვით, ამ მოსწავლის
დედა მოვიდა და საიდუმლოდ გაგვანდო: „ჩემს შვილს
თქვენს მიერ შესწორებული საკონტროლო წერითი ნამუ-
შევრები მიაქვს საშუალო სკოლაში და იქ არწმუნებენო,
თითქოს კარგად უწერია, მაგრამ ცუდად გიფასებენო. რა
თქმა უნდა, გასაგები ხდებოდა ყველაფერი"!..

ამ ცოტა ხნის წინათ სიღნაღის რაიონის გაზეთის
„კოლმეურნის" მაშინდელ ნომრებს ვათვალიერებდი, აღ-
მოჩნდა ასეთი რამ: პედაგოგიური ტექნიკუმის 1936 წლის
კურსდამთავრებულთათვის გაზეთს უძღვნია სპეციალური
გვერდი, რომელზეც ჩემი წერილიც არის დასტამბული,
და გამოვთქვამ სინანულს ზოგიერთი მუშაკის მიერ ღვარძ-
ლისა და ბოღმის გამომჟღავნებისადმი.

აგვისტოს ბოლო დღეებში (1937წ.) თბილისში მომიხდა
ყოფნა. მაშინ განსახკომში არსებობდა სპეციალური საშუალო
სასწავლებლების სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანე-
ლობდნენ ჩემთვის კარგად ცნობილი მუშაკები – ანდრია
მჭედლიძე და ვარლამ ქაჯაია. დამინახეს თუ არა, მომი-
ლოცეს, რომ სიღნაღში აღარ გვეგონა თუ ვინმე იყოო
გადარჩენილი. მკითხეს ყველაფერზე და მკვეთრი უარყო-
ფითი დამოკიდებულება გამოხატეს წინადადებაზე, რომ
დავთმო პედაგოგიური ასპარეზი და რედაქციაში გადავ-
სულიყავი სამუშაოდ. ასეთ საუბარში რომ ვართ, შემოვიდა
პიროვნება, რომელსაც შორიდან ვიცნობდი; იგი იყო თელავის
პირველი საშუალო სკოლის დირექტორი და ამჟამად ასრუ-
ლებდა თურმე თელავის განათლების განყოფილების გამგის

მოვალეობას. მან დაიჩივლა, რომ დააპატიმრეს განათლების გამყოფილების გამგე და თანამდებობა მე შემითავაზესო; დაპატიმრებულია აგრეთვე თელავის პედაგოგიური ტექნიკუმის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პირველი სექტემბრიდან გაკვეთილები გასცდებაო.

ვარლამმა უმალ ყურადღება მოაპყრო ჩემსკენ და თითქოს ოხუნჯობით თქვა: ეგ ჩვენც ვიცოდითო, აგერ პატივცემული ალექსანდრე გვინდოდა თქვენთან გამოგვეგზავნაო.

ყველას თანხმობის ღიმილი გამოეხატა. ერთადერთი საშუალება, რომ გიხსნათ რედაქციაში სამუშაოდ გადასვლისაგან, იქნება დროებით მაინც წახვიდე თელავშიო.

ასე აღმოვჩნდი სექტემბრის პირველ დღეებში თელავის პედაგოგიური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ასე დაიწყო ჩემს ცხოვრებაში ახალი პერიოდი და ასე გრძელდება დღევანდლამდე, რაც გადაიზარდა ინსტიტუტში მოღვაწეობაში.

თელავში სამუშაოდ გადმოსვლის შემდეგაც არ გამიწყვეტია საქმიანი ურთიერთობა სიღნაღთან, მითუმეტეს, რომ ჩემი ერთი და გათხოვდა სიღნაღში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისებასა და შემოქმედების გზების არჩევისათვის ზრუნვას.

მოსწავლე დ. პატატიშვილმა ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა პოეზიის სფეროში. მე დავუბეჭდე მას „კოლმეურნეში“ პირველი ლექსები (ერთხელ აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ მოგონებებში მოიხსენია, რომ ქუთაისში გაზეთის რედაქტორი ვიყავიო და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტ დავით პატატიშვილს ჩემს გაზეთში მე დავუბეჭდეო პირველი ლექსები. არადა, ამ დროს ამ ახალგაზრდას საკმაო რაოდენობის ლექსები ჰქონდა დაბეჭდილი სიღნაღის გაზეთში. დავით პატატიშვილი დაიღუპა ომში, 1944 წელს. ომის დამთავრების შემდეგ, მისი დის თხოვნით, შუამდგომლობა აღვძარი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წინაშე მისი წიგნის გამოცემის თაობაზე. ეს წიგნი გამოიცა. მას შემდეგაც დაისტამბა ცალკე

წიგნად, მაგრამ ამ გამოცემებში არ არის შესული პოეტის ყველა ლექსი, განსაკუთრებით სიღნაღის პერიოდის ლექსები. მე პირადად რამდენიმე მისი ლექსი და წერილები პოეტის შემოქმედებაზე, გამოვაქვეყნე რესპუბლიკურ-რაიონულ პრესაში (სიღნაღი, თელავი, გურჯაანი, წითელწყარო).

* * *

წინამდებარე წიგნის წარმოდგენილ „მოგონებათა ფურცლების" დიდ ნაწილში, როგორც ვნახეთ, არის საუბარი თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბატონ ალ. გვენცაძის მოღვაწეობა-საქმიანობის შესახებ.

ქვემოთ მხოლოდ ზოგ რაიმეს დავუმატებთ:

* * *

1924 წლიდან თელავში საფუძველი ეყრება პედაგოგიურ ტექნიკუმს. ეს იყო ბაზა, რომლის საფუძველზედაც შემდეგში აღმოცენდა სამასწავლებლო ინსტიტუტი. აქ ზარი 1939 წლის 1 სექტემბერს დარეკილა. პირველ სასწავლო წელს ინსტიტუტს ოთხი პროფილი ჰქონია: ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის.

1940 წლიდან ინსტიტუტი (დღეს უკვე უნივერსიტეტი) დიდი იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა.

1951 წლიდან სამასწავლებლო ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა პედაგოგიურ ინსტიტუტად.

ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორიასთან ერთად ერთ - ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტად იყო გაერთიანებული. მისი პირველი დეკანი ალ. გვენცაძე იყო.

თითოეულ პროფილს, შესაბამისი კათედრები ჰქონდა. ქართულ ენასა და ლიტერატურასაც თავისი კათედრა. მისი გამგე უკვე დოცენტი ალ. გვენცაძე გახლდათ. მან 1951

წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რაც უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მალევე დაამტკიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 წლიდან ბატონი ალექსანდრე თავს ანებებს ფაკულტეტის დეკანობას და ხსენებული კათედრის გამგედ რჩება. ამ კათედრაზე მაშინ მუშაობდნენ: დ. გოგოჭური, შ. ჩიჯავაძე, თ. გრემლაშვილი, მოწვეული ლექტორები: გრ. გაბედავა, პ. ბერაძე, ნ. ურუშაძე, ლ. ამაშუკელი და სხვ. მალე კათედრას შემოემატნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რ. ჭიკაძე (ახლა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი), ქალბატონი ნორა კოტინოვი (ახლა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკი)...

ალ.გვენცაძე და გ.ლეონიძე

ალ. გვენცაძე რექტორ პროფ. ნ. ქორთუასთან ერთად დაუცხრომლად ზრუნავდა ინსტიტუტის ადგილობრივი კადრებით უზრუნველსაყოფად. ამიტომ იყო, რომ ყოფილ სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევდა, ცდილობდა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ კათედრაზე ეზიარნენ თავიანთ სამეცნიერო ხარისხებს: ა. სპარსიაშვილი, რ. ჭი-

კაძე, ლ. ტალახაძე, მ. მიქელაძე, ი. ქეშიკაშვილი, გ. ჯავა-
ხიშვილი, ლ. შალვაშვილი, ნ. კოტინოვა, დ. გოგოჭური, ნ.
გოგოჭური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი ალექსანდრე სპეციალობასთან ერთად ახალგაზრდობას უნერგავდა შრომისადმი, მამულისა და ერისადმი, პროფესიისადმი სიყვარულს. და მერე როგორ პატივს სცემდა სტუდენტს, როცა ირწმუნებდა მის პატიოსნებას, ინტერესს, მაძიებლობის ნიშანს.

ალ. გვენცაძე იყო ზომიერად მკაცრიც, მომთხოვნიც და დამთმობიც, შემრიგებლურიც და თავისნათქვამაც, მაგრამ ყველა შემთხვევაში – მიუკერძოებელი.

შეუპოვარი შრომა იცოდა დალოცვილმა! არასოდეს არ გაგიცრუებდა იმედს, თუკი შეეძლო, შეგპირდებოდა და პირს არასოდეს გასტეხდა.

იცოდა დარიგება და მერე როგორი დარიგება! შეუძლებელი იყო არ გერწმუნა, არ დაგეჯერებინა.

1974 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით გაიყო ორ კათედრად – ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებად, რომელთა გამგეებად შესაბამისად არჩეულ იქნენ ბატონი ი. ქეშიკაშვილი და ბატონი ა. სპარსიაშვილი. მოგვიანებით ენის კათედრის გამგედ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დოცენტი როინ ჭიკაძე აირჩია.

ერთხელ ბატონმა ალექსანდრემ ორივე თავისთან მიგვიხმო. ჩვენთან ერთად მაგიდასთან დაჯდა. ეს ითქვა, ის ითქვა!.. წამიერი სიჩუმე ბატონმა ალექსანდრემ დაარღვია:

– ახალგაზრდებო, დღეს რა მოაქვს და ღამეს რა მოაქვს კაცმა არ იცის. მე ჩემი ცხოვრება აგერ შემომაცვდა. რაც მე დამიწერია მატარებლის ერთი შემადგენლობა ვერ ზიდავს, მაგრამ რა დარჩა ამისაგან? არა, ისე არ გამიგოთ, რომ მე ვნანობდე. დარჩენით რაღაც დარჩა, მაგრამ ის მაინც არაა ის, რაც აჯობებდა დარჩენილიყო. აკეთეთ და წერეთ ის, რაც თქვენს მომავალს სჭირდება! თქვენი მომავალი კი ქვეყნისაა!..

ბატონი ალექსანდრე წლების განმავლობაში გახლდათ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, რაც

ბევრ შრომას მოითხოვს.

ბატონი ალექსანდრეს შესახებ საუბარი თითოეული ჩვენგანის შესახებ საუბარიცაა. ამიტომაც გასაგებია ემოცია, რაც ბატონი ალექსანდრეს შესახებ ჩვენს საუბარს ახლავს.

როგორც მკითხველმა ზემოთ ნახა, ალ. გვენცაძე უშურველად გასცემდა სიკეთეს, სითბოს, სიყვარულს. მან კარგად იცოდა პატიოსანი შრომის ფასი, რის დანგრევასაც ცდილობდა თავის სტუდენტებში, ქალაქისა და რაიონის მშრომელებში. ეს კარგად ჩანს მის შრომებში, წერილებში, საუბრებსა და დიალოგებში.

ბატონ ალექსანდრეს შესაშური მეხსიერება ჰქონდა. ყველა სტუდენტყოფილის გვარი და სახელი ზეპირად ახსოვდა; ახსოვდა მისი სადუარობა, მისი წარმატებები და, თქვენ წარმოიდგინეთ – სტუდენტური წარუმატებლობაც.

იოლად არ გენდობოდათ! მის ნდობას კომპენსაცია სჭირდებოდა. როგორ უსიტყვოდ წუხდა ამ ნდობის გამცრუებელზე...

რა დასანანია, რომ ზოგჯერ ვეღარ ვახერხებთ მის ღირსეულ გახსენებას. რა ძნელია, როცა გიჭირს მასწავლებლის სამარესთან მისვლა, ყვავილების მიტანა და წამიერი დუმილი. ალექსანდრე ბატონმა კი, დამერწმუნეთ, თავის სიცოცხლეში ნებისმიერი ხარისხის თელაველი მიაცილა სამარის კარამდე, გაიხსენა მისი საამქვეყნო ღვაწლი, ერთი მუჭა მიწა მიაყარა და ნათელში ყოფნა უსურვა.

ბატონი ალექსანდრე დაუცხრომელი შრომისმოყვარე გახლდათ. იცოდა წარსულის საუკეთესო ფაქტების გახსენება, ბევრს ჰყვებოდა 1941–45წწ. ომის მძიმე წლების შესახებ, რაზედაც ზემოთ ზოგი რამ თვითონ გვითხრა.

მან, მართალია, 1973 წელს კათედრა თავის უერთგულეს მოწაფეს ბატონ ივანე ქეშიკაშვილს გადააბარა, მაგრამ საქმიანი კონტაქტები კათედრასთან არასოდეს გაუწყვეტია. საშტატო დატვირთვის სიმძიმეზე არასოდეს უთქვამს უარი. ინსტიტუტის სისხლსავსე ცხოვრების ჭაპანს სიცოცხლის ბოლომდე გულდაჯერებით მიეზიდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლო დროს უფრო შესამჩნევი გახდა კათედრაზე მისი გვიან-გვიან მოსვლა.

მერე ცოტა ხანს იავადმყოფა...

და მოსალოდნელი განგაშის ზარი –

1993 წლის 21 მარტს გარდაიცვალა!..

არ ვიცით, არის თუ აქ ამის თქმის ადგილი, მაგრამ გვინდა გულწრფელი ვიყოთ: ბატონი ალექსანდრეს ღვაწლი დღენიადაგ გვაფიქრებს: ხომ არ არის დრო თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში, კახეთის ამ ერთ-ერთ სათუთ პანთეონში მისი ნეშტის გადმოსვენებისა! მოდით, ერთად ვიფიქროთ!

ალ.გვენცაძე ციურიხელ ქართველოლოგებთან – იულანტა მარშევი, ლეა ფლური, რუთ ნოიკომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გვენცაძეს იცნობდნენ არა მხოლოდ საქართველოში, ცალკეულ ადამიანებს გარეთაც...

დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქვეყნის სახელგანთქმულ ადამიანებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან, ჰედაგოგებთან. ამაზე მეტყველებს ის უამრავი წერილი, ბატონი ალექსანდრეს ჰირად არქივში რომ სათუთად არის შენახული.

შეუძლებელია ყველა წერილის აქ წარმოდგენა. ამას სხვა რიგის გამოცემა სჭირდება. ამჯერად ვცადეთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი მიგვეწოდებინა მკითხველისათვის.

ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს
თბილისი 2.III.1977
(თელავის ჰედაგ. ინსტიტუტი)
დიდად ჰატივცემულო ბატონო ალექსანდრე!
მივიღე თქვენი მოლოცვა ჩემი დაბადების 90 წლისთავის გამო.
მოლოცვა ალბომის 23 გვერდზეა მოთავსებული, სადაც თქვენ იგონებთ ჩვენს შეხვედრებს უნივერსიტეტში. ალბომმა მომაგონა ჩვენი ერთად მუშაობა უნივერსიტეტის ლექსიკოლოგიის კაბინეტში. წამოწყება კარგი იყო, მაგრამ იმდროინდელ ჰირობებში (მოგეხსენებათ, მე უნდობლად მიყურებდნენ ი. ჯავახიშვილის დაცვის გამო) მას სათანადო შედეგი არ მოჰყოლია. კაბინეტი დახურეს.
ეჰ, რა გაეწყობა! გული მაინც არ გაძიტეხია და ცოტა რამ მაინც გავაკეთე მეცნიერებაში და ჰედაგოგიური მოღვაწეობით.
დიდად გმადლობთ მოგონებისა და მოლოცვისათვის.
მარად თქვენი კეთილის მსურველი ა. შანიძე

დიდად ჰატივცემულო ბატონო ჰროფესორო
ჰირველად ეოვლისა გისურვებთ ეოველივე კარგს ამ დაწყებული ახალი წლისთვის, განსაკუთრებით ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.
მოგვიყვიდა თქვენი 25 აგვისტოს კეთილი ბრალთი, რაც შეეხება წიგნებს, იოლანდა მარშევმა დღესვე წერილი მისწერა ქალბატონ ლეილას (იგულისხმება ლეილა შალვაშვილი, რედ) ამის შესახებ. თქვენ მიერ გამოგ-

ზავნილი წიგნი: @ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა" მიგიღეთ. დიდად გმადლობთ ყურადღებისა და გარჯისათვის..

ხშირად ვიგონებთ სტუმრად გატარებულ სასიამოვნო და მშვენიერ დღეებს თელავსა და მის მიდამოებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალამი, აგრეთვე ი. მარშევისა და რეთ ნიიკომისაგან.

ღრმა პატივისცემით ლეა ფლური

ციურიხი, 7 იანვარი, 1977

გილოცავთ ახალ წელს! გისურვებთ სიცოცხლეს, ბედნიერებას, სიტკბოს, მამულის აყვავებას კახური ვაზის მსხმოიარობით.

გიორგი ლეონიძე

1.1.52

დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

გთხოვთ, ამ წერილის მომტანს მარინე პაპიძეს დაეხმაროთ, ვფიქრობ მომზადებულია და თქვენთან არ შეძარცხვენს.

მაპატიეთ შეწუხება.

პატივისცემით ლადო გუდიაშვილი.

გიგზავნით ჩემს მონოგრაფიას საჩუქრად.

26.IV.1969წ.

დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

ჩვენი დაპირების მიხედვით გიგზავნით კ. ჩხენკელის ორტომიან შრომას თქვენი ინსტიტუტისათვის. გთხოვთ დაგვიდასტუროთ ამ წიგნების მიღება.

ჩვენ კარგად დავბრუნდით შვეიცარიაში – საქართველოს კი ხშირად ვიგონებთ. დაუვიწყარი დარჩება ჩვენთვის ის დღეები, რომლებიც იმ მშვენიერ ქვეყანაში, მეტისმეტად სიმპათიურ ქართველების შორის გავატარეთ!

იმედი გვაქვს, რომ თქვენც კარგად ბრძანდებით. გისურვებთ ყოველივე კარგს. მიიღეთ გულითადი მოკითხვა, აგრეთვე იოლანდა მარშევისა და რეთ ნაიკომისაგან.

ღრმა პატივისცემით ლეა ფლური

1 დეკემბერი, 1968წ.

თბილისი 27.II.1981

დიდად გმადლობთ, ბატონო ალექსანდრე,
დაბადების დღის მოლოცვისათვის.
თქვენც იცოცხლეთ ჯანმრთელად და იდღეგრძელეთ.
ა. შანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემო ალექსანდრე!

ალბათ იცნობთ, კოლეგაა ჩვენი ლევან ჭრელაშვილი, რომელმაც დაამთავრა საასპირანტო მინიმუმი. როგორც იცით, დისერტაციის დაცვამდე მან უნდა დაბეჭდოს გარკვეული ნაწილი. იქნება მოეხმარო – თქვენმა ინსტიტუტმა თავის შრომებში დაუბეჭდოს ერთი ნაწილი მაინც. ხომ იცი, დაბეჭდვის საქმე გაძნელებულია. როგორც კაცურ კაცს, თელავის ინსტიტუტი უფრო უნდა დაეხმაროს.

შენებურად მიდექ-მოდექი და კარგი საქმე, არა მარტო ლ. ჭრელაშვილისათვის, არამედ ქართული საქმე საზოგადო (დ) გააკეთე. დაუტრიალდი.

შენი პატივისმცემელი მიხ. ზანდუკელი
12.V.57წ.

პატივცემულო ალექსანდრე!

აქ, თბილისში, ნაჩქარევად დავწერე ორი შრომის რეცენზია და დავტოვე გამოსაგზავნად. ალბათ, მიიღებთ, მაგრამ, ვშიშობ, რომ დაგვიანებული იქნება.

ავტო რომ არ გაგვფუჭებოდა, მაქვე დავწერდი და თქვენს ათას სხვა საზრუნავს ამ ნაშრომთა რეცენზიის დაწერა აღარ მიემატებოდა.

დიდად, დიდად გმადლობთ თქვენცა და თქვენს კოლეგებსაც ჩვენი პატივისცემისათვის.

სიტყვით არ შემიძლია გამოვხატო ჩემი აღტაცება კახეთით, მისი ისტორიული ადგილებით, თქვენი ინსტიტუტითა და თქვენით.

იყავით ბედნიერ, ბედნიერ კაოგად.
პატივისცემით ქეთო ძოწენიძე
თბილისი 10.V.54

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]!

[illegible]
[illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალო ალექსანდრე!

ამ ბარათში მოგესალმებიან
თაშაგ შათირიშვილი-
ხალვაგაზრდა პოეტია, სიტ-
ყვიერად ძალიან მოზეიმეცა
ლნუკვილ, საუკეთესო ანჯა
თერეფოვის პროგრამიან
ინსტიტუტში გადაგიძლია
ლნუკვილ ძალიან გთხოვ,
მიიღო. შესაძლებელია ყოვ-
ელთვის, მაგრამ ვის მოგვ-
(ალბათ ბოლოს!) იქნება,
ჩემო ალექსანდრე, ალბათ
სიტყვიერ გვერდს შვილ,
შეიტანეთ მისი. და მაინ
ერთხელ ვის ნუ ნუ
ნუ...

ძალიან გთხოვ... ეს ვაჟიშვილ
ობოლ ახალგაზრდა და
ღარიბია...

შენი ლილი

(ბ. ბეთაშვილი)

თბილისი
1959
5/I

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible], 14.XI.1985

[illegible]

[illegible]

(ასეთი [illegible] 2)

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

# ალექსანდრე გვენცაძის გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკანდიდატო დისერტაციის დაცვამდე:

1. „ტანაჯორი“ „ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ შ. რუსთაველის პოემაში, „ვეფხისტყაოსანი“, – 1947წ.
2. გრაფიკული გაფორმება სინტაქსური გარჩევის დროს (მეთოდური ნარკვევი), 1947წ.
3. რიცხვითი სახელი ძველ ქართულ ენაში – 1951წ.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ:

1. კახური დიალექტის გამოყენება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ენაში – 1953წ.
2. „და“ კავშირის ფუნქციები ქართულ ენაში – 1954წ.
3. რეცენზია ლ. კვაჭაძის სახელმძღვანელოზე (დაწყებითი სწავლების მეთოდიკაში) – 1955წ.
4. ილია ჭავჭავაძის როლი ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციაში, – 1957წ.
5. შრომის იარაღების ლექსიკა (კახური დიალექტის მასალებზე), 1957წ.
6. ანტონიმები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ენაში – 1957წ.
7. სიტყვები გადატანითი მნიშვნელობით ილია ჭავჭავაძის ენაში – 1958წ.
8. ანტონიმების შესწავლა საშუალო სკოლაში – 1958წ.
9. შედარება ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებების ენაში – 1959წ.
10. ვაჟა–ფშაველას სამი პოემა – 1959წ.
11. პოეტი ა. წერეთელი თელავში (ბიოგრაფიისა და შემოქმედების მასალები), 1960წ.
12. თვლის სისტემა ქართულ ენაში – 1960წ.
13. მასალები კახური დიალექტის ლექსიკონისათვის (ხალხური გართობა–თამაშობების ლექსიკა) – 1960წ.
14. რიცხვითი სახელის სწავლების მეთოდიკის საკითხები საშუალო სკოლებში, 1961წ.

15. კახური დიალექტის ლექსიკა რ. ერისთავის თხზულებათა ენაში – 1962წ.
16. სტუდენტთა საკურსო შრომების საკითხებისათვის, 1963წ.
17. ქართული ზმნის ძირისა და ფუძის საკითხების შესახებ, 1963წ.
18. რიცხვითი სახელის აგებულება ძველ ქართულ ენაში, 1964წ.
19. რიცხვითი სახელი იოანე პეტრიწის ფილოსოფიური თხზულებების ენაში – 1965წ.
20. ჰიპერბოლა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ენაში – 1968წ.
21. რიცხვითი სახელის გრამატიკა ძველ ქართულ ენაში – 1969წ.
22. სტილისტიკის საკითხები (დამხმარე სახელმძღვანელო ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) – 1971წ.
23. ქართული ენის რიცხვითი სახელი (დამხმარე სახელმძღვანელო) – 1972წ.
24. ადამიანის სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი სინონიმები ი. ჭავჭავაძის ენაში – 1974წ.
25. ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის) – 1974წ.
26. ი. ჭავჭავაძის პოემა – „განდეგილის“ ენის სტილისტური ანალიზი -- 1976წ.
32. გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისა დ ფრაზეოლოგიური ერთეულების ადგილი დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში – 1980წ.
34. „შუშანიკის წამების“ (VIს.) ენის სტილისტური ანალიზი – 1980წ.
35. ტოპონიმები როგორც ისტორიული წყაროები – 1980წ.
36. ენის ტიპი და მეტყველების სტილი – 1980წ.
38. საგნების – „მეტყველების კულტურა“ და „ლინგვისტური სტილისტიკა“ განსხვავებისათვის – 1981წ.
39. ენობრივი საშუალებები ცხოველებთან მიმართვი-

სას, 1981წ.

41. ხალხური ზეპირსიტყვიერების ენა, როგორც ლინგვისტური სტილისტიკის საგანი – 1982წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

P.S. მის არქივში ხელნაწერის სახით ინახება ბატონი ალექსანდრეს სამოცზე მეტი ნაშრომი მეცნიერებისა და მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე.

გვჯერა – მალე დადგება დრო ალ. გვენცაძის შრომათა ფოტოკრებულისა თუ კრებულების გამოცემისა!

საქართველოს სსრ. უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მეექვსე რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია.
1965 წ. 25-26 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ – ბატონ ალექსანდრეს რამდენი ადამიანიც იცნობდა, იმდენი მოგონების თქმა და დაწერაა შესაძლებელი.

ამჯერად მხოლოდ რამოდენიმე მათგანის მოგონებას გთავაზობთ.

## მოგონებებში ვხვდებით ერთმანეთს

მინდა დავიწყო ცნობილი გამონათქვამით:

„ადამიანი უკვდავი არაა, მაგრამ უკვდავია ყოველივე ადამიანური“.

ესაა სწორედ ის ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც მტკიცე კავშირით აერთიანებს საუკუნეებით დაცილებულ თაობებს.

ჩვენს გარემოს განუწყვეტლით აკლდებიან ადამიანები: მეგობრები, კოლეგები, ნათესავები... და სწორედ მაშინ, როდესაც ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან, ხელშესახებად ვგრძნობთ მათთან განუყრელ კავშირს. სწორედ აქ, ამ კავშირში, იყრის თავს ყველაფერი, რაც ადამიანურია და უკვდავი.

ამაოდ უთქვამთ, დრო და მანძილი განურჩევლად განაგებსო ადამიანურ განცდებს. ვერც დრო ერევა და ვერც მანძილი მას, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“.

სულს კი რამდენი რამ შემორჩა თქვენმიერი და თქვენგანი, ბატონო საშა! დღეს, როცა ასე შორსა ხართ და ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში აღარ მეორდებით, ვხედავთ სრულად, ადამიანური ღირსების რა განუზომელი მადლით გქონიათ სავსე უბე და კალთა, რა უსაზღვრო სიკეთე გითესავთ და რა ბარაქა დაგიხვავებიათ საქვეყნო გარჯის კალოზე.

ჩვენი ადამიანური და კოლეგიური ურთიერთობის სამი ათეული წლის მანძილზე თქვენ იყავით ჩვენი სულიერი მოძღვარი, თავდაუზოგავად რომ მიგვიძღოდით ცხოვრების

ოღროჩოღრო ბილიკებზე და გვაძლევდით მისაბაძ მაგალითს ხალხისა და ქვეყნის უანგარო სამსახურისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ისევ თქვენი გზით ვაგრძელებთ სვლას და, თქვენგან დამოძღვრილები, რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს ადამიანურ ღირებულებათა ისევ თქვენეული საზომებით ვზომავთ. ასე გრძელდება ჩვენი შეხვედრები, მაგრამ ახლა უკვე არა სტუდენტებით სავსე აუდიტორიებში, სამეცნიერო საბჭოსა თუ კონფერენციებზე, არამედ მოგონებებში, რომლის გმირიც თქვენ ბრძანდებით, მასწავლებლის თვალით დანახული მასწავლებელთა მასწავლებელი.ზ

ხშირად ვიგონებ ჩვენს პირველ შეხვედრას.

ძველ ინსტიტუტში, ერეკლესეული სასახლის მეორე სართულზე, კუთხის ფართო დარბაზში, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. წარმადგინეს თქვენთან, როგორც ახალი თანამშრომელი. საწერ მაგიდასთან იჯექით მარტო და თავდახრილი რაღაცას წერდით. ჩვენს შემოსვლაზე საქმეს თავი დაანებეთ და ფეხზე წამოდექით. შეხედვისთანავე მომხიბლა თქვენმა დახვეწილმა გარეგნობამ, საოცარ ნათელში რომ იყავით გახვეული მთლიანად.

ჩემს წინ იდგა საშუალოზე უფრო მაღალი ტანის, ელეგანტური, მთლად ჭაღარათმიანი, შუახანს გადაცილებული მამაკაცი. მუქი ლურჯი პიჯაკი გეცვათ, რომელიც ძალიან გიხდებოდათ (მერე მრავალი წელი, თითქმის ყოველდღე, ამ ერთადერთ პიჯაკში გხედავდით, ბატონო საშა, ამქვეყნიური კეთილდღეობისადმი ესოდენ სკეპტიკურად განწყობილს). სახეზე ოლიმპიური სიმშვიდე გეფინათ და თავადაც ოლიმპიელს ჰგავდით სახის სრულყოფილებამდე დახვეწილი ნაკვთებითა და ღიმილიანი გამომეტყველებით. თქვენს სახეში ზომიერი სიამაყეც გამოსჭვიოდა, ეს იყო ცხოვრების ყოველდღიურ პროზასთან, ყოველდღიურ წვრილმან ინტერესებთან შეჯახებული პოეტური სულის სიამაყე.

ასეთი იყო ერთი შეხედვით აღბეჭდილი თქვენი პორტრეტი, რომელიც შემდეგ თითქმის ყოველდღიური საქმიანი შეხვედრების დროს ნაბიჯ-ნაბიჯ მდიდრდებოდა და სრულდებოდა. მე ახლა ხსოვნის ხედვით სიყვარულით

შევყურებ ამ პორტრეტს და დაუძლეველი სურვილი მაქვს თითოეული მონახაზი განვუმარტო მათ, ვინც თქვენ საერთოდ არ გიცნობდათ დროსა და სივრცეში აცდენილი, ანა-ვიდეა ვერ შეძლო დამოუკიდებლად თქვენი პიროვნული ხიბლის სილრმეებში შელწევა, ვერ შეძლო თქვენი მიჩუმათებული ღიმილიანი სიამაყის უკან დამალული ადამიანური ტკივილებისა და თანალმობის დანახვა.

მე ყოველთვის მაკვირვებდა თქვენი საოცარი შინაგანი ძალა და ნებისყოფა ყოველდღიური ყოფის ტრაფარეტებთან თავისებურ მიმართებაში. რა შორს იდექით საზოგადოებაში ფართოდ ფესვგადგმული დათაფლული და ტლანქი პირმოთნეობისაგან, დამლუპველი ნივთომანიისა და სნობიზმისაგან. როგორც პიროვნება, თქვენი გარემოს ზნეობრივ გმირად დარჩით მთელი თქვენი მრწამსით, საქმიანობითა და პიროვნული ხიბლით. სინამდვილისადმი თქვენი განსხვავებული დამოკიდებულებით სილამაზის შარავანდედში ახვევდით მწარე ჭეშმარიტებას და ცდილობდით, თქვენს გარშემო მყოფნი ზნეობრივი ცხოვრების იმ სიმაღლეებამდე აგეყვანათ, სადაც უბრალოება და თავმდაბლობა, თანაგრძნობა და თანალმობა მოთხოვნილებად იქცევა.

ნაცნობობის პირველსავე დღეს თქვენს ლექციას დამასწარით იმ კურსზე, სადაც მე, ახალბედას, უნდა გამეგრძელებინა მუშაობა. გამაკვირვა რიცხვმრავალი აუდიტორიის იმ სიყვარულიანმა, ღიმილიანმა შეხვედრამ, რაც თქვენ მოგიწყეს სტუდენტებმა. მერე თქვენი ლექციის მსმენელი, მოვიხიბლე, როგორც ახსნილი მასალის მეცნიერული სირლმით, ისე თქვენი უხვი, დარბაისლური ქართულით. განსაკუთრებით კი გამაოცა რთული თეორიული მასალის გადმოცემის თქვენეულმა საოცრად მარტივმა და ნათელმა ლოგიკამ. ზარის დარეკვის შემდეგ სტუდენტები ურიამულით შემოგეხვივნენ და ათასი არასალექციო კითხვა დაგაყარეს, რომელთაგან ბევრი თქვენთან თბილი, მამაშვილური გასაუბრების სურვილზე იყო მხოლოდ აკინძული.

მას შემდეგ კიდევ მრავალგზის გნახეთ ინსტიტუტის

გრძელ დერეფნებსა თუ ქალაქის ქუჩებში სტუდენტებთან თბილად მოსაუბრე. თქვენ ხომ თქვენი უჩვეულო მეხსიერების წყალობით აუდიტორიის თითოეული წევრის სახელი და გვარი იცოდით ზეპირად. ის კი არა, მათი სახელგვარებიც უშეცდომოდ გახსოვდათ, ვინც ათი, ოცი წლის წინ დაამთავრა ინსტიტუტი; გახსოვდათ თითოეულის სოციალური და ოჯახური პრობლემები და დიდი გულისყურითაც იდექით საქმის კურსში. მათაც, სტუდენტებს, ახლანდელსა თუ უკვე ყოფილს, გულწრფელი თანადგომა ხიბლავდათ და იზიდავდათ თქვენკენ. ზოგჯერ ისინი საგანგებოდ მოდიოდნენ სოფლებიდან თუ ქალაქებიდან თქვენთან, როგორც ამაგდარ მშობელთან, მტკივნეულ საკითხებზე განდობისათვის.

ამიტომაც იყო, რომ არ არსებობდა კახეთის კუთხე თუ კუნჭული, სადაც თქვენ თქვენი აღზრდილების სიხარულისა თუ მწუხარების გასაზიარებლად არ ყოფილიყავით ნამყოფი საზოგადოებრივი ტრანსპორტით თუ ფეხით. მანქანა არასოდეს გქონიათ პერსონალური და და არც სახელმწიფო დანიშნულებისა მოგმსახურებიათ. არც როდის გამოგითქვამთ ამის სურვილი დამღლელი მგზავრობიდან დაბრუნებულს, თქვენ ყოველთვის უზომოდ კმაყოფილი იყავით ხოლმე იმით, რომ იმჯერად თუნდაც ერთ ადამიანს რწმენა და თანადგომის სიხარული მიუტანეთ. ამიტომაც არ გღლიდათ ეს სიარული და არც ხელახალი მგზავრობის მიზეზები თავდებოდა.

თქვენ პრინციპულად გძულდათ ყოველგვარი მომხვეჭელობა და პირად ყოფაში მცირედითაც კმაყოფილდებოდით, როგორც იმ ადამიანებს სჩვევიათ, თავიანთი უფლებებითა და ღირსებით ბევრად რომ აღემატებიან ყველაფერს, რისი მიღებაც ცხოვრებისაგან შეიძლება. გააზრებული გქონდათ საკუთარი ღირსების განცდა, მაგრამ ბუნებით უკიდურესად დემოკრატს, არასოდეს გიცდიათ საკუთარი უპირატესობით სხვისი დათრგუნვა. სინამდვილეში პირიქით ხდებოდა. თქვენს გარშემო ყველა ლაღად და ამაღლებულად გრძნობდა თავს, იმდენად ბუნებრივი იყო თქვენი უბრალოება და თავმდაბლობა.

ბევრჯერ დავრჩი გაკვირვებული, როგორი განურჩეველი იყავით ამქვეყნიური ტიტულებისადმი, თანაზომიერი დონიდან ელაპარაკებოდით ქარხნის მუშასა თუ ბადალი რანგის ჩინოსანს, უპოვარსა თუ ამაო დიდებით ყელთამდე სავსეს. ადამიანობა – აი, რა იყო თქვენთვის ყველაზე მაღალი ღირსება და პირად ურთიერთობებშიც სწორედ ეს იყო გამოკვეთილი. ვინ იცის, თქვენი ასეთი საქციელით რამდენი გინუგეშებიათ და გაგიმხნევებიათ ფარულად, რამდენისთვის განგიმტკიცებიათ სიკეთისა და ჭეშმარიტების რწმენა, მიგინიჭებიათ სიხარული ადამიანად ყოფნისა.

მახსოვს, ერთ დღეს კათედრაზე გამოაცხადეთ, საღამოთი ინგილო სტუდენტებს ვეპატიჟებით სახლში და გთხოვთ, მეშვიოთო. ინგილო სტუდენტებზე, რომ იტყვიან, მართლაც, გადადებული იყავით. მაშინ ისინი ბევრნი სწავლობდნენ ჩვენთან. თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ ისინი თქვენთან, კათედრაზე, სტუდენტური პრობლემებისაგან თავდასაცავად, გიყვებოდნენ თავიანთი ცხოვრების შესახებ, უფრო ხშირად კი იმ მძიმე სულიერ ყოფაზე შემოგჩიოდნენ, რასაც განსხვისებულ მიწაწყალზე შემორჩენილები განიცდიდნენ. უსმენდით ცრემლებამდე მისულ ახალგაზრდებს და თვითონაც ცრემლები გერეოდათ თვალებში და გადაწყვიტეთ, კიდვ უფრო მეტი სითბო და სიყვარული მიგეგებებინათ ინგილო ახალგაზრდების ცრემლდანათოვარი პატრიოტული გრძნობებისათვის – სტუმრად დაჰპატიჟეთ ისინი სახლში.

მე, ახალბედა ლექტორი, მთელი დღე ვღელავდი. ჩავიცვი ყველაზე საუკეთესო, თუკი რამ მქონდა, და კრძალვით მოვადექი თქვენს სახლს. კარი თქვენმა მეუღლემ, უჩვეულოდ ყურადღებიანმა ქალბატონმა თინამ გამიღო. დამამშვიდა თქვენს ბინაში დაცულმა ზომიერებამ და სისადავემ საცხოვრებელი ავეჯისა და ნივთებისა. ირგვლივ ჩანდა მხოლოდ ის, რაც აუცილებელი იყო და ღირებულების თვალსაზრისითაც ადვილად ხელმისაწვდომი. მალე მოვშინაურდი, ეს იყო მხოლოდ ოჯახის წევრთა სადა ჩაცმულობის ფონზე ჩემი საგანგებო მოკაზმულობა ზედმეტი და უადგილო მეჩვენა.

მალე ოცამდე ინგილო სტუდენტი მოგროვდა, კათედრის წევრებიც მოვიდნენ და იყო ერთი გულითადი მოკითხვა და მხიარული შეძახილები. ასე დაიწყო ეს თავისებური „საიდუმლო სერობა“. კულინარიული ოსტატობით ქალაქში განთქმულ ქალბატონ თინას ცოდნა და ენერგია სრულად გამოეყენებინა, ისეთი საგანგებო სუფრა გაიშალა, სუფრას კი თავად თქვენ – თელავის სახელგანთქმული თამადა – ხელმძღვანელობდით.

მარტივ და სიყვარულიან ურთიერთობაში გაილია საღამო. თქვენ ზომიერების თანდაყოლილი განცდით გამოირჩეოდით ყველგან და ყველაფერში, გძულდათ ჭარბი და მყვირალა პათეტიკა. არც ახლა გადატვირთეთ, როგორც თამადამ, ზედმეტი მრავალსიტყვაობით ჩვენი შეხვედრა, არ ისურვეთ ზედაპირული და თვალშისაცემი ყოფილიყო სტუმრიანობის ნამდვილი მიზანი – დაჩაგრულ თანამემამულეთა მისათუთება და ნაკლული გულების რწმენით ავსება. მხოლოდ მაშინ, როცა ინგილო ხალხის სადღეგრძელო შესვით, ჩვეულ ზომიერებას ულალატეთ, გრძნობა მოგერიათ და ვრცლად შეეხეთ ამ კუთხის გმირულ ისტორიას, ყოფილი ჰერეთის უდიდეს მნიშვნელობას ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში; აქეთ და ადიდეთ მისი სახლისკაცებივით ახლოს მომდგარი მთების სიდიადე, ტყეებითა და ბარაქიანი ბაღ-ვენახებით უხვი მიწა-წყალი, დასასრულ შეეხეთ უშელავათო მაჰმადიანურ გარემოში მოქცეულ ინგილოთა განსაცდელიან ყოფნას და „თქვენ უფრო ხართ ქართველებიო“, – დასძინეთ.

ჩვენ, იქ მყოფნი, საოცრად რომ ვქართველობდით და სხვა დროს პირველობას ამ საკითხში არავის დავუთმობდით, პირველად დავფიქრდით ამაზე, დავფიქრდით და ერთიანად დაგეთანხმეთ. მართლაც, მაშინ უფრო ხარ ერისკაცი, როცა იქ იცავ შენი ერის ღირსებას, სადაც ეს სულიერი და ხშირად ფიზიკური გმირობის ფასად გიჯდება. ამის მაგალითები კი ბევრი გვიამბეს იმ ღამეს გულაჩუყებულმა „უფრო ქართველებმა“.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მე კი დღესაც ყოველი ინგილოს შეხვედრისას ფიცის სიტყვებივით

ვიმეორებ თქვენეულ შეგონებას: „თქვენ უფრო ხართ ქართველები–მეთქი“ და ვცდილობ, თაყვანისცემა საქმით გამოვხატო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული ძეგლებისადმი ამაღლებული, თაყვანისცემამდე მისული დამოკიდებულებით ჩვენს მადლიან მიწა–წყალზე ვერავის გააკვირვებ, თქვენ კი მართლა მაკვირვებდით, ბატონო საშა! საოცარი ძალით გქონდათ ძვალსა და რბილში გამჯდარი ძველი ჩამორღვეული ციხეებისა თუ ეკლესია–ტაძრების სიყვარული. მეჩვენებოდა, რომ სახადივით შეგყროდათ თითოეული მათგანის კიდევ და კიდევ ნახვისა და მისათუთების დაუძლეველი სურვილი.

მრავალგზის გქონდათ დათვალიერებული და შემოვლილი კახეთის თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი, მაინც თავიდან აგიტანდათ ხოლმე მღელვარება, როცა რომელიმე ძეგლზე ექსკურსიისათვის დაგვითანხმებდით და მზადებას შევუდგებოდით. ყოველთვის მშვიდი და ზომიერი, ახლა ბავშვური უშუალობით გამოხატავდით სიხარულს და აღტაცებას აღარ მალავდით. თვალწინ მიდგეხართ ყოველი ასეთი გასვლის წინ საოცრად შეცვლილი და აღელვებული, გახარებული ციცინათელებით თვალებში. ზეპირად იცოდით თითოეული ძეგლის ისტორია, ყვებოდით გატაცებით, შეუჩერებლივ. განწყობა მალე ჩვენც გადმოგვედებოდა ხოლმე და ის დღე პატრიოტულ გრძნობათა ზეობის დღედ იქცეოდა.

ასე შემოვიარეთ მრავალგზის კვეტერა, ბახტრიონი, ცხრაკარი, შუამთა, ჯვარპატიოსანი, კონდიამინი, ნეკრესი, ხორნაბუჯი, საინგილოს ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია და მრავალი სხვა. დღემდე მგონია, რომ ამ ძეგლების საიდუმლო ენა იცოდით თქვენ, ამ ენაზე კითხულობდით დრო და ჟამის მიერ მათს კედლებზე დატოვებულ უცხო ნაკვალევს და ამ ენაზე ესაუბრებოდით გუნებაში თითოეულს. რაღაცნაირი სიმშვიდედაკარგული და გრძნობამორეული ხდებოდით ამ დროს. ცხოვრებაში თქვენს ანალოგს რომ ვერ ვპოულობდი, ლიტერატურულ გმირებთან გათანაბრებდით: თქვენ იყავით ბერი ლუხმი, ჩორეხი, მინდია... დიახ, მინდია, მაგრამ არა ყვავილებთან, არამედ ძეგლებთან

მოლაპარაკე მინდია.

ასეთი მიკერძოებით ხანდახან კურიოზებსაც გადაეყრებოდით ხოლმე. მახსოვს, თქვენი დაუინებელი აგიტაციის შემდეგ ინსტიტუტის თანამშრომლებმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მონახულება გადავწყვიტეთ. მოთავე და ხელმძღვანელი თქვენ ბრძანდებოდით, როგორც უკვე რამდენიმეგზის ნამყოფი და საქმის მცოდნე. დიდი, ორმოცკაციანი ავტობუსი ზარითა და ზეიმით დაიძრა გარეჯისკენ. როგორც ყოველთვის იყო ამაღლებული განწყობა, ოხუნჯობა, სიცილი. გავიარეთ ბარჯისხევი, შემდეგ ჩალაუბანი, ბადიაური და გადავუხვიეთ უგზო სანახებში. მაშინ სოფელი „უდაბნო“ ჯერ არ იყო დაარსებული, არ იყო გაკვალული გზა და არც სანიშნეები იდგა. მახსოვს, ჯერ ზევით ავუყევით ვეება მინდორს, მერე – ქვევით, მერე ისევ თავიდან დავიწყეთ ძებნა, საგარეჯო გზას კი ვერა და ვერ დავადექით. ასე დაღამდა ის დღე, უკმაყოფილოები, მშივრები და დაღლილები დავბრუნდით შინ. ჩვენ, ვისაც მაშინ ახალგაზრდები გვერქვა, ხმას როგორ ამოვიღებდით, თქვენმა თანატოლებმა კი – ილო ყაჭიურმა, მიშა სესიაშვილმა, აკაკი მეტრეველმა – უხვად დაგაყარეს სიცილი და სიტყვითაც ბევრი გაქილიკეს. თქვენ, მურაბის ქურდობაზე წასწრებული ბავშვივით შემცბარი და დამორცხვებული, თითო-ოროლა საპასუხო სიტყვით ირიდებდით მათს შემოტევას.

ეს შემთხვევა მალე ყველას გადაგვავიწყდა და ისევ თქვენი ხელმძღვანელობით მოვინახულეთ დავით გარეჯი, უფლისციხე, ვარძია...

თქვენი დაბადების 75 წლისთავი ახლოვდებოდა, 1984 წლის ნოემბერი. გადავწყვიტეთ, მოგვეწყო ფართო იუბილე, მოგვეწვია სტუმრები რესპუბლიკის სხვა ინსტიტუტებიდანაც და თქვენი განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება სათანადოდ აღგვენიშნა. დავიჭირეთ თადარიგი საჩუქრისათვის, ექვსასი მანეთი შეიკრიბა. ჩვეული თავმდაბლობით თქვენ უარი თქვით იუბილეზე, საჩუქრისთვის მორთმეული ფული კი...

ერთი კვირის თავზე რეგიონული გაზეთი „ალაზნის

განთიადი“ მსხვილი შრიფტით საზეიმოდ იუწყებოდა, რომ თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ძეგლთა დაცვის ფონდში გადარიცხა 600 მანეთი. ამ მამაშვილური საქმის ბამდენს სახელიც კი არ გაგეცხადებინათ თქვენი. არავის გაგვკვირვებია, თქვენგან სწორედ ეს იყო მოსალოდნელი.

მეხსიერება და დავიწყება – ორი ურთიერთსაპირისპირო ფენომენი ადამიანური გონისა – ერთი და იმავე გზით მიემართებიან, მაგრამ არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს: სადაც ერთია, იქ არაა მეორე და პირიქით. თუ რამ კარგი და ლამაზი გადაგვხდენია, ვუფრთხილდებით და მეხსიერებაში ვცდილობთ ვაცოცხლოთ, ცუდს კი მოკლე დღე აქვს, დავიწყებას ვაძლევთ და თავიდან ვიშორებთ. ასე ვანაწილებთ ყოველდღიურად თვით პატარა წვრილმანებსაც კი მეხსიერებასა და დავიწყებას შორის.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ღარიბები ვიქნებოდით ადამიანური განცდებით, ჩვენს საუკეთესო მოგონებებს მეხსიერება რომ არ ინახავდეს, ანდა როგორ დაგვლიდა წუთისოფელი, მტანჯველი მოგონებები დავიწყებას რომ არ ეძლეოდეს. ზოგჯერ მეხსიერება დავიწყების ფუნქციებში იჭრება და დაუკითხავად ართმევს წილს კუთვნილიდან. მაში ვამბობთ, მავანსა და მავანს ბოროტი მეხსიერება აქვსო. მე არ ვიცი, როგორია ამ მხრივ ჩემი მეხსიერება, ის კი, რაც ეხლა მკითხველს მინდა შემოვთავაზო, ბევრჯერ ვცადე დამევიწყებინა, მაგრამ ამაოდ: თან დამდევს და მოსვენებას მიკარგავს სწორედ მეხსიერების ძალით შემონახული.

1993 წლის გაზაფხული ახალი დამდგარი იყო. ზამთრის ჩამორჩენილი სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ეს თქვენი უკანასკნელი გაზაფხული იყო, ბატონო საშა, და დღეებიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი... დამდგარიყო ჟამი ცად ამაღლებისა... უნდა მენახეთ, დიახ, უკანასკნელად უნდა მენახეთ... უკანასკნელად გნახულობდით ყველა... მე თავგზას მიბნევდა და ყოველთვის მაფორიაქებდა რიგითი განშორების დროსაც კი სათქმელი სიტყვა – „მშვიდობით!“ ახლა კი სამუდამოდ უნდა გამოგთხოვებოდით ესოდენ მახლობელსა და ძვირფას ადამიანს. მართალია, ჩვენგან არც ერთი არ

ვიტყოდით ხმამაღლა, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო, მაგრამ ვიცოდი, ჩუმად ორივეს სწორედ ეს აზრი გაგვისერავდა გულს ბასრი მახვილივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, მზე რომ ცოტა გადაიხარა, დავადექი გოლგოთის გზას. ქუჩის სიცივით შეფაკლული თქვენს სახლს მოვადექი, მძიმედ ამოვიარე კიბე და კარებზე დავაკაკუნე. კარი თქვენმა ქალიშვილმა, მანანამ, გამიღო. გამაოცა მისმა ჩაცმულობამ, იმდენი რამე ეცვა ერთმანეთზე, ზემოდან კი პალტო მოეხურა. – სადმე ხომ არ მიდიხარ–მეთქი, – და – არაო, – მითხრა, შეშა არა გვაქვს, ძალიან ცივა ჩვენსა და ეს საგარეო ჩაცმულობაც მისიაო. მერე შვილიშვილები მოვიკითხე თქვენი, შელერებული გოგო–ბიჭები. – სცივათ და ლოგინებში წვანანო. მდგომარეობით შემცბარმა მოვინახულე მწოლიარე ახალგაზრდები და ბოლოს პატარა, განმარტოებულ ოთახში თქვენამდე მოვედი.

თვალი მომჭრა ქათქათა ბალიშზე მისვენებულმა თქვენმა სახემ, კვლავ თქვენეული ღვთაებრივი ნათელი რომ ედგა ზედ. კიდევ უფრო ამაღლებული და არაამქვეყნიური იერი დაგდებოდათ. მშვიდი და მდგომარეობას შეგუებული მზერა შემაგებეთ. ბედისწერას განაჩენი უკვე გამოეტანა და თქვენ დარჩენილი გზის გასავლელად ემზადებოდით. – როგორა ხართ–მეთქი, – როგორლაც ჩავათავე სავალდებულო ფრაზა, ოთახში გამეფებული სიცივისაგან ნაადრევად გაციებულ მაღალ შუბლზე გემთხვიეთ და გათოშილ ხელებზე კრძალვით მოგეფერეთ. – ესე ვარო, – ოდნავ სამდურავიანი კილოთი მითხარით პასუხად. დღემდე ვერ გამისიგრძეგანებია, რა გქონდათ მხედველობაში შეფარული სამდურავისათვის: ის, რომ ხანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ სრული შემოქმედებითი ენერგიით სავსე ტოვებდით თქვენს საყვარელ საქმეს, თუ ის, რომ ოთახში გამეფებული სიცივით ძალაწართმეული არათანაბარ პირობებში ებრძოდით ყველაზე საშინელ მტარვალს – არყოფნას.

მერე ძალა მოიკრიფეთ, რათა ერთხელ კიდევ და უკანასკნელად გეთამაშათ ჩემთან მხნე და იმედიანი მასწავლებლის ამჯერად ასეთი ძნელი როლი. არაფერი

გითქვამთ აუტანელ ტკივილებზე, ასე რომ გაწუხებდათ ბოლო ხანებში, არც მეცნიერული კვლევის იმ დიდ გეგმებზე გითქვამთ რამე, რაც ნახევარ გზაზე გრჩებოდათ – და სინამდვილეში ძალიან გწყდებოდათ გული. წესისამებრ მოიკითხეთ ჩემი ოჯახის წევრები, ინსტიტუტის ამბებიც იკითხეთ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ვგრძნობდი, რომ სიმშვიდის შენარჩუნებას მოძალებული ტკივილებისაგან მეტ ხანს ველარ მოახერხებდით, დაბნეული გამოგეთხოვეთ, ვითომ დროებით, – კიდევ მოვალ-მეთქი, – დავაგდე სიტყვა და მღელვარებისა და სიცივისაგან დათრგუნული წამოვედი.

ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. პირველგანცდის სიცხადითა და სიმძიმით განუწყვეტლივ რომ მეორდება ჩემს წარმოსახვაში. კარგად მახსოვს, რა მძიმე და გაუსაძლისი იყო ის წლები ჩვენს ქვეყანაში, როგორ უკიდურესობამდე უჭირდა ყველას და განსაკუთრებით ინტელიგენციას. მაინც მიკვირს ჩემდათავად და ვერ ამომიხსნია, ასეთი ამაგდარი და ასეთი ღირსეული, ამდენმა თაყვანისმცემელმა როგორ შეგატოვეთ მძიმე სანსა და სიცივეს ერთად; ანდა მე მარტომ როგორ არ ჩამოვითხოვე თელაველთა ოჯახებში თითო ღერი შეშა, როგორ ვერ ჩამოვიტანე თქვენამდე კონადშეკრული და როგორ ვერ გაგათბეთ მარადისობის გზაზე დამდგარი.

საკუთარ თავთან სირცხვილეული, მას შემდეგ წარმოსახვაში ნიადაგ ვაგროვებ სანუკვარ შეშას, მერე ზურგით მომაქვს თქვენთან, სასოებით ვიხსნი ტვირთს და ვანთებ ცეცხლს. იმედის სხივით ნათდება და ბრწყინდება ირგვლივ ყველაფერი, შეშა მხიარულად ტკაცუნებს ღუმელში. თქვენ თბებით და სახეზე ვარდისფერი გეფინებათ, უკან იხევენ ტკივილები, უკან იხევს თავად უგულო ავადმყოფობა. მაგრამ ვაი, რომ ეს მხოლოდ ოცნებაა და სინამდვილე უმალ ანგრევს ქვიშაზე ნაგებ კოშკებს. ქრება ცეცხლი, იფანტება მირაჟი და ვრჩები მე. ვინ იცის მერამდენედ, თქვენამდე მოუტანელი შეშით სინდისდამძიმებული.

საშველი კი არა ჩანს. ისლა დამრჩენია, გავაჩერო ქუჩაში გამვლელიც და გამომვლელიც, შემოვიკრიბო ირგვლივ

მთელი ქალაქი, სიყვარულითა და თანაგრძნობით მოვხვიო ხელი თითოეულს და მივაწვდინო საკუთარი გამოცდილების ხმა: ვუამბო, როგორ ვატარებ მთელი ცხოვრება ზურგით შეშას, რომელიც თავის დროზე ვერ მივუტანე ძვირფას მეგობარს.

ბოლოსათქმელს კი ზარების რეკვას მოვაყოლებდი, სინდის–ნამუსის უმწიკვლო დროშების ფრიალს:

– ადამიანებო, იყავით გონიერნი, ნუ დაიმძიმებთ სინდისს! დროულად მოიხსენით ზურგიდან ტვირთი: მიიტანეთ შეშა მანამ, სანამ იგი ვინმეს კიდევ გაათბობს...

მაყვალა მიქელაძე, დოცენტი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ენის კათედრა

# მოქალაქეობრივი შემართების მაგალითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. გვენცაძე იყო განსაკუთრებული კოლორიტული პიროვნება – ლამაზი გარეგნობა, სიარულის თავისებური მანერა, პირდაპირი, დაკვირვებით გასაცნობიერებული გამოხედვა, დინჯი, სააზროვნო მსჯელობა, იუმორის სიუხვე, რაც მიმზიდველსა და ახლობელს ხდიდა ბატონ ალექსანდრეს.

ალ. გვენცაძეს, როგორც ამბობენ, დიდი სკოლა ჰქონდა გამოვლილი. მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში სწავლობდა უნივერსიტეტში. როგორც სტუდენტს და როგორც შემდგომ თანამშრომელს, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა გამოჩენილ ქართველოლოგებთან: ა. შანიძესთან, გ. ახვლედიანთან, შ. ნუცუბიძესთან, ა. ჩიქობავასთან, ვ. თოფურიასთან, მათი ხელმძღვანელობით დავაუკაცდა და ენათმეცნიერული კვლევა გაიხადა პროფესიულ საქმიანობად.

საოცარი მახსოვრობა ჰქონდა ბატონ ალექსანდრეს. არავინ და არაფერი ავიწყდებოდა. ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ ნახულზე და განცდილზე ისევე დაწვრილებითა და აღტაცებით ლაპარაკობდა, როგორც გუშინდელზე.

სტუდენტების მიმართ იყო მომთხოვნი, მაგრამ გულთბილი დამრიგებელი, მზრუნველი. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებზე შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა, ხელი შეუწყო მათ პროფესიულ დახელოვნებას. ამის შედეგია ის, რომ დღეს ქართული ენის კათედრა მოწინავეა ჩვენს უნივერსიტეტში, ჰყავს პროფესორები და დოცენტები, ატარებს მრავალ ღონისძიებას, აქტიურ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და სესიებში.

ქართული ენის კაბინეტი ალ. გვენცაძის სახელობისაა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მისდამი უნივერსიტეტის ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს.

ზემოთ ვთქვი, რომ ალ. გვენცაძის ხელშეწყობითა და მზრუნველობით გავერთიანდით. 1953 წელს ჩავირიცხე

ინსტიტუტში. ვიყავი ფრიადოსანი, დავამთავრე პირველი ხარისხის დიპლომით მაშინვე დადგა საკითხი ჩემი ინსტიტუტში დატოვების შესახებ. მაგრამ ხელმძღვანელობამ ლაბორანტის შტატი ვერ გამონახა და განათლების სამინისტროს სკოლაში გამაგზავნა მასწავლებლად. არც ამ პერიოდში გამიწყვეტია კავშირი ჩემს მასწავლებლებთან. მაძლევდა სათანადო მითითებას და რჩევა–დარიგებას. მომიწია სკოლაში მუშაობის პერიოდშივე არჩეული საკანდიდატო შრომა. როდესაც ინსტიტუტში სამუშაოდ გადმოვედი, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ვყავდი 1974 წელს ასაკის გამო თავი დაანება ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეობას და მე წარმადგინა რექტორატისა და საბჭოს წინაშე ამ ვაკანტურ ადგილზე საყრელად. ალ. გვენცაძის სიცოცხლის ბოლომდე კათედრაზე არც ერთი ღონისძიება არ ჩაგვიტარებია, მისი უშუალო ხელმძღვანელობისა და კონსულტაციის გარეშე. სადაც კი წავიდოდი საშეფო ურთიერთობისათვის – ჭერემში, საინგილოში თუ ორჯონიკიძეში ბატონი ალექსანდრე ჩვენთან იყო. ჯერ კიდევ ადრე დიდი მუშაობა ჩატარდა კახური დიალექტის დარგობრივი ლექსიკის შესწავლისა და კახეთის ტოპონიმების გამოვლენისა და აღნუსხვისათვის. უმისოდ აქ არაფერი კეთდებოდა.

ალ. გვენცაძის ხსოვნა არასოდეს ამოიშლება მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილების გულებიდან. საშა, როგორც მას სიყვარულით ვეძახდით, დარჩება მოქალაქეობრივი შემართებისა და ზნეობრივი სიწმინდის მაგალითად.

ივანე ქეშიკაშვილი, პროფესორი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ენის კათედრის გამგე

# ორო ექსკურსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. ექსკურსია სამცხე-ჯავახეთში

ბატონი ალექსანდრე გვენცაძე ყოველთვის მოთავე იყო საქართველოს ამერ-იმერში ექსკურსიების მოწყობისა. აი, ახლა მახსენდება ერთ-ერთი ბოლო ექსკურსია სამცხე-ჯავახეთში.

მაშინ გზად მომავლებმა ქართლის ძეგლებიც მოვინახულეთ. უფლისციხეში ერთ ტონის ქვევრში მნახველების მიერ ჩაყრილი უამრავი მონეტები შეენიშნათ. მე მეგონა ტრადიციას გავაგრძელებდი, ამოვიღე სამმანეთიანი და ქვევრში ჩავუძახე... „მიეცეს და მიემატოს“ – მეთქი და დავყევი გზას. ბატონმა ალექსანდრემ ხელმკლავი გამომდო და გამინაპირა:

– ჩემო გიორგი, – მითხრა მან, – ეს რომ 30-იან წლებში ვინმე ჩაედინა, ციმბირიც აქეთ დარჩებოდაო... თუ მაინცდამაინც გინდოდა გაგელო ეგ ფული, შესაწირავის სახით მოგეტანა რომელიმე ეკლესიაში, ხატის წინ დაგედო, ეს უფრო მისავალი არ იქნებოდაო?!.

როცა ვარძიას ვათვალიერებდით, ბატონმა ალექსანდრემ თამარ მეფის უკლებელ-უვსებელი წყაროდან მათარით (მას ჯარისკაცის მათარა ექსკურსიებისა და ნადირობის დროს სულ თან დაჰქონდა) წყალი ამოიღო. მან ეს ემბაზი წიწამურამდე ატარა და იქ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილზე აღმართულ სვეტთან დაღვარა. ეს ცერემონია ისეთი კრძალვით აღასრულა, რომ გეგონებოდათ ილიას ჩამტვრეულ შუბლსა და ნატყვიარ გულს სალბუნს ადებსო...

# 2. ექსკურსია საინგილოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საინგილოში ექსკურსიებს თითქმის ყოველწლიურად ვაწყობდით. ერთხანს ტრადიციად ვაქციეთ ჩვენი ინსტიტუტის ფილოლოგიის სპეციალობის პირველ კურსელების კახის ქართულ საშუალო სკოლაში ფიცის მიღებაც. მაშინ ამ დაუვიწყარი დღეების მთავარი შემოქმედი უმთავრესად ბატონი ალექსანდრე გვენცაძე იყო.

ჩვენი ერთ-ერთი ექსკურსია საინგილოში დაემთხვა ქურმუხის წმინდა გიორგობას. მიუხედავად იმისა, რომ მდინარე ქურმუხი ადიდებული იყო, მაინც გადავლახეთ და ვილოცეთ ქურმუხის ეკლესიაში.

ქურმუხიდან მოვტრიალდით, კახის საშუალო სკოლაში მასპინძლებმა დიდებული შეხვედრა მოგვიწყვეს. მახსოვს რა კრძალვით დაგვათვალიერებინეს კახის წმინდა გიორგის ეკლესიის ნეკროპოლი. აქ ვნახეთ მრავალთაშორის, ინგილოთა დიდ დედად ცნობილი სოფიო კონჭოშვილ-ყულოშვილის საფლავი. თავდახურული ლამაზი მანდილოსნის სურათს ბატონი ალექსანდრე გვენცაძე პირველი ეამბორა და ჩვენც ვემთხვიეთ.

ექსკურსიიდან დაბრუნების უმალ მოვაწყვეთ ინსტიტუტში ჩვენი მოგზაურობის ამსახველი ფოტო-გამოფენა, გამოვეცით გაზეთი სახელწოდებით: „ოქროს საბლით მოზომილი“... ამ გამოფენას და გაზეთს გარშემო შემოვლებული ჰქონდა მსხვილად დაწნული სახელი, ოღონდ ის ორ ადგილზე ჩაწყვეტილი იყო... ამ სიმბოლური გამოფენა-გაზეთისათვის სათანადო ორგანოებში დაგვიბარეს ბატონი ალექსანდრე გვენცაძე და ამ სტრიქონების ავტორი, „შეგვაჩვენეს“...

გიორგი ჯავახიშვილი,
იაკობ გოგებაშვილის სახელიბის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოდეს ძვირფას მოძღვარზე ფიქრები მომეჯარება, უშალ ახმიანდება ჩემს არსებაში ღვთისმშობლის მიმართვა ექვთიმე მთაწმინდელისადმი: „არარაი არს ვნება შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი და მომესმის „დაუყენებლად, ვითარცა წყაროი“ ტკბილი და ამო ქართული ბატონი ალექსანდრესი.

გულით უყვარდა „სამშობლო ენა“ ალექსანდრე გვენცაძეს. ენამოქარგულ, ამოდხმიან ქართველს გულისფიცარზე ეწერა ილიას სიტყვები: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ღვიძლი სიტყვით მოძღვრავდა მეუფე ქართული ენის მშობელ ერს, ახალგაზრდობას, რადგან

„ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი“ ძვალ–რბილში ჰქონდა გამჯდარი.

ყველას ხიბლავდან ატყვევებდა მისი სიბრძნე, სიტყვის ძალა, ენატკბილობა.

ვინ იყო ალექსანდრე გვენცაძე?
საქართველოს ღვიძლი, ღირსეული შვილი;
კახეთის „თანამდევი სული“;
თელავის უსათნოესი და უკეთილშობილესი რაინდი;
ენთუზიასტი მკვლევარი;
„სულთმარიგებელი“ მოძღვარი;
ქართული ენის სწორუპოვარი გუშაგი.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას მერე, რაც პირველად ვიხილე იგი. გასაოცარი სიცხადით მიდგას კვლავაც თვალწინ: ერეკლე მეფის ნაფუძვარი ხავსმოდებული ქონგურები, მოშრიალე მაღალი ხეები და ამ საოცარ ფონზე ჭალარაშერეული, კეთილალნაგი, პირმზე კაცი. დედამ წარმადგინა მასთან. მე მონუსხული მივაჩერდი. საოცარმა ღიმილმა გაუცისკროვნა სახე, მომეოქროპირა, მომელაციცა ის სითბო, „ღულუნი იგი“ ჩამრჩა გულს...

შემდგომ ბედმა მისი მოწაფეობა მარგუნა. ახლაც ცხადად

ვხედავ მას კათედრაზე შუქიანი, ოდნავ დაძაბული მზერით, საკუთარ აზრთა ოდნავ დაძაბული მზერით, საკუთარ აზრთა ლოგიკურ მდინარებას მიყურადებული, თავაწეული. ხშირ-ხშირად მარცხენა ყურთან ხელს აიფარებდა, თითქოს ეწადა მისი შარავანდედით დათრგუნვილი, კდემამოსილი სტუდენტსის ბაგეთაგან წარმოთქმული არათუ სიტყვა, ბგერაც კი არ დაჰკარგოდა.

კახეთის უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის პატრიარქი, ცოდნის ტაძარში პირველი ხნულის გამტანი, გაუბზარავი ზნეობის კაცი, სიბრძნის მთესვარი, მამობრივი სიტყვით ახალგაზრდობის დამპურებელი, მეცნიერისა და ოსტატის უმძიმეს ტვირთს ეწეოდა საოცარი შემართებით, მჩქეფარე ენერგიით.

უკვდავთაგან დარიგება ხომ ფრიად ფასეულია. ხშირად დაუმოძღვრავს ბატონ ალექსანდრეს სტუდენტები, ოხუნჯური კილოთი წკიპურტებიც გაუკრავს ჩვენთვის.

გულწრფელი და აღტაცებული მსმენელები ვიყავით მისი. არასოდეს გვინახავს ნერვებდაწყვეტილი, ხმამაღალ ნოტზე ახმიანებული, ბულბულის ენით მეტყველებდა იგი, დარბაისელი ბრძენ-კაცი.

გამორჩეული გარეგნობა, ფაქიზად ჩაცმა-დახურვა, გულშიჩამწვდომი ბაასი, ადამიანური ურთიერთობისა და კულტურის რაღაც განსაკუთრებული უნარი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მის ირგვლივ მყოფებზე.

ათეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც მასწავლებლის ჭაპანი ვიტვირთე. ხან გულს ლოდი დამკიდებია, ხან ჩუმად ცრემლიც ჩამღვრია მკერდში, ოდეს მოსწავლის გაყინული მზერა შემჯახებია, მაგრამ უმალ მისი შუბლნათელი მასწავლებლის ხატება ამსვეტებია წინ და ახალი შემართებით, მისეული ძალისხმევით გამიგრძელებია უწმინდესი მოვალეობა.

უსაშველო ტკივილმა გაიდგა ფესვები ჩემს გულში. ოდეს მისი გარდაცვალება – ფერისცვალების ხმა მესმა. ზღვა ხალხი მიაცილებდა საუკუნო გზაზე ტკბილ მოძღვარს. მაშინ ოდენ ხორციელი სანთელი ჩაიწვა მისი, ხოლო სულიერი ნათელი კვლავ უხვად გვეფრქვევა.

ჩემს სამუშაო მაგიდას ამშვენებს ბატონი ალექსანდრეს წიგნი – „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები“. სასოებით ვკითხულობ გამოკვეთილ, ძარღვიან ნაწერს თავფურცელზე: „ჩვენს კარგ მარინას მასწავლებლური და მშობლიური სიკეთის გრძნობით“.

სულით განწმენდილს უფლის სამსჯავროზე, ალბათ, „აქუნდა მას სიტყუაი გამოჩინებული, ვითარცა სრულსა კაცსა“.

მარადიულობის მკვიდრია ბატონი ალექსანდრე და მაინც გრძელდება მისი მეცნიერული ცხოვრება, მისი ნაფიქრ-ნაჟურით რწყულდება ახალ-ახალი თაობა.

„ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“, – სწამდა გალაკტიონს.

ალექსანდრე გვენცაძე იყო ღმერთკაცი, „მოტყინარე“ ვარსკვლავი – თავზე დამნათი, ამიტომ აღმოჩენა არ სჭირდებოდა, იყო „ხარი მხნე დაულლელი ზესკნელისა“, ამიტომ ხალხის სიყვარული და დაფასება არ აკლდა.

მარიამ შარმაზანაშვილი
თელავის I საშუალო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

# ჩემი ცხოვრების გზის გამკვლევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გვენცაძეს 1936 წლიდან ვიცნობდით. ის სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში ქართულ ენას და ლიტერატურას მასწავლიდა, ამავე პერიოდში მე სიღნაღის რაიონული გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტადაც ვმუშაობდი, ვიწრთობოდი ჟურნალისტად, რაშიც ისევ ჩემს მასწავლებელს ვუმადლი.

ალექსანდრე მასწავლებელი თავისუფლად საუბრობდა, გვაჩვევდა ქართული ენის კეთილშობილურ ულერადობას. ამასთან, გვასწავლიდა სიკოხტავეს, თავად თვითონ იყო კოხტა, მოხდენილი ვაჟკაცი. სასკოლო ცხოვრება კი მისი სული და გული, მისი განუყოფელი ნაწილი იყო, – შუქი სულისა, როგორც ხატოვნად თქვა მასწავლებელზე პოეტმა. სწორედ ასეთი იყო ჩემი ალექსანდრე მასწავლებელი.

თელავშიც, რაიონული გაზეთის რედაქციაში, ომამდე და ომის შემდეგაც, ერთად ვმუშაობდით.

ყველა მის აღზრდილს დაჰყვა აღმზრდელის მრწამსი – სიმართლე, პატიოსნება, საქმის სიყვარული.

ბატონი ალექსანდრე გატაცებითა და სიყვარულით ემსახურებოდა საქვეყნო საქმეს; რომელ ერთს იტყვი, რომელ ერთს გაიხსენებ მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გაკეთებული მნიშვნელოვანი საქმეებიდან.

ნადირობა უყვარდა. ერთ პერიოდში ის თელავის რაიონის მონადირეთა საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედაც იყო არჩეული.

ბუნების ქომაგი, ბუნების მოტრფიალე ბუნებით თაყვანისმცემელი უნდა იყოსო – იტყოდა ხოლმე.

ბუნების რესურსების დაცვაზე მუდამ ფიქრობდა. თუ რაიმე უკანონობას შეამჩნევდა, მაშინვე საგანგაშოდ ხდიდა.

ბატონი ალექსანდრე ჭეშმარიტი ჟურნალისტიც იყო, უაღრესად ფართო ერუდიციის ადამიანი. ჭეშმარიტ ინტელიგენტობას ამჟღავნებდა აგრეთვე ყოველდღიურ ურთიერთობაშიც, საქმისადმი მიდგომაშიც. მისი ადამიანური ღირსებები დიდ–პატარაში ერთიანად, ღრმა მოწიწების

გრძნობას აღძრავდა.

თითოეულ სტუდენტს, საზოგადოების თვითოეულ წევრს ხელს უწყობდა იმით, რომ მასში მაქსიმალურად გაეღვიძებინა ინტერესი, უკეთესი მაგალითისადმი. [illegible] მან კარგად იცოდა, რომ მაგალითი არის ადამიანის ერთ-ერთი უდიდესი მამოძრავებელი ძალა, აღზრდის უტყუარი საშუალება.

აი, ასე ზრუნავდა სტუდენტების მომავალზე განსაკუთრებით ახლოს ტრიალებდა ლიტერატურულ ახალგაზრდობასთან, კითხულობდა მათ ნაწერებს, ეძებდა და პოულობდა კიდეც ნიჭიერ, მომავალ შემოქმედთ, ეხმიანებოდა წესიერ გზაზე აყენებდა, მთელ თავის ცოდნას და გამოცდილებას არ იშურებდა ახალგაზრდების, პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის. პედაგოგთა რამდენ თაობას შეხებია მისი მზრუნველი ხელი.

ხარობს ნერგი სიკეთისა!

ძნელია ყველაფრის გახსენება, მაგრამ არსებობს ადამიანური კანონი: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“... ცხოვრებაში ჭეშმარიტი ადამიანის ხილულ მოწამედ გახდები, იმის ღვაწლს, ამაგს ვერ დაივიწყებ...

ჩემში ასეთად დარჩა ბატონი ალექსანდრე!

ნიკოლოზ იარალიშვილი
დამსახურებული ჟურნალისტი

# ან ხუთიანი, ან ორიანი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს გავეცანი თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც ოჯახური პირობების გამო გადმოვედი სასწავლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ეს იყო 1959–60 სასწავლო წლები. მაშინ თელავის ინსტიტუტი ერეკლესეულ სასახლეში იყო მოთავსებული. ჩვენი აუდიტორიის ფანჯრები თელავის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოს გადაჰყურებდა. ამავე ეზოსკენ იყო მიქცეული დეკანატის ფანჯრებიც. ეს ოთახი ჩვენი აუდიტორიის გვერდით მდებარეობდა. დეკანატში მთელი სამუშაო დღის მანძილზე საწერ მაგიდასთან ბრძანდებოდა ბატონი ალექსანდრე, ჩვენი ფილოლოგების დეკანი. მას მუდმივად ვხედავდით საწერი კალმით ხელში, საწერ მაგიდასთან მჯდომს. ბატონი ალექსანდრეს კალამი ერთობ დიდი დატვირთვით მუშაობდა. ამ კალმით იწერებოდა არა მარტო ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის, არამედ მთელი ინსტიტუტის საკანცელარიო საქმიანი ქაღალდები, სამეცნიერო საბჭოს ოქმები და სხვა. ერთი სიტყვით, ბატონი ალექსანდრეს ხელით დაწერილი მისი ნააზრევი წარმოაჩენდა თელავის პედინსტიტუტის სამუშაო სახეს. შემდგომში, როცა ინსტიტუტი დავამთავრე და ბატონი ალექსანდრეს მდივანი გავხდი (დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა პირად საქმეებს განვაგებდი), არაერთხელ მომისმენია ინსტიტუტის რექტორის, ბატონ ნიკოლოზ ქორთუას ნათქვამი: „საშას შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოქმებიც კი შესანიშნავად წეროსო“.

როგორც ლექტორი, ბატონი ალ. გვენცაძე საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი იყო, თუმც უაღრესად კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტებთან. პირადად მე, როგორც სტუდენტს, განსაკუთრებით დამამახსოვრა თავი გამოცდაზე: ვაბარებდით მორფოლოგიის მონაკვეთს თანა-

მედროვე ქართული ენის გრამატიკაში. მთელი ჯგუფი ღმ-
ლავდა გამოცდის მოლოდინში. მთელი ბავშვობა და ახალ-
გაზრდობა ფრიადზე სწავლაში მქონდა გავლილი. ამიტომ
მე არა ვლელავდი. მითუმეტეს, რომ ეს საგანი უნივერსი-
ტეტში ჩაბარებული მქონდა პროფესორ ივანე ქავთარაძეს-
თან მალალ ნიშანზე. თელავში რალა ღმერთი გამიწყრებო-
და?

ავიღე ბილეთი და დავიწყე პასუხი მოფიქრების დროის
გარეშე. გამომცდელი დიდი ყურადღებით მისმენდა სამივე
საკითხზე და მოწონების ნიშნად თავს მიქნევდა. მორჩა
ბილეთის საკითხებზე პასუხი და ბატონი ალექსანდრე დაინ-
ტერესდა ენათმეცნიერების შესავლიდან რომელიღაც სა-
კითხზე ჩემი ცოდნით. ამ საგნის ჩაბარების შემდეგ ოთხიოდე
წელი იყო გასული და ბუნებრივია, ჩემი პასუხით ბატონი
ალექსანდრე უკმაყოფილო დარჩა. თქვა ბევრი დადებითი
ეპითეტი ჩემი მისამართით, მაგრამ უნიშნოდ დამტოვა. ეს
კი ახსნა შემდეგნაირად: „თქვენ ისეთი სტუდენტი ბრძანდე-
ბით, რომ ან ხუთიანი უნდა მიიღოთ, ან ორიანი. ვერ
მომიტრიალდება ხელი თქვენთვის ოთხიანის დასაწერად.
წაბრძანდით და არდადეგების შემდეგ განმეორებით გა-
მოცდაზე მოხვალთ“. მეტი რა გზა მქონდა, დავმორჩილდი
ბედს და პირველად და უკანასკნელად ჩემს სიცოცხლეში
გავიზიარე ორიანით მიღებული უსიამოვნება. ჩემს „ჩაჭრას“
ესწრებოდა ჩემი თანაკურსელი ჟიულენ ყარაულაშვილი,
რომელიც ბატონი ალექსანდრეს გამოცდიდან ჩემს შემდეგ
გამოვიდა. თვალცრემლიანი რომ დამინახა, მითხრა: „ნინო,
რა გატირებს? ბატონ საშას ოღონდ ჩემთვის ეთქვა ის
საქები სიტყვები, რაც შენ გითხრა და, ორიანი კი არა,
თუნდაც ერთიანი დაეწერაო“. დღემდე კვებავს ჩემს ერთგვარ
პატივმოყვარეობას ბატონი ალექსანდრეს მიერ ჩემი მისამარ-
თით ნათქვამი საქები სიტყვები („ხალასი ნიჭი“, „შესანიშ-
ნავად მოაზროვნე“ და სხვა), მაგრამ არც ორიანით მიღე-
ბული უსიამოვნო განცდა დამვიწყებია. შეუნდოს ღმერთმა
ბატონ ალექსანდრეს ეს უჩვეულო სიმკაცრე. ეტყობა მოსწავ-
ლემ თუ სტუდენტმა ყველა ნიშნის მიღება უნდა გადაი-
ტანოს და აკი გადავიტანე კიდევაც. მითუმეტეს, რომ თებერ-

ვალში განმეორებით გამოცდაზე ბატონმა ალექსანდრემ ფრიადი დამიწერა გამოკითხვის გარეშე.

ბატონი ალექსანდრეს ხელმძღვანელობით სტუდენტობის პერიოდში დავამუშავე სამეცნიერო თემა სათაურით „აკაკი წერეთლის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვები“, რომელიც ქუთაისის პედინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე წავიკითხე. სხდომის ბოლოს მოსმენილი თემების შეფასებისას ჩემი თემის შესახებ ითქვა: ბატონი ალექსანდრეს ხელმძღვანელობით გამოგზავნილი თემა დიდი ინტერესით მოვისმინეთ და ეს ინტერესი სათაურიდანვე იწყებოდა. ეს არის ჩვენი კლასიკოსი მწერლის ირგვლივ არსებული საინტერესო მჭევრმეტყველური სიტყვების მხატვრული ანალიზი, წარმოდგენილი პროფესიული ცოდნის გამოვლენითო“. აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვები სასაუბრო მჭევრმეტყველების შესანიშნავი გამოვლენაა. ამან განაპირობა, ალბათ, ის გარემოება, რომ, როცა ქუთაისური სტუმარ-მასპინძლობით მოხიბლულნი მივუსხედით კონფერენციის დამთავრების შემდგომ გამოსამშვიდობებლად გაშლილ საზეიმო სუფრას, მე თამადის მოადგილედ ამირჩიეს. თამადა (თუ არ ვცდები) ქუთაისის პედინსტიტუტის მაშინდელი რექტორი, პროფესორი ბატონი კონსტანტინე მეძველია ბრძანდებოდა. საოცრად დავიმორცხვე. რას ვივარგებდი ასკაციან საბანკეტო სუფრაზე ჩემი ქალური სუსტი ხმითა და გაუბედაობით? აქ წამომეშველა ჩემი აწინდელი კოლეგა და მაშინდელი ერთი წლით წინა კურსზე მყოფი სტუდენტი ვალერიან ელანიძე, რომელიც თავისი ენამზეობითა და ვაჟკაცური ომახიანი ხმით ჩემს ნაცვლად წარმოთქვამდა სადღეგრძელოებს.

ზემოაღნიშნული სტუდენტური თემა დაუსწრებელი განყოფილების დეკანმა ბატონმა შოთა გოგიაშვილმა გააცნო პროფესორ ამბერკი გაჩეჩილაძეს, რომელიც სახელმწიფო გამოცდების დროს თავმჯდომარეობდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიას. ბატონმა ამბერკიმ ეს თემა წარადგინა ლიტერატურის ინსტიტუტში. მართალია, ბატონი ამბერკი ავად გახდა და ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელობა

ვერ შეძლო, მაგრამ მე ამ თემით მოვიპოვე საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების უფლება. ასე დამაკვალიანა ბატონმა ალექსანდრემ სტუდენტობიდანვე სამეცნიერო მუშაობის გზაზე და მისი მისამართით მადლობის მეტი რა ვითქვა.

მადლიერებით ვიგონებ ბატონი ალექსანდრეს მაღალადამიანურ თვისებებს, გამოვლენილს ირგვლივმყოფთა მიმართ. განსაკუთრებული სითბოთი და ყურადღებით ექცეოდა ბატონი ალექსანდრე ინგილო სტუდენტებს. ხშირად მივყავდით საინგილოსა და ჩრდილო კავკასიის ქართულ სკოლებში, სადაც საჩუქრად მიგვქონდა ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები...

ბევრი ვერ დაიკვეხებს იმ სიყვარულსა და პატივისცემას, რითაც ბატონი ალექსანდრე სარგებლობდა თავის ყოფილ სტუდენტებსა თუ თანამშრომლებში.

ნინო დევიძე,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ლიტერატურის კათედრის
უფროსი მასწავლებელი

# ჩინებულთაგან რჩეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი – რჩეულ“...

სახარების ამ ფრაზით მინდა დავიწყო სიტყვა ბატონ ალექსანდრე გვენცაძეზე, კაცზე, რომელიც ჩინებულთაგან რჩეული იყო.

ბატონი ალექსანდრე ჩემი დეკანი გახლდათ. მიკითხავდა ენათმეცნიერების შესავალს, ზოგად ენათმეცნიერებასა და სტილისტიკას. გამოირჩეოდა ღრმა ერუდიციით. იყო მკაცრი და ობიექტური შემფასებელი სტუდენტის ცოდნისა, მოითხოვდა წესრიგს ყველგან და ყველაფერში. ჩვენ, სტუდენტებს, დიდი რიდი და მოკრძალება გვქონდა მისი. ვერაფერს გამოაპარებდი, ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი გრძნობდა და მიგვანიშნებდა ხოლმე.

მეორე კურსზე ქალბატონმა ლეილა შალვაშვილმა ექსკურსიაზე წაგვიყვანა ჯერ იმერეთი მოვიარეთ, შემდეგ კი სამცხე-ჯავახეთში გადავედით. ბატონი ალექსანდრე და ქართული ენის კათედრის წევრებიც ჩვენთან ერთად წამობრძანდნენ. ეს ექსკურსია მრავალმხრივ საინტერესო და სამახსოვრო იყო.

დილით ადრე შევიკრიბეთ ინსტიტუტის წინ და ავტობუსში ჩავსხედით. ყველაზე გვიან ჩვენი კურსელი ცისანა მოვიდა. იგი დედამ მოაცილა და მორიდებით დადგა ავტობუსთან.

ცისანას დედა ყველას მოგვეწონა. საოცრად სიმპათიური ქალი იყო, ღია თაფლისფერი თვალებიდან სითბო და სიკეთე გამოკრთოდა.

ბატონ ალექსანდრეს ლამაზი ქალები ხიბლავდა. ხელიდან არასოდეს გაუშვებდა შემთხვევას, რომ მათთვის ქათინაური არ ეთქვა. ახლაც, შეხედა თუ არა ჩვენი ამხანაგის დედას, ჩავიდა ავტობუსიდან, მოწიწებით მიესალმა ქალს, ხელზე ეამბორა და სთხოვა, ჩვენთან ერთად წამობრძანდით ექსკურსიაზეო. ცისანას დედა დაიბნა, ძალიან შერცხვა,

მაგრამ ბატონი საშა არ ეშვებოდა: – ქალბატონო, სილამაზე ღვთის ბოძებული მადლი და სიკეთეა, და ათ დღეს ეს მადლი და სიკეთე თუ ჩვენს გვერდით იქნება, საფლობზე არ მოგვეკარებაო. ბოლოს, უარით გულდაწყვეტილმა ცისანას მიმართა საყვედურით: – ასეთი მურილიოს მადონასავით დედა თუ გყავდა, აქამდე ინსტიტუტში ერთხელ მაინც არ უნდა მოგეყვანაო? ვის უმალავდი, მე ხომ არაო?

ავტობუსში ამოსულმა კი გამოაცხადა: ამის შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ექსკურსიებზე დედების თანხლებით წავიყვანოთო, ცისანას კი დედის შესახებ ყოველ შეხვედრაზე ეკითხებოდა და თან თავისებურად ჩაიღიმებდა ხოლმე.

იმ ექსკურსიაზე მოვინახულეთ მოწამეთაც. ეზოში შევედით თუ არა, ბატონმა საშამ მიჩურჩულა, აქ პირველად მომსვლელმა რამე უნდა ინატროს და აუსრულდებაო. ტაძრის ეზო თვითონ სულ მთებისკენ იყურებოდა. მერე დამიძახა და მითხრა: – აი, ის რაჭის ქედია, იქ ჩემი რაჭაა, ჩემი სოფელი, მამა-პაპათა საფლავებიც იქა მაქვს. ათი წლისა ვიქნებოდი, როცა დედაჩემმა ჩემი სიგრძის სანთელი ჩამოქნა, საგზალი გაამზადა და ფეხშიშვლები მე და ჩემი და იქიდან აქ, მოწამეთაში წამოგვიყვანა უთენია. ომში წასული მამისგან არაფერი ვიცოდით, წმინდანთა ნაწილებთან ვილოცეთ და მისი დაბრუნება ვინატრეთ. მეგონა, მამაჩემი მალევე დაბრუნდებოდა, მაგრამ გამიცრუვდა იმედებიო.

მას შემდეგ რამდენჯერმე ვიყავი მოწამეთაში. ბატონი ალექსანდრეს ნაამბობი არასოდეს მავიწყდება და თითქოს ცხადად ვხედავ, როგორ მოჰყვება მთის ბილიკებს თალხებში ჩაცმული მაღალი ქალი, გვერდით ორი პატარა მოსდევს: ერთს, საშას, ხელში სასოებით უჭირავს ოჯახის ერთადერთი იმედი – მისი სიგრძის კელაპტარი, საკუთარი თითებით უნთებს ღმერთს და ჩურჩულებს: ღმერთო, წმინდანებო, დაგვიბრუნეთ მამა, დაგვიბრუნეთ, დაგვიბრუნეთ...

მამის მონატრებისა და შინ მოსვლის იმედგაცრუების სევდასაც ხშირად წარმოვიდგენ ხოლმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ბატონი ალექსანდრე თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტშიც თანამშრომლობდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-მეთოდურ კაბინეტში დღემდე სათუთად ინახება ინსტიტუტის გახსნისას მისგან ნაჩუქარი ძალიან საჭირო წიგნები. იგი იყო ამავე კაბინეტის ლექტორთა აქტივის წევრი და ნაყოფიერად მუშაობდა კურსებზე მოვლინებულ მასწავლებლებთან. კითხულობდა ენათმეცნიერების და სტილისტიკის საკითხებს. ატარებდა პრაქტიკულ სამუშაოებს. პედაგოგთა საკონტროლო ნამუშევრებს არასოდეს აფასებდა „ორზე". შეცდომებს კი ზუსტად ალნუსხავდა ხოლმე.

როდესაც მსმენელთა ახალ ნაკადთან აუდიტორიაში ბატონ ალექსანდრეს წარვადგენდი, მასწავლებლები დიდი სიხარულით ეგებებოდნენ მას. წინასწარ მთელი ჯგუფი ცხოვრობდა იმ დღის მოლოდინით, როცა გვენცაძე ეწვეოდა ინსტიტუტს.

სახეგაბრწყინებული ნელ-ნელა მიდიოდა კათედრისაკენ. გზადაგზა ხალისით ესალმებოდა ყველას. კათედრაზე ასული გასუსლ აუდიტორიას ღიმილით გადახედავდა. გვერდით დამიყენებდა, სანამ სიას ამომაკითხებდა, ყველას სათითაოდ აკვირდებოდა სახეზე და შემდეგ სწრაფად ასახელებდა მათ გვარ-სახელებს, ინსტიტუტის დამთავრების წლები და სადაურობაც კი ახსოვდა.

ლექციებზე ძალიან ენერგიულად მუშაობდა. ყოველი თემის დამთავრებისას აწერინებდა ეგრეთწოდებულ „სამახსოვროს", რომელშიც მისებურად, ლაკონურად, მუხლებად იყო ჩამოყალიბებული ის უმთავრესი დებულებები, რაც მასწავლებლებს არ უნდა დავიწყებოდათ. ცხრილით გათვალისწინებულ საათების გარდა ატარებდა ბევრ დამატებით ლექციასა და სემინარს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სანახავად მივედი, გული ჩამწყდა, ფერი დაკარგვოდა, გამხდარიყო, რაღაც

საოცარის მოლოდინი ეტყობოდა, მაგრამ არ დაუჩივლია.

პატარა ოთახში მხოლოდ მისი საწოლი იდგა. ფანჯრის კედელზე ჭერამდე დაკიდული თაროები წიგნებით იყო სავსე, სხვა სიმდიდრის შეძენაზე ბატონ ალექსანდრეს არასოდეს უზრუნია. იგი ხომ უჩუმრად, ხმაურის გარეშე ეზიდებოდა უმაღლესი სკოლისა თუ საზოგადო მოღვაწის მძიმე ტვირთს, ხოლო გასამრჯელოდ ამაგით მოხვეჭილი სიყვარული და პატივისცემაც ჰყოფნიდა.

კაცი ცხოვრება სენეკას აზრით, იგავ-არაკივით შინაარსით იზომება და არა სიგრძით.

ბატონი ალექსანდრეს მრავალ ღირებით გამორჩეული სიცოცხლე და ცხოვრება თავად იქცა მამულიშვილური ცხოვრების საზომად.

ირინე ჯაშიშვილი,
მასწავლებელთა დახელოვნების თელავის
ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის
სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე,
VII საშუალო სკოლის პედაგოგი

# უზენაესი მადლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქვეყანა უკუნისამდე ჰგიეს“, – გვასწავლის ეკლესიასტე.

სწრაფად, წამიერად იცვლება წუთისოფელი, ადრე თუ გვიან ყველა წავალთ. ადამიანები კვდებიან, მაგრამ სიცოცხლე უკვდავია და ამ სიცოცხლეს ჩალის ფასიც არ ექნებოდა, დროგამოშვებით გამორჩეული ადამიანები რომ არ იბადებოდნენ, განსაკუთრებულ ხიბლს რომ აძლევენ ყოველდღიურ ყოფას.

ჩვენს თანამედროვეთაგან ასეთ გამორჩეულ ადამიანად ყველას ალექსანდრე გვენცაძე გვესახებოდა.

ის არავის არ ჰგავდა არც გარეგნულად და არც შინაგანად. ღვთიური სილამაზითა და რაღაც შინაგანი ძალით გასხივოსნებული იგი ერთადერთი და განუმეორებელი იყო.

კარგად წერდა გოეთე: „დაფნის დაწვნა იოლია ბევრად, ვიდრე მისი ღირსი თავის პოვნა“.

ღირსეულს ვერავითარი შური და მტრობა ვერ ჩრდილავს, პირიქით, უფრო მკვეთრად წარმოაჩენს ხოლმე, ხოლო დრო სამუდამოდ მიუჩენს მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილს.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ვყოფილიყავი მისი ერთ-ერთი გამორჩეულ სტუდენტთაგანი.

ადვილად თავს ვერ მოაწონებდი, ხოლო თუ ნიჭის ნასახს შეგნიშნავდა, არასოდეს მოგაკლებდა სითბოსა და ყურადღებას.

ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოს საშუალო სკოლის დირექტორად რომ ვმუშაობდი, ბატონი საშა ჩვენი ხშირი სტუმარი იყო. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას რაიონის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებიც ესწრებოდნენ, მათ შორის საკმაოდ ასაკიანებიც.

ბავშვივით აღელვებული ელოდებოდა ყველა ალექსანდრე გვენცაძის მობრძანებას.

არასოდეს დამავიწყდება ის სურათი, ფოტომაც შემოგ-

ვინახა, ჭეშმარიტი მოძღვრისა და მისი აღზრდილების შეხვედრა.

ბატონ საშას ყველა მათგანი გვარითა და სახელით ახსოვდა, ყველას თავისი წილი სითბო დაუტოვა, თავისი ჯადოსნური ღიმილი უშურველად უწილადა, ახალგაზრდობა და სტუდენტობის განუმეორებელი წლები გაახსენა და სიცოცხლის სილამაზის რწმენა განუახლა.

მხოლოდ მას ხელეწიფებოდა ასე უბრალოდ და ჩვეულებრივ უმაღლეს კაცობრიულ გრძნობებს შეჭიდებოდა და ასევე უბრალოდ და ჩვეულებრივ ამ ჭიდილში გამარჯვებული დარჩენილიყო.

შეზღუდულ ადამიანთა სურვილი ისაა, მათზე მაღლა არავინ იყოს. ეს პატარა ადამიანების ხვედრია. ბატონ საშას არასოდეს აწუხებდა სხვისი ავტორიტეტის შიში, რადგან მის ღირსებებს მტერიც ვერ დააყენებდა ეჭვის ქვეშ, პირიქით, ცდილობდა სხვები აემაღლებინა. ხოლო მისი ყველაზე მაღალი სამეცნიერო ხარისხი თავად მისი გვარი და სახელი იყო. ალექსანდრე გვენცაძე! ეს ტიტული ყველაზე მჭევრმეტყველად ღაღადებდა პატრონის ღირსებას, აკი კვლავაც აგრძელებს სიცოცხლეს მისი სახელობის კაბინეტით.

„უფალმან შექმნა კაცი მიწისაგან და კვალად მიაქცია იგი მას შინა“ (ზირაქი, 16, 1). სიცოცხლესაც დასასრული აქვს, რამეთუ ყველა კაცი მოკვდავია.

ისე მაქვს წარმოდგენილი, სიკვდილის წინ ალექსანდრე გვენცაძე ნოდარ დუმბაძის ერთი პერსონაჟის, გუდული ბერეჟიანივით მადლობას უხდიდა, ემშვიდობებოდა თავის ირგვლივ ყველას და ყველაფერს, უპირველესად მზეს: „მშვიდობით მზეო ბატონო, დიდი, უზენაესი და უმაღლესი მადლობა შენ!“

ალბათ, მასაც ყველამ ასე უპასუხა: „ალალი იყოს შენზეო“, რადგან მისთვის მართლაც ალალი იყო მზისა და მთვარის ნათელიც, სხივიც და ჩრდილიც, ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრებით გაჯერებული წლებიც, ირგვლივმყოფთა სიყვარულიც და მოწიწებაც...

ეს ყველაფერი აქ დარჩა, ჩვენთან, მისთანა კაცებს რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუთენოს ახალი დილა, მან კი მხოლოდ თავისი სპეტაკი სული გაიყოლა თან. წასვლისას მჯერა, დაგვლოცავდა, მოძღვარს რომ შეშვენის ისე: „იქმენინ ნათელი!“

ქეთევან სულხანიშვილი,
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალი კორპუსის მშენებლობაზე.
1968 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სულის ზრდა

სხვისი სიტყვების აღმნიშვნელი წინწკლები შემთხვევით არ გამოვტოვე აკაკი ბაქრაძის წიგნის და ამავე სახელწოდების მისი ერთი მშვენიერი წერილის სათაური – „სულის ზრდა“ – როცა გამოვიყენე ჩემი მოგონებისათვის ბატონ ალექსანდრე გვენცაძეზე. ეს იყო კაცი, რომელიც თავისი ცხოვრებით, ამ ქვეყანაზე თავისი ყოფით ადამიანის სულის ზრდას უწყობდა ხელს, თითქოს ამისთვის იყო იგი ამ ქვეყნად მოვლენილი. ეს მისია ჰქონდა დაკისრებული.

და ისიც დადიოდა ჩვენი საყვარელი ქალაქის ქუჩებში, დიდხანს, დიდხანს, ადამიანური სულის ზრდად.

ის ჩემი მასწავლებელი, ჩემი ლექტორი არ ყოფილა: უნივერსიტეტის დამთავრებამდე მას არც ვიცნობდი, საშუალო სკოლაში სწავლისას და შემდეგ, როცა დავამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და თელავის რაიონულ გაზეთში მოვედი, ხშირად მესმოდა სხვადასხვა კონტექსტში ამ კაცის სახელი და გვარი. გაცნობით, შეიძლება ითქვას, გავიცანი (დაუსწრებლად, რასაკვირველია), როცა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მისი ერთი წერილი წავიკითხე. ერთ ჩვენს თანაქალაქელ მწერალზე – სოლო გოშაძეზე, რომლის შესახებ ალბათ ბევრს, შეიძლება ითქვას უმეტესობას წარმოდგენაც არ გვქონდა. მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მაშინ (ახლაც რასაკვირველია) ძალიან პრესტიჟული ფაკულტეტი ჟურნალისტიკისა ცხოვრების სულ სხვა ასპარეზზე გასვლის ოცნებებით კვებავდა ჩვენს ახალგაზრდულ ფანტაზიებს და რაიონული გაზეთი, როგორც ჩემი თაობის ალბათ ყველა კურსდამთავრებულს, ბედის ირონიად და უფრო უარეს რამედაც გვეჩვენებოდა. ბატონი ალექსანდრე გვენცაძის იმ წერილმა სულო გოშაძეზე, მის ნიჭზე და უნარზე რომ იპოვნო შენი ადგილი ცხოვრებაში, აკეთო შენი საქმე, ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ ვითარებაში, – ჩემზე რაღაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მერე ბატონმა ალექ-

სანდრემ სცადა წიგნის გამოცემა ამ საინტერესო მწერალზე და მოქალაქეზე. ბატონი ალექსანდრე გვენცაძის ინიციატივით და დიდი მცდელობით თელავის ერთ საკმაოდ დიდ ქუჩას ეწოდა სოლო გოშაძის სახელი.

„კოლმეურნის ხმაში“ (მაშინ ასე ერქვა ჩვენს გაზეთს) რამდენიმე წერილი მქონდა გამოქვეყნებული, როცა რედაქციაში გვეწვია უაღრესად სიმპათიური გარეგნობის კაცი, ლამაზი, ჭარმაგი, ახოვანი, არაჩვეულებრივი აღნაგობის, დახვეწილი ინტელიგენტი... დაუსრულებლად შეიძლება გააგრძელო ასეთი ეპითეტები, მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი მაინც ის შინაგანი შუქი იყო, რომელიც ასე ანათებდა ამ კაცს და მზით სავსე რედაქციის ოთახებიც (მაშინ რედაქცია ახლანდელი სასტუმრო „თელავის“ მეორე სართულზე სამხრეთის მხარეს იყო მოთავსებული) მისი სტუმრობით კიდევ უფრო გაჩახჩახდა.

გაზეთის რედაქტორი ბატონი შოთა როსტომაშვილი და ყველა თანამშრომელი ისე გულთბილად შეხვდა სტმარს, ისეთი სიყვარულიანი მოკითხვა გაიმართა, რომ ლამარა იანავარაშვილს და გულნაზი კიკნაძეს, რომლებსაც გული ჰქონდათ გაწყალებული ჩემი შეკითხვებით – „ვინ არის, ვინ არის–მეთქი“, ველარ გავუბედე მეკითხა სტუმრის ვინაობა. თავად გამეცნო და თანაც ალბათ, მარტო ალექსანდრე გვენცაძე რომ გააკეთებდა ისე: სალამ–ქალამის შემდეგ ბატონ შოთას ჰკითხა – მერი ზაალიშვილი ვინ არისო. ბატონმა შოთამ ჩემსკენ გამოიხედა და თვალებით ანიშნა – აი, ის არისო. მოვიდა ბატონი ალექსანდრე ჩემთან, გამეცნო, თავისებურად მომეფერა – შენი წერილები წავიკითხე, და ახლა იმიტომ მოვედი, რომ შენთვის მეთქვაო, რომ შენო საინსტიტუტე (მაშინ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ინსტიტუტი ერქვა) გოგო ხარ, აფსუსია რედაქციისათვის მოსცდე. ინსტიტუტში წამოდი, შენი ადგილი იქ არისო... ისედაც ტანმცრე უარესად დავპატარავდი, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი.

ბატონმა შოთამ მიხსნა: – რას ეუბნები საშა, რა უნდა მერის ინსტიტუტში, ეგ რედაქციისათვის, გაზეთისათვის არის დაბადებულიო. მერე ყველა ავხმაურდით, ვიცინეთ,

ვილაპარაკეთ, ამ მთისა და იმ მთის ამბები მოვყეოთ და მეც უკვე ისეთივე შინაურულად დავემშვიდობე, როგორც ყველა რედაქციელი. მერე უკვე შევთანამშრომლობდი, ოთად ვეწეოდით სარედაქციო საქმიანობას, ის ხომ ჩვენი უშტატო კი არა, ყველაზე შტატიანი თანამშრომელი ბრძანდებოდა. უიმისოდ არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდებოდა, არ ტარდებოდა რედაქციაში (ისე როგორც მთელს რაიონში). მას მიჰყავდა ყველაზე საინტერესო თემები გაზეთში, მისი წერილები აცოცხლებდა გაზეთს, მისი მონაწილეობა სარედაქციო ღონისძიებებში ძალასა და ღონეს მატებდა, პრესტიჟს უწევდა გაზეთს და რაც მთავარია, საწადელის, მიზნის მიღწევაში გვეხმარებოდა.

აღარც მახსოვს რამდენი წლის წინ წაგვიყვანა თავისი შერჩეული ჯგუფი ახლა ასე გახმაურებული აბრეშუმის გზის თელავის ერთი მონაკვეთის შესასწავლად, აღსაწერად, ამ გზის მონაკვეთზე მაშინდელობის შემორჩენილი ნიშანწყლის დასაფიქსირებლად. ამასწინათ უაღრესად საინტერესო დოკუმენტური ტელეფილმი ვნახე სოფელ კისისხევის ისტორიულ ძეგლებზე და მის გვირგვინზე-სასწაულებრივ კონდამიანზე! რამდენი წლის წინ წერდა ბატონი ალექსანდრე ამ ზღაპრულ ძეგლზე, მივყავდით მის სანახავად და სოფლის, ყველა ჩვენი თანამედროვის წინაშე აყენებდა წინადადებას მისი შესწავლის, გადარჩენის აუცილებლობაზე. ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკაველ-მტკაველ ჰქონდა შესწავლილი თითქმის მთელი კახეთი, მისი ისტორიული ძეგლები და შესაძლებლობის მართლაც მაქსიმუმს აკეთებდა იმისათვის, რომ ხალხის, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცია ერის ეს დიდი სულიერი საგანძური.

რა მადლიერი ვარ, რომ ამ საქმეს ის ჩვენს გაზეთთან, – თითოეულ ჩვენგანთან ერთად აკეთებდა!

მაშინაც მქონდა ამის განცდა, მაგრამ ახლა, როცა უკვე წლები გვაშორებს ამ უაღრესად საინტერესო ადამიანს, უფრო თვალნათლივ ვხედავ, რომ ალექსანდრე გვენცაძის ყველა საქმე იქნებოდა ეს თანამედროვეთაგან მივიწყებული ჩვენი თანაქალაქელი ნიჭიერი შემოქმედის, სოლო გოშა-

ძის გახსენება, დამწყები ჟურნალისტის პირველი წერილები პატარა გაზეთში, წარსული დიდების ნაშთის მოძიება და გამომზეურება, დედაენის სიწმინდის დაცვა, ბატონთარი იუბილისათვის თანამოსაქმეებისაგან მიძღვნილი საჩუქარის ისტორიული ძეგლების გადასარჩენად გადარიცხვა თუ ნებისმიერი მისი საქციელი, მისი ნაბიჯი მიმართული იყო ადამიანის სულის გადასარჩენად, ჩვენი სულის ზრდისაკენ.

ჩემს არქივში ძვირფას რელიქვიებად ვინახავ ბატონი ალექსანდრეს მიერ გამოგზავნილ წერილებს. ჩვენი საუბრების ჩანაწერებს. ბოლო წლებში ბატონ საშას აღარ ესმოდა და ჩვენ ერთმანეთს ასე ველაპარაკებოდით – დამიწერდა კითხვას, დავუწერდი პასუხს, შევეკითხებოდი – დამიწერდა და ეს ბლოკნოტი ჩვენი საუბრებისა იყო და არის პატარა წიგნი ცხოვრებისა, სულის საზრდო, რომელიც ვინ იცის რამდენჯერ დამხმარებია იმად ყოფნაში, იმად დარჩენაში რაც ვიყავი და ვარ. ვინმემ შეიძლება იფიქროს მერი თავისი თავის წარმოსაჩენად იგონებსო ბატონ ალექსანდრესთან ურთიერთობას. არა, ჩემთან დამწყებ ჟურნალისტთან მისი გაცნობაც და შემდეგი ურთიერთობებიც ისევე წარმოაჩენდა თავად მას, როგორც ყველა მისი ნაბიჯი, მისი სიტყვა, მისი საქმე–პატარა იქნებოდა ეს საქმე თუ დიდი.

„რედაქცია, ქ–ნ მერის, ნინო გრძელიშვილი სად არის?!
პატივისცემით ალ. გვენცაძე“.

აი მისი ერთი წერილი, რომელიც მაშინვე გამომიგზავნა, როგორც კი ჩვენს გაზეთში მოინაკლისა ამ მართლაც ძალიან ნიჭიერი ავტორის გვარი და სახელი. ბატონი ალექსანდრეს მიერ გამოგზავნილი ზემოთ მოყვანილი პატარა წერილის რამდენიმე წლის შემდეგ ქალბატონ ლეილა შალვაშვილთან და არჩილ სპარსიაშვილთან ერთად მე მიმიწვიეს აწყურის დიდი ტრადიციების სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნინო გრძელიშვილის შემოქმედებით საღამოზე. ეს იყო სკოლის, მასწავლებლის, მოსწავლის, საზოგადოების ურთიერთობის ულამაზესი ზეიმი. „მე რომ ამ შეხვედრის შესახებ

საგაზეთო წერილის დაწერა მომიწიოს, მას სათაურად „დანაკარგის სიხარულს“ დავარქმევდი მეთქი, – ვთქვი მაშინ იმ შეხვედრაზე მე. დანაკარგი, რაც არ უნდა, უმნიშვნელო რამ დაკარგო, მაინც ძალიან გულსატკენია, მით უმეტეს, როცა ნებისმიერი რედაქცია კარგავს ისეთ ავტორს, როგორიც ნინო გრძელიშვილი იყო „თელავის მოამბისათვის“ და საერთოდ ნებისმიერი რედაქციისათვის. მაგრამ აწყურის ერთმა მშვენიერმა ოჯახმა ისეთი დედა, სოფელმა ისეთი მოქალაქე და სკოლამ ისეთი მასწავლებელი იპოვა მისი სახით, რომ დანაკარგის წუხილი ქვეყანას უდიდეს სიხარულად დაუბრუნდა მეთქი“...

აი იმ ნინო გრძელიშვილის გამო დასვა დიდი კითხვა და ძახილის ნიშანი ბატონმა ალექსანდრემ. ინსტიტუტში მისი საყვარელი სტუდენტი, იცოდა ჩემი ხელდასმული იყო რედაქციაში. უხაროდა, გვამხნევებდა ორივეს ერთად და, როგორც კი მოინაკლისა, სად არისო, – წერილი გამომიგზავნა.

ერთი შტრიხი კიდევ ბატონ ალექსანდრე გვენცაძის „მეს“ შესახებ.

უცნაური მეგობრობა გვქონდა მე და ქალბატონ ლიზა ვახვახიშვილს. კარგა ხნის დაწყებული მქონდა რედაქციაში მუშაობა, რომ ქალბატონი ლიზა გავიცანი. თითქმის უკვე ისეთ სტადიაში ვიყავი, როცა ვამბობდით ხოლმე რედაქციელები: იმის მრცხვენია, რომ აღარა მრცხვენია რასაც ვწერთო (კომუნიზმის დიადი ალმშენებლობა იგულისხმებოდა, რასაკვირველია, კომპარტიის უმაგალითო გამარჯვებები და ა.შ.) ქალბატონი ლიზას ერთი წერილი დამაწერა მოსამზადებლად მაშინ რედაქტორმა – ბატონმა შოთა როსტომაშვილმა (სხვათაშორის, ახლა მოდაშია ბატონობით, ქალბატონობით ადამიანების მოხსენება, მაშინ, იმდროს ჩვენ უნივერსიტეტდამთავრებულები – ლამარა იანვარაშვილი, გულნაზი კიკნაძე, ნუნუ მატარაძე მოვიხსენიებდით ასე უფროსი ასაკის ადამიანებს, რის გამო რაიკომელები სულ დაგვცინოდნენ). საფლავის ქვებს, ყადორის მაღლობზე ასასვლელი კიბეების საფეხურებად დაჭრილ საფლავის ქვებს, ბორდიურების მოსაწყობად გამოყენე-

ბულ საფლავის ქვებს, ეხებოდა ეს წერილი, წარსულის გაბიაბრუებაზე, ადამიანების უგუნურობაზე, მავანთა მკრეხელობაზე კვნესოდა ავტორი. იყო წერილში შიშველი ფაქტებიც და, რაც მთავარია, ისმოდა, როგორც დიდი გურამ ასათიანი იტყოდა ჩვილი, უმწეო, სამარადისო ხმა. დიდი სიფრთხილით, დიდი კრძალვით შევეხე წერილს, ისე, რომ, როგორც შემდეგ ქალბატონი ლიზა იხსენებდა ხოლმე, იმ დრო, იმ ჟამს, ისეთმა წერილმა მზის სინათლე იხილა. ვინ გაასწორაო, – უკითხავს ქალბატონ ლიზას ბატონი შოთასათვის. ასე გავიცანით და მერე ნელ-ნელა დავმეგობრდით კიდეც ქალბატონი ლიზა და მე. ბატონი ალექსანდრესავით ეს იყო ქალბატონი, რომელიც როგორც ყველაზე საინტერესო წიგნი, ისე უნდა წაგეკითხა. მე იგი მხიბლავდა თავისი გვარ-სახელით, დიდ-დიდი თავადების, დიდი ისტორიების, დიდი წარსულის შესახებ თქმულის და ართქმულის გასაოცარი შეზავებით, დამაინტრიგებელი საუბრებით, სულის უსათუთეს სიმების შეხება – არშეხების უცნაური თვისებით, ჩვენი თანაქალაქელების, მავანთა და მავანთა თავგადასავლების მოყოლა-არმოყოლით, ბოლომდე გაუმხელელი საიდუმლოებებით... უყვარდა ხოლმე ქალბატონ ლიზას ჩემთან საუბარი. თელავში თითქმის არ ჩამოვიდოდა, რომ რედაქციაში არ გვსტუმრებოდა, არ განემარტოებულიყავით და ძველ-ძველი თუ ახალ-ახალი რამე-რუმეები არ ეთქვა ჩემთვის.

„მსუბუქი ტანი გაქვს, ნიავს აყოლილი“... მირზა გელოვანის სტრიქონების ასეთნაირი ინტერპრეტაცია მიტრიალებდა ხოლმე თავში ამ სიფრიფანა ქალბატონს რომ ვუყურებდი, მაგრამ როგორ გავბედავდი მის თქმას, ისეთი დამძიმებული იყო აზრით მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ჩვენი უახლესი ისტორიიდან მის მიერ გამოხმობილი ყოველი ამბავი, ყოველი ფაქტი. ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უყვარდა საუბარი და ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ მე მეჩვენებოდა, რომ კიდევა ერთი ცხრაკლიტული გამომატარა, კიდევ ერთი ფარდა ჩამოხსნა ჩემთვის მანამდე შეუცნობელ სამყაროს... ერთხელ, არ ვიცი, აღარ მახსოვს რა კონტექსტში, მადლიერებისა და თანაც გაკვირ-

ვების განცდა გამოვხატე იმ დიდი ნდობისათვის, თავისი თუ სხვისი საიდუმლოებების შესახებ ჩემთან გულახდილი საუბრებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურად, რაღაცნაირად მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა ქალბატონმა ლიზამ და ის წერილი გამახსენა, – თავისი პირველი წერილი – რედაქციაში რომ მოიტანა და საფლავის ქვების გამო რომ დაწერა.

გახსოვს, შენ გახადე ის დასაბეჭდი, შენ დაბეჭდე ფაქტიურად ის წერილიო. მაშინ ალექსანდრე გვენცაძეს ვკითხე შენს შესახებ, ვინ არის მეთქი. საშამ მითხრა: დახუჭე თვალები და ენდეო. საშა ასეთ რამეს უიშვიათესად იტყოდა ხოლმეო.

გაოცებისაგან პირი დავაღე, ქალბატონი ლიზა ისევ ისე მრავალმნიშვნელოვნად იცინოდა. მე შევყურებდი ამ უცნაურ ქალს და გონებაში ვიხსენებდი ჩვენი ასე განმარტოებული საუბრების დროს გვიხსენებია როდისმე თუ არა ბატონი ალექსანდრე. ასეთი რამ ვერ გავიხსენე და ისლა ვუთხარი: მე მეგონა ბატონ ალექსანდრეს არც კი იცნობდით მეთქი.

სიცილით მოკვდა კინაღამ ქალბატონი ლიზა, რა გულუბრყვილო ვინმე ხარო, მე და საშა სიყრმის მეგობრები ვართ, უერთმანეთოდ, შეიძლება ითქვას, ნაბიჯი არ გადაგვიდგამსო (რა ნაბიჯების გადადგმაზე ლაპარაკობდა ქალბატონი ლიზა, ვფიქრობ, გასაგები იქნება ყველასათვის, ვისაც ახსოვს, ვისაც წარმოდგენა აქვს რეპრესიების ხანაგამოვლილ თაობებზე, თავისუფლად მოაზროვნე მაშინდელ ახალგაზრდებზე). ო, როგორ მინდოდა გავქცეულიყავი მაშინ ბატონ ალექსანდრესთან, მადლობა მეთქვა მისთვის, ან უბრალოდ ჩვენებურად, ჩვეულებრივად შევლაპარაკებულიყავით.

– არაო, – მითხრა მაშინ ქალბატონმა ლიზამ, – არც არასოდეს უხსენო, რომ მე შენ ეს გითხარიო.

ლიზა ხომ იყო და იყო ფრთხილი, აქ თქვენ ბატონი ალექსანდრე გვენცაძე უნდა გენახათ–რა საოცარ ხვეულებში ატარებდა სათქმელს, აზრს, რა ფორმებს უძებნიდა თავის ჩანაფიქრს ჩვენამდე რომ მოეტანა, სიმართლეს თა-

ვისი გზა რომ გაეკვლია.

ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ: ეროვნული აღმავლობით რომ დაიწყო, დროშების ფრიალი, სოლიდარობის გამოსაცხადებლად მატარებლებით დედაქალაქისკენ მასიური სვლები, გომბორის ფეხით გადალახვა, სტუდენტებთან ერთად კიბეებზე ლექტორ-მასწავლებლებიც რომ დასხდნენ...

მომივარდა (ამ სიტყვის პირდაპირი და თანაც ისეთი ამაღლებული გაგებით, როგორიც ადრესატი ბრძანდებოდა) რედაქციაში ბატონი ალექსანდრე და მეჩხუბა, სულ ნაპერწკლებს აფრქვევს, ისეა გამწარებული: რას შვრებით, რასა წერთ, რას აკეთებთ, ტვინი აღარა გაქვთ თავშიო... და რა ვიცი, რას აღარ იძახის გამწარებულ გუნებაზედ. მე ვიცინი, ყველა იმის ნათქვამზე ვიცინი, ვიცინი.

მე ვიცი თქვენ ვინცა გრყვნითო, ჩემ გოგოებსაც ის აგიყებსო, მაგან ჭკვა კიდევ ვერ ისწავლაო, მაცადოს, რას ვუზამ მაგასო და ... კარები მაგრად გაიჯახუნა და წავიდა...

ლეილა შალვაშვილთან ერთად მნახა ინსტიტუტში სტუდენტებთან რომ ვისხედით კიბეებზე.

ლეილა ერთხელ ისედაც აჯანჯღარეს „იქ". გული გამისკდა და მანანას დავურეკე – მამაშენი იყო ჩემთან კარგა გამომთათხა და ასე და ასე დამემუქრა – მეთქი.

მანანამ უარესად გამიხეთქა გული. – ჩვენც დაგვლანძღა და მერე ეტყობა შენთან წამოვიდაო. არიქა, მერი, დაეწი და გაუქარვე გული, ასაკშია კაცი შესული და ემანდ რაიმე უბედურებას არ გადაგვყაროსო.

მანანასაც ლეილაზე გადაუქანდა გული. ერთხელ უკვე „დაიბარეს" და მეორედ „იქ" მისვლას ველარ გადაიტანსო.

ყურმილი დავაგდე და გარეთ გამოვვარდი. ბატონი ალექსანდრე თავის დღეში მანქანაში არ ჩაჯდებოდა, ქალაქის ქუჩებში სულ ფეხით დადიოდა, ვიფიქრე ახლაც ფეხით წავიდოდა მეთქი, შემხვედრ ტაქსში ჩავჯექი და თავიდან დავუარე, წინ შევხვდები სადმე – მეთქი. რაიკომს ცოტა გავცდი, გადმოვედი მანქანიდან და წამოვედი შესახვედრად, თან გული ამდის-ჩამდის, უარესად არ გავამწარო მეთქი.

გაზაფხული იდგა და ვერ იტყოდი თელავის ხევის

სანაპირო ქუჩებს მზე უფრო კაშკაშებდა თუ სანთლებივით ანთებული წაბლის ხის ყვავილები. ბატონი ალექსანდრე თავისებური დაგემოვნებით მოუყვება ხევის მარცხენა სანაპიროს, გაბრაზების ნატამალიც აღარ იკითხება მის მშვენიერ სახეზე.

– ნეტავ ეს გაზაფხული, ეს აფეთქებული ხეები და ჩახჩახა მზე ლამაზებს აქაურობას თუ ბატონი ალექსანდრე მეთქი, ვეტყოდი სხვა დროს, მაგრამ ეხლა ამისთვის არა მცხელა...

„პიპინას“ ხიდზე შევხვდი „შემთხვევით“. იცოდა ხოლმე ბატონმა ალექსანდრემ განსაკუთრებული შეხვედრა. აუცილებლად პირჯვარს გადაიწერდა: – მადლობა, უფალო, ეს ვის შემახვედრეო.

მეც არაერთგზის გაუნებივრებივარ ასეთი შეხვედრით და, რამდენჯერაც არ უნდა მომხდარიყო ეს, მაინც პირველხიბლით იყო ხოლმე გაჯერებული. მაგრამ ეხლაც, ამ „მოულოდნელი“ შეხვედრის დროსაც, თუ ის ჩვეულებრივად ისევ პირჯვარს გადაიწერდა, ნამდვილად არ ველოდით. არადა ამ მშვენიერი, ჩახჩახა დღით, მისი სათაყვანო თელავის ერთი სადაგი დილით ისე იყო სავსე ყელამდე ბატონი საშა, ისე გულწრფელი აღფრთოვანებით „შევეჩეხეთ“ ერთმანეთს ამ პატარა საცალფეხო ხიდზე, რა წუთის წინ ჩხუბი, რა მუქარა, რის თითის ქნევა... ჩვეულებრისამებრ გადაიწერა პირჯვარი, ვინმე „დადეშქელიანი“ ან ნატო ვაჩნაძე შეხვედროდა, – სად მიდიხარო – შემეკითხა, ხელკავი გამომდო და წავედით ასე ლაპარაკ-ლაპარაკით, სიცილ-სიცილით...

კიდევ ერთხელ მომეწურა გული შიშგამოვლილი თაობების გამო, კიდევ ერთი მშვენიერი ფურცელი გადავშალე იმ ყველაზე საინტერესო წიგნისა, ალექსანდრე გვენცაძე რომ ერქვა სახელად.

მადლობელი ვარ, უფალო, რომ მომეცი ბედნიერება ამ წიგნთან შეხვედრისა...

მერი ზაალიშვილი,
ჟურნალისტი, გაზეთ „თელავის
მოამბის“ რედაქტორი

P.S. „თელავის მოამბის“ ბიბლიოთეკის სერიალით პატარ-პატარა წიგნების გამოცემაზე ჩემი ოცნების შესახებ უკვე იციან ჩემმა მკითხველებმა. პირველი სწორედ ბატონი ალექსანდრე გვენცაძის შესახებ მქონდა ჩაფიქრებული, ზოგ-ზოგი რამ უკვე აკინძულიც მქონდა ამ უაღრესად საინტერესო პიროვნებაზე, მოღვაწეზე, მოქალაქეზე, მეგობარზე... მწყდება და არც მწყდება გული, რომ ერთი ფრაგმენტი ამ წიგნისა ამ წერილის სახით სულ სხვა სერიაში შევა. მე მაინც გამოვცემ ამ წიგნს იმ სახით, როგორც წლების წინ ჩავიფიქრე.

მ.ზ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვაჟა-ფშაველას სიმფონია-ლექსიკონი

1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ ერთი საშვილიშვილო საქმეს დაედო სათავე. ვაჟა-ფშაველას კაბინეტის ინიციატივით დაიწყეს დიდი მგოსნის სიმფონია-ლექსიკონის შედგენა. დედაუნივერსიტეტელებმა ბარათების ამოწერასა და სათანადო წესით დამუშავებაში რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების (თბილისი, ქუთაისის, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტები1 სათანადო კათედრები და სტუდენტებიც ჩააბეს.

თელავში ალექსანდრე გვენცაძის სახელზე ბატონმა გრიგოლ კიკნაძემ გამოგზავნა ასეთი შინაარსის წერილი: „ძვირფასო ალექსანდრე, თქვენ უკვე იცით, რომ ძალიან დიდსა და მნიშვნელოვან (საქმეს) შევუდექით: გვინდა შევქმნათ ვაჟას ლექსიკური ფონდი (ბარათებზე ამოწერილის სახით). თუ როგორ, ეს კართოთეკის შემდგენთათვის განკუთვნილი „სამახსოვროდან“ ჩანს და თქვენთან ამაზე ლაპარაკიპ ზედმეტია.

სამუშაო არ არის რთული: სურვილის შემთხვევაში ყველა გააკეთებს. სიტყვები ამოიწერება ბარათებზე იმ ფორმით, როგორც ხდება, ვეცადოთ კონტექსტი აზრიანი გამოვიდეს. თუ ყოველთვის ეს ვერ მოხერხდება, რა ვუყოთ! ოღონდ არ მოგვივიდეს მარცხი და ამოუწერელი არ დაგვრჩეს სიტყვა. ეს ნამდვილი წუნი იქნება და თქვენი თვალყურის გადევნება განსაკუთრებით ამას ესაჭიროება.

ჩვენ ასე ვიქცევით უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში: ყოველ სტუდენტს ვაძლევთ ვაჟას ტექსტის 1 ფურცელს (უკანასკნელი გამოცემა) და 1000 მეტ ბარათს. განმარტებას ვაძლევთ, ჩვენი თანდასწრებით ცოტა ხანს ვავარჯიშებთ, შემდეგ (4–5 დღისა) უკვე შესრულებულ

---

1. *მოამზადა პროფ. გ.ჯავახიშვილმა.*

სამუშაოს ვუმოწმებთ და ბოლოს ვიბარებთ მთელ მასალას. ამ მასალას ცალად ვკრავთ და ვაწერთ, თუ რომელ სასწავლებელში, რომელ ფაკულტეტზე, კურსზე და ვის მიერ შესრულდა ეს სამუშაო, აღვნიშნავთ ბარათების საერთო რაოდენობას და მის გვარს, ვინც სტუდენტთა ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა (ჩვენ 15–20 კაციან ჯგუფებად დავყავით სტუდენტები). ასეთ მასალას აწვდიან ვაჟას კაბინეტს. ვვარაუდობთ, რომ კვირაში ეს მასალა შეგროვდება (თუმცა ეს დრო შეიძლება ყოველი სტუდენტისათვის საკმარისი არ აღმოჩნდეს).

მთავარი ისიცაა, რომ ფურცელი არ დაიკარგოს.

სულ ესაა და ეს. თუ თქვენ ამ საქმეს ჩაუდგებით სათავეში, ეჭვი არა მაქვს, რომ ღირსეულადაც შეასრულებენ თქვენი სტუდენტები ამ სასიამოვნო დავალებას.

ველი თქვენგან პასუხს: რამდენ სტუდენს ჩააბამთ ამ საქმეში? შემატყობინეთ ისიც, თუ რა გზით მოგაწოდოთ ფურცლები, ბარათები (და თუკი რამე გჭირდებათ სხვაც).

დავ. გოგოჭური აპირებს წამოსვლას, იქნებ მას გამოვიტანოთ ყველაფერი?

მაცნობეთ, რაც შეიძლება მალე, ასეთი მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. №1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ვაჟა ფშაველას კაბინეტს. ჩემი გვარი და სახელი არ გექნებათ დავიწყებული!

იყავით კარგად. ნაყოფიერ მუშაობას გისურვებთ.

გრიგოლ კიკნაძე

P.S. ბოდიშს ვიხდი, ასე დაუდევრად დაწერილი ბარათისათვის, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. თავზე ხალხი მახვევია (ვალაგებთ მასალას) და თქვენთვის ბარათის გამოგზავნის გადადება კი არ შეიძლება. გ.კ.

ბატონმა ალექსანდრემ კათედრის სხდომაზე რამდენიმე სტუდენტიც დაგვასწრო და იქ გაგვაცნო ბატონ გრიგოლ კიკნაძის ზემოთ მოტანილი წერილი, როცა თბილისიდან ამოსაწერი მასალა მოვიდა, იგი განაწილდა ხუთ სამუშაო ჯგუფზე. ჩვენს ინსტიტუტს ამოსაწერად შეხვდა ვაჟა–

ფშაველას ხუთტომეულის მეხუთე ტომიდან 373-ე გვერდიდან 444-ე გვერდის ჩათვლით. ჯგუფში 5-6 სტუდენტი შედიოდა. მათ ხელმძღვანელობდნენ: ლეილა შალვაშვილი, ლია ტალახაძე, მედეა სტურუა, ნათელა სეფაშვილი და როინ ჭიკაძე. საერთო ხელმძღვანელი კი ბატონი ალექსანდრე იყო.

ვაჟა-ფშაველას კართოთეკის შედგენისათვის ვხელმძღვანელობდით ალექსი ჭინჭარაულის „სამახსოვროთი“.

მოკლე ხანში დამუშავდა მასალა. ამოწერილი ბარათები ბატონმა ალექსანდრემ სათუთად შეფუთა და თბილისში ამ დიდი საქმის მესვეურს გიორგი კიკნაძეს ჩაუტანა. მაშინ ბატონმა ალექსანდრემ მეც დამიმგზავრა და გამაცნო გრიგოლ კიკნაძე. მე მას მოვასმენინე ვაჟა-ფშაველას თელაველ თანამედროვეთა (გიორგი მელითაურის დიმიტრი მაღალაშვილის, თიკო კახიშვილ-დალაქიშვილის და ნიკოლოზ ალბუთაშვილის) მოგონებების ხმის ფირზე ჩანაწერები.

ბატონმა გრიგოლ კიკნაძემ დაკვირვებით გადაათვალიერა თელავის პედინსტიტუტის სტუდენტების ამოწერილი ბარათები და ალექსანდრე გვენცაძეს მადლობა გადაუხადა.

ამ ორივე მამულიშვილის მაშინდელი საუბრიდან დავრწმუნდი, რომ მათ ტოლდაუდებლად იცოდნენ ვაჟა-ფშაველა და მის შემოქმედებას გატაცებითაც იკვლევდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*არის ჟამი, როცა უბრალო ფაქტიც კი დამანგრეველ ძალას იძენს, საკამათოდ იქცევა. ბატონი ალექსანდრეს ავტობიოგრაფიის გამოქვეყნებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ვისთვის? – ბევრზე ბევრისათვის! გვჯერა, რომ ჩვენი მოძღვრის ხელით შესრულებული მისი ბიოგრაფიაც ძეგლად დაშთების.*

# ავტობიოგრაფია

დავიბადე საქართველოში, ამბროლაურის რაიონის სოფ. ბარეულში (ყოფილი რაჭის მაზრა). მშობლები გლეხები იყვნენ: მამა სოფლის მუშა-კაცი; იგი დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში, როგორც ჯარისკაცი. დედა გარდაიცვალა 1959 წელს.

პირველდაწყებითი განათლება მივიღე ჩემს სოფელში; საშუალო სკოლა დავამთავრე ქ. თბილისში 1925 წელს. ამავე წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. როგორც ღარიბი ოჯახის შვილს უნივერსიტეტში დამინიშნეს სახელმწიფო სტიპენდია. უნივერსიტეტის კურსი დავამთავრე 1929 წელს.

პროფ. ა.გ. შანიძემ დამტოვა უნივერსიტეტთან არსებული ლექსიკოლოგიის კაბინეტის თანამშრომლად. აქ ვიმუშავე 1929–1939 სასწავლო წელში. კაბინეტმა მალე შეწყვიტა მუშაობა. 1930–1939 სასწავლო წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი პედაგოგიურ ტექნიკუმებში (გურჯაანი, სიღნაღი, თელავი).

1939 წელს თელავის პედაგოგიური სასწავლებლის ბაზაზე დააარსდა სამასწავლებლო ინსტიტუტი, სადაც მუშაობა დავიწყე ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე და ვასწავლიდი ქართულ ენას. 1951 წელს ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტი გარდაიქმნა პედაგოგიურ ინსტიტუტად და ადვრჩი იმავე თანამდებობაზე.

1939 წლიდან 1970 წლამდე ვასრულებდი ფილოლო-

გიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობას; გარკვეულ წლებში შეთავსებით იყავი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე. 1970 წელს ჩემი განცხადების საფუძველზე გავთავისუფლდი დეკანის თანამდებობიდან და ამირჩიეს კათედრის გამგედ; 1974 წლის სექტემბრიდან ჩემი განცხადების საფუძველზე გავთავისუფლდი კათედრის გამგის თანამდებობიდან და შეთავსებად დამრჩა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გამგის მოვალეობა, რომელსაც ვასრულებ 1970 წლიდან.

1940 წლიდან ვარ სკკპ პარტიის წევრი.

1941–1945 დიდ სამამულო ომის წლებში ვიყავი მტრის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი და ოცეულის პოლიტხელი.

1951 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. 1953 წელს მომანიჭეს დოცენტის წოდება.

1948 წლიდან ვარ საზოგადოება „ცოდნის“ წევრი. წლების მანძილზე ვასრულებდი რაიონული განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელი მდივნის ან თავმჯდომარის მოვალეობას. ამჟამად ამ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარედ ვარ არჩეული ინსტიტუტში.

1941 წლიდან ვარ საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის შტატგარეშე ლექტორი.

ვარ პედაგოგიური საზოგადოების წევრი.

1932 წლიდან სისტემატურად ვმუშაობ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით და ლექციებს ვკითხულობ გადასამამზადებელ კურსებზე და აუდიტორიებში.

გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები და წიგნები (დამხმარე სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის).

დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით და სამკერდე ნიშნებით.

პასუხისგებაში არ ვყოფილვარ. ადმინისტრაციული და

პარტიული სასჯელი არ მქონია.
მყავს მეუღლე, შვილები, შვილიშვილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ერასტის ძე გვენცაძე,
ოქტომბერი, 1975წ.,
თელავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი

ავტორებისაგან . . . . . 3
ღვაწლმოსილი . . . . . 4
სოფელი, ბავშვობა . . . . . 8
უნივერსიტეტი, სამეცნიერო–პედაგოგიური
მოღვაწეობა . . . . . 14
მტრის გამანადგურებელი ბატალიონი . . . . . 41
„მოგონებათა ფურცლები“ . . . . . 47
წერილები . . . . . 72
სამეცნიერო შრომების სია . . . . . 79
მოგონებები . . . . . 82
ავტობიოგრაფია . . . . . 127

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრონოგრაფი
CHRONOGRAPH
Tbilisi, Georgia

ეროვნული
ბიბლიოთეკა